ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 26 მაისი 2001 №96 (1369) | ფასი 50 თეთრი

# კალაძეების დრამა გრძელდება

## მშველელი არ ჩანს

მტერს არ უსურვებს კაცი კარლო და მედეა კალაძეების დღეში ყოფნას. მეოთხე დღეა არ ჩანს მათი უმცროსი ვაჟი ლევანი, საქართველოს ნაკრებისა და „მილანის" ფეხბურთელ კახა კალაძის ძმა. შვილგატაცებულ მშობლებს დღემდე სანუგეშოს ვერავინ ვერაფერსეუბნება.

სასოწარკვეთილი კალაძეები შინ არიან, ახლობელ-ნათესავებს, მომკითხველებს ვერ აუდიან. მათ ოჯახში ყოველ წუთს ტელეფონის ზარი ისმის, ამხნევებენ, აიმედებენ... ქალბატონ მედიკოს ცრემლი არ აშრება. ათ წუთში ერთხელ მილანიდან კახა რეკავს, რა ხდება, ახალი რა არისო, კითხულობს. აქედან კი კვლავ გაბზარული ხმა ესმის, ჯერჯერობით ახალი არაფერი, შვილო... კალაძეებს ეხმიანება ყველა, ყველა, გამტაცებლების გარდა.

მედეა კალაძე: ყოველწამს იმაზე ვფიქრობ, ნეტავ როგორ არის, ვის ხელშია, როგორ ეპყრობიან. ლევანი სახლიდან რომ გავიდა, თხლად ეცვა და იმასაც კი ვფიქრობ ხოლმე, ხომ არ სცივა-მეთქი...

კარლო კალაძე: თბილისში ისე ჩამოვედი, რა უბედურება გვჭირდა, არ ვიცოდი. კახას აქედან ხშირად ურეკავდნენ, მაგრამ ჩემთვის არაფერი გაუმხელია. კი გამიკვირდა, სასწრაფოდ რომ გამომამგზავრა, მაგრამ ამას რას ვიფიქრებდი — კახას მსოფლიოში იცნობენ, ყველგან პატივს სცემენ და როგორ წარმოვიდგენდი, თუ საქართველოში ასე გაიმეტებდნენ...



ღმერთმა ინებოს, ლევან კალაძე სულ მალე დაუბრუნდეს დედას

პოლიცია კი ისევ დუმს, არაფერს ამბობს, ჩვენთვის ოფიციალურად ლევან კალაძის გატაცების თაობაზე ჯერ არავის მოუმართავს, სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არისო, ასეთია შსს-ის პრესცენტრის პასუხი.

არადა, ფაქტია, ლევან კალაძე 23 მაისის დილას სახლიდან გავიდა და... სამედიცინო უნივერსიტეტში ტაქსით მიდიოდა. გზად დიღომში, რკინიგზის საავადმყოფოში ანალიზების ჩასაბარებლად შეიარა. ის იყო, ტაქსიდან გადმოვიდა და საავადმყოფოს ეზოში უნდა შესულიყო, რომ თავს დაესხნენ, ხელი სტაცეს, მანქანაში ჩასვეს და გააუჩინარეს. რამდენიმე საათში კალაძეების ოჯახში ტელეფონის ზარი გაისმა — ლევან კალაძე გაეტაცებინათ. ოჯახის წევრებს აცნობეს, წერილს ამა და ამ ადგილას ნახავთო. მას შემდეგ აღარაფერი ისმის.

იხილეთ მეორე გვერდი

RAI 24

Calcio. Rapito fratello Kaladze, chiesto riscatto

IL DRAMMA DI KALADZE

ACMILAN.COM

La Gazzetta dello Sport

**Nonostante il dramma per il rapimento del fratello Levan, il georgiano, parole di Maldini, sara regolarmente in campo all'Olimpico.**

საქართველოს თასი

ლოკომოტივი | ფინალი | ტორპედო

თბილისი. 26 მაისი. 18 საათი. „26 მაისი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დრამა გრძელდება

დასაწყისი პირველ გვერდზე



კახა კალაძე

***რკინიგზის საავადმყოფოს დარაჯი:*** მე რა გითხრა, შვილო, ეგ ამბავი რომ მოხდა იმ დღეს მორიგე სხვა იყო. ის პოლიციამ უკვე დაკითხა. მე მხოლოდ გადმოცემით გავიგე, რომ საწყალი ბიჭი ტაქსით მოსულა და სანამ ეზოში შევიდოდა, მას, აი, აქ, ჭიშკართან, სამნი დატაკებიან, ნარკომანი ხარ და პოლიციაში გამოგვყევიო. ასე ჩაუსვამთ მანქანაში. სხვა არაფერი ვიცი. თურმე ანალიზები მოჰქონდა ჩასაბარებლად და ექიმებამდეც ვერ მიაღწია.

***ჯიხურის გამყიდველი ქალი:*** იმ დროს, როცა ეს ამბავი მოხდა, აქ კი ვიყავი, მაგრამ არაფერი გამიგია, ისე ჩუმად, უხმაუროდ ჩაუსვამთ მანქანაში. წყნარი, მორიდებული, ძალიან კარგი ბიჭი არისო, აქ, საავადმყოფოში, სამტრედიელი გოგოები არიან და იმათ მითხრეს.

რკინიგზის საავადმყოფოსთან, იქ, სადაც დილაობით, 10-დან 11 საათამდე, საკმაო ხალხი ირევა, ბევრს დაუნახავს, როგორ ჩასვეს ლევან კალაძე მანქანაში. იმასაც ამბობენ, სამი გამტაცებლიდან ერთ-ერთი პოლიციის ფორმიანი იყოო.

რადგან ოფიციალური წყაროები ჯერჯერობით დუმან, გასაქანი მიეცა კულუარულ ინფორმაციებს. ამბობენ, ლევან კალაძე პანკისის ხეობაშია, გამტაცებლები საკმაოდ კატეგორიულები არიან და კალაძეების ოჯახისგან დიდძალ ფულს ითხოვენ, უფრო ხშირად გამოსასყიდ თანხად 600 000 დოლარს ასახელებენ. ამ თანხას იტალიის სახელმწიფო ტელეკომპანიია RAI-ს საინფორმაციო გამოშვებებშიც იმეორებენ.

ამასობაში ეს ამბავი არათუ მთელ დუნიას მოედო, უმაღლესი დონის საერთაშორისო-სამთავრობო დიალოგის მიზეზიც გახდა. ერთი ვერსიით, იტალიის პრემიერ-მინისტრი და „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი აუცილებლად შეეხმიანება საქართველოს პრეზიდენტს. მეორე ვერსიით, ეს დიალოგი გუშინ უკვე შედგა.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი სამი დღეა, კახა კალაძეს არ მოშორებია, თავად კახა კი ღამეებს თეთრად ათენებს და...

***რევაზ ჭოხონელიძე, „მილანის“ სელექციონერი:*** რა გითხრათ, არც ვიცი. ყველანი განვიცდით, მომხდარით შეწუხებულნი ვართ. დღეს გუნდმა ორი საათი ივარჯიშა და კაციშვილს ხმა არ ამოუღია, ფეხბურთელები კახას თანაუგრძნობენ. მოედანზე მხოლოდ მწვრთნელის ხმა ისმოდა. მაქსიმალურად ვცდილობთ, კახას ფსიქოლოგიური სტრესი მოვუხსნათ.

***მილანელი კოლეგა გიორგი კუდინოვი:*** „მილანის“ ხელმძღვანელობა მომხდარით აღშფოთებულია, თუმცა ვრცელი კომენტარისგან თავს იკავებენ. მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ კი თქვა, კახა კალაძე კვირას რომში „რომას“ წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს, თანაც ძირითად შემადგენლობაშიო. გავიგე ისიც, რომ კახას თბილისში სასწრაფოდ წამოსვლა სურდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ დარჩენა სთხოვა და თბილისში ორშაბათს გამოფრინდება. იტალიური პრესა ქართულ წყაროებს ეყრდნობა. აქ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კახას ძმა რომელიღაც ხეობაში გაიტაცეს და ოჯახს ფულს სთხოვენ. სხვათა შორის, მილანში კახას მამაც იყო ჩამოსული და მასთან თვით კლუბის პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის სურდა შეხვედრა, მაგრამ ამ საქმისგან, ცხადია, არაფერი გამოვიდა.

ბუნებრივია, შეშფოთებულია ქართული საფეხბურთო სამყაროც. გუშინ კალაძეებთან ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც მივიდა. ამჟამად ეროვნული გუნდის წევრთა უმეტესობა უკვე თბილისშია და კახა კალაძის ოჯახს არც მათი ყურადღება აკლია.

***გიორგი ნემსაძე:*** კახას მთელ მსოფლიოში აფასებენ, პატივს სცემენ და ამ დროს ჩვენთან მის ძმას უგზოუკვლოდ იტაცებენ. ყველანი გულდაწყვეტილები ვართ და კახას ოჯახს ყურადღებას არ მოვაკლებთ.

***გიორგი ქინქლაძე:*** ძალიან ცუდი ამბავი მოხდა. წარმომიდგენია კახას მდგომარეობა, რა დღეშიც არის. რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ, ვეცდებით, კალაძეების ოჯახს დარდი შევუმსუბუქოთ.

***არჩილ არველაძე:*** ნაკრების წევრები დაღონებულნი და კახა კალაძის ოჯახის გვერდით ვართ.

***რევაზ ძოძუაშვილი:*** საქართველოს ნაკრების სახელით ვთხოვ შავ სამყაროს, ვისაც ამ საქმესთან ხელი მიუწვდება, ჩაერიოს და შეძლებისდაგვარად ეცადოს კახა კალაძის ძმა გაათავისუფლონ. ბოლოს და ბოლოს, რაღაც საზღვარი ხომ არსებობს?! სპორტსმენებს რას ერჩიან? მთელმა მსოფლიომ იცის, რომ კახა კალაძე ქართველია და საქვეყნოდ თავს ნუ მოვიჭრით.

**ძოწია ინასარიძე**

თბილისი. შევარდენი. 27 მაისი. 18 საათი

## დილა — სამგურალი

მსაჯები: ა. შილაკაძე; გ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

### შვედეთი

თასის ფინალი

აიკ 1:1დ.დ. (პენ. 9:10, 1:1) ელფსბორგი

### ჩეხეთი

XXX ტური

ბლშანი 3:1 ტეპლიცე
სპარტა 0:1 სიგმა
ბანიკი 0:1 პრიბრამი
ლიბერეცი 0:0 ბრნო
ბოჰემიანსი 1:0 ჟიჟკოვი
პლზენი 2:1 იაბლონეცი
სინოტი 2:0 ბუდეიოვიცე
დრნოვიცე 1:2 სლავია

### თურქეთი

XXXIV ტური

ისთანბული 1:0 რიზე
ბურსა 2:3 ანკარა
ერზერუმი 0:2 გაზიანთეპი
დენიზლი 2:2 ბეშიქთაში

### რუსეთი

XI ტური

ლოკომოტივი 5:1 ზენიტი

0:1 გორშკოვი (12), 1:1 ჯანაშია (20), 2:1 ობიორა (46), 3:1 მამინოვი (64), 4:1 იზმაილოვი (80), 5:1 ბუზნიკინი (90)

### ამხანაგური მატჩი

ინგლისი 4:0 მექსიკა

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

# საქართველო — იტალია

**იტალიის** ნაკრების მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ დაპირებისამებრ გუშინ საღამოს იმ ფეხბურთელთა ვინაობა დაასახელა, 2 ივნისს თბილისში საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის რომ მოამზადებს.

ჯოვანი ტრაპატონიმ შეკრებაზე 22 ფეხბურთელი იხმო. ამათგან კი თვრამეტს შეარჩევს.

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა);

*მცველები:* პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო (ორივე ლაციო), ფაბიო კანავარო (პარმა), ვალერიო ბერტოტო (უდინეზე), მარკო მატერაცი (პერუჯა);

*ნახევარმცველები:* ფრანჩესკო კოკო (მილანი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), სტეფანო ფიორე (უდინეზე), ფაბიო ლივერანი (პერუჯა), ალესიო ტაკინარდი, ჯანლუკა ძამბროტა (ორივე იუვენტუსი), დამიანო ტომაზი, ფრანჩესკო ტოტი (ორივე რომა), ლუჩანო ძაური, დამიანო ძენონი (ორივე ატალანტა);

*თავდამსხმელები:* კრისტიან ვიერი (ინტერი), ვინჩენცო მონტელა (რომა), ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი (ორივე იუვენტუსი).

**გიორგი ვაშაკიძე**

## ჩვენი მეტოქეები

### უნგრეთი

**2 ივნისს**, მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპული ზონის მერვე შესარჩევ ჯგუფში კიდევ ერთი მატჩია, ბუქარესტში რუმინეთის ნაკრები უნგრეთს უმასპინძლებს.

გუშინ უნგრეთის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ბერტალან ბიჩკეიმ საამხანაგო ტჩოდ შეკრებაზე 20 ფეხბურთელი გამოიძახა.

ბიჩკეის რჩეულნი გახდნენ:

*მეკარეები:* გაბორ კირალი (ჰერტა, გერმანია), გაბორ ბაბოში (ბრედა, ჰოლანდია);

*მცველები:* დიორდ კორსოში (შტურმი, ავსტრია), ჩაბა ფეჰერი (ბრედა, ჰოლანდია), ვილმოშ შებოკი, იანუშ მატიუში (ორივე კოტბუსი, გერმანია), ატილა დრაგონერი (ფერენცვაროში), ტამაშ იუჰარი (ვაშაში);

*ნახევარმცველები:* ტამაშ ჰეტო (ვაშაში), პალ დარდაი (ჰერტა, გერმანია), ვასილე მირიუტა (კოტბუსი, გერმანია), გაბორ ჰალმაი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), მიკლოშ ლენდვაი (ბეერსხოტი, ბელგია), კრისტიან ლისტეში (შტუტგარტი, გერმანი), ბელა ილეში (მტკ), იშტვან ჰამარი (მაკაბი, ნეთანია, ისრაელი);

*თავდამსხმელები:* ტიბორ დომბი (უტრეხტი, ჰოლანდია), ტომაშ სოვუნში (ვაშაში), ფერენც ჰორვატი (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), ატილა კორსოში (ვიდეოტონი).

**გიორგი ვაშაკიძე**

### ლიტვა

**შემადგენლობა** დაასახელა ლიტვის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ბენიამინას ზელკიავიჩუსმაც. ქართველთა თანამეჯგუფე ლიტვა 6 ივნისს კაუნასში რუმინეთს უმასპინძლებს.

*მეკარეები:* ვაიდოტას ჟუტაუტასი (რამათგანი, ჰაკოახი, ისრაელი), გინტარას სტაუჩე (დუისბურგი, გერმანია);

*მცველები:* დაინიუს გლევეცკასი (შახტარი, უკრაინა), ტომას ჟვირგჟდაუსკასი (პოლონია, პოლონეთი), აურელიუს შკარბალიუსი (ბრონდბიუ, დანია), ტადას გრაჟიუნასი (როსტსელმაში, რუსეთი), დარიუს ჟუტაუტასი (დინამო, რუსეთი), იგნას დედურა (ტორპედო ზილ, რუსეთი), მარიუს სტანკევიჩუსი (ეკრანასი);

*ნახევარმცველები:* დეივიდას შემბერასი, დეივიდას ჩესნაუსკასი (ორივე დინამო, რუსეთი), ტომას რაჟანაუსკასი (ბრანი, ნორვეგია), საულიუს მიკალაიუნასი (ტორპედო ზილ, რუსეთი), ორესტას ბუიტკუსი (სკონტო, ლატვია), ვიტალიუს დანილევიჩუსი (კაუნასი), რაიმონდას ჟუტაუტასი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი);

*თავდამსხმელები:* იგორის მორინასი (ჰანოვერი, გერმანია), ედგარას იანკაუსკასი (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), რობერტას პოშკუსი (პოლონია, პოლონეთი), არტურას ფომენკა (როსტსელმაში, რუსეთი), როლანდას კარჩემარსკასი, რიჩარდას ბენიუსისი (ორივე კაუნასი).

**გიორგი ვაშაკიძე**

# სტადიონის დღეობა

## ხარჯთაღრიცხვა ჯადოსნურ ფერებში

**დღეს** საქართველოს თასის ფინალისთვის 26 მაისის სახელობის კოპწია სტადიონი საზეიმოდ გაიხსნება. ცერემონიალი 16 საათზე დაიწყება. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აკაკი ჩხაიძემ კი გუშინ ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია მოაწყო, რომელსაც „ლოკომოტივის“ მწვრთნელებიც დაესწრნენ.

***აკაკი ჩხაიძე***

— თბილისის „ლოკომოტივი“ ჩვენში, ფაქტობრივად, ერთადერთი უწყებრივი გუნდია. საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაშიც არსებობს რკინიგზელთა საფეხბურთო კლუბები. საფეხბურთო მეურნეობის მხრივ დიდი გამოცდილება არ გვაქვს, მაგრამ ამას თანდათან შევიძენთ. მომდევნო სეზონშიც მხოლოდ ჩემპიონობისთვის და თასისთვის ვიბრძოლებთ. ეს სტადიონი კი მხოლოდ რკინიგზის დეპარტამენტის კი არა, სრულიად საქართველოსია. ამ სარბიელზე ბევრი შესანიშნავი სპორტსმენი გაიზრდება.

— მშენებლობაში 18 კომპანია მონაწილეობდა, თუმც ძირითადად რკინიგზამ ააშენა სტადიონი ჩვენი საპროექტო ინსტიტუტის პროექტით. კონსტრუქციებიც ჩვენმა ქარხნებმა დაამზადეს. სამშენებლო მასალების გარკვეულ ნაწილს რკინიგზის დეპარტამენტის კუთვნილი კარიერები გვაწოდებდნენ, რაც შეღავათი იყო. პლასტმასის სკამები იტალიიდან ჩამოვიტანეთ, თითოეულის ფასი 7 დოლარია. ნოვოროსიისკში შევიძინეთ 500-მარკიანი ცემენტი. ჩვენთან 400-მარკიანი რუსთავის ცემენტი ტონა 60 დოლარი ღირს, ხოლო ნოვოროსიისკში 500-მარკიანი 9 დოლარად ვიყიდეთ. რა თქმა უნდა, ამას ტრანსპორტირების ხარჯიც დაემატა, მაგრამ საერთო ჯამში რუსთავის ცემენტის ღირებულების ნახევარიც არ დაგვჯდომია.

— ტაბლო იტალიურია. იგი თანამედროვე მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს, მასზე, რა თქმა უნდა, სტადიონზე მიმდინარე მატჩის ტრანსლაციაცაა შესაძლებელი. ტაბლოს ღირებულება 500 000 დოლარია, თუმც მოვახერხეთ და 210 000 დოლარად შევიძინეთ.

— მოედნის ფართობი 120 სანტიმეტრის სიღრმეზე მოვჭერით, სადრენაჟო მოწყობილობა დავამონტაჟეთ და სპეციალურად ჩამოტანილი საფეხბურთო ბალახი დავაგეთ. მინდორი კოკისპირულ წვიმას გაუძლებს, გუბეები არ დადგება.

— მაღალ დონეზე მოვაწყვეთ საპრესკონფერენციო დარბაზი, სადაც სინქრონული თარგმანიცაა შესაძლებელი.

— სტადიონი 35 000 კაცს დაიტევს. შეგვეძლო უფრო გაგვეზარდა ტევადობა, მაგრამ გვინდა, ხალხი კომფორტულად და თავისუფლად მოთავსდეს ტრიბუნებზე. განათება კი 1 500 ლუქსია.

— გადასაწყვეტია სათადარიგო მოედნის საკითხი. ეს ტერიტორია, რომელიც პრესტიჟულ ადგილად ითვლება, რკინიგზის საკუთრება იყო, მაგრამ 1991 წელს მერიამ კერძო პირს მიჰყიდა, შემდეგ სხვა კერძო პირის ხელში გადავიდა, ახლა კიდევ სხვა პატრონი გამოუჩნდა. საქმე სასამართლოშია და იმედია, კუთვნილს დავიბრუნებთ. სხვათა შორის, მერიაც ადასტურებს, რომ ეს ფართობი არასწორად გაიცა კერძო პირზე. ვიღაცეებს სურთ, რკინიგზას ფული დასტყუონ. ჩვენ კი საფეხბურთო სკოლა-ინტერნატის აშენებას ვაპირებთ, სადაც ნიჭიერ ბავშვებს მოვუყრით თავს. ამას გრიგოლეთშიც გავაკეთებთ — ბაზის ნახევარი უკვე შევიძინეთ.

— ასეთი მაღალი დონის სტადიონის აშენება ნებისმიერ ქვეყანაში 300-400 მილიონი დოლარი დაჯდებოდა, ჩვენ კი 9 მილიონში ჩავეტიეთ. დახარჯულ თანხას 2-3 წელიწადში ამოვიღებთ.

***გივი ნოდია, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი:***

— გუნდის სახელით მადლობას ვუხდი რკინიგზის დეპარტამენტს. ბავშვს კარგ ბურთს რომ უყიდიან, უფრო მეტი ხალისით თამაშობს ფეხბურთს. ჩვენც დაახლოებით იგივე სიტუაციაში ვართ — ასეთ სტადიონზე თამაში დიდად გვეამაყება, ოსტატობის დასახვეწად და მომავალი წარმატებისთვის ეს უდავოდ წაგვადგება.

— ჩემპიონები ვერ გავხდით და ყველანაირად ვეცდებით, თასი ხელიდან აღარ გავუშვათ. თუმც ერთობ რთულად გვაქვს საქმე — რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის თამაში სათუოა.

**დავით თავართქილაძე**

1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო
1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო პლეხანოვზე
1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე
2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის
ცენტრალური კლინიკა



მისამართი
380109. ვაჟა-ფშაველას 29
ტელეფონები
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32
საუკუნოვანი გამოცდილება
უახლესი ტექნოლოგიები

# ბურთია ჯუღელის უღელი

## 99 გოლის გამტანმა თურმე მჭადის ცხობაც უნდა იცოდეს

*18 მაისს „გორდას“ თავდამსხმელმა ივანე ჯუღელმა „ფოლადზე“ „დილასთან“ გოლი რომ გაიტანა, ინფორმატორმა მაყურებელს ამცნო, მივულოცოთ ჯუღელს, ეს მისი მეასე გოლიაო, სპორტულმა პრესამაც არ დააკლო ყურადღება ივანეს ასიანობას და, ბუნებრივია, მასთან გასაუბრების სურვილიც გაჩნდა. თუმცა ივანეს თავისი დავთარი ჰქონია და, როცა ინტერვიუზე მივაკითხეთ, გვითხრა, ჟურნალისტების როგორ არ მჯერა, მაგრამ ჩემი ანგარიშით 99 გოლი მაქვს გატანილიო. ჩვენც დავსხედით, დავიანგარიშეთ და მართლაც 99 გამოვიდა: ჯუღელის ასს „გორდა“ — „სიონის“ შედეგ გაუქმებულ მატჩში გატანილი ბურთი მოაკლდა.*

*ასე თუ ისე, 34 წლის ნაჯაფარ ზესტაფონელ ფეხბურთელთან ინტერვიუ ჩვენი აზრით უინტერესო არ უნდა იყოს, მით უმეტეს, გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვს. თორმეტწლიან საფეხბურთო კარიერაში 16 გუნდის მაისურა მოურგია და ამ ხნის განმავლობაში ან გზაში უწევდა ყოფნა, ანაც მოედანზე.*

**ივანე ჯუღელი**
**14.04.67**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1990 | კოლხეთი | A | 15 | 6 | | (ლიეპაია, ლატვია) | A | 9 | 2 |
| | ქუთაისი | A | 15 | 5 | | დაუგავა (ლატვია) | A | 6 | 0 |
| 1991 | მარგვეთი | A | 18 | 3 | 97-98 | ტავრია (უკრაინა) | A | 13 | 2 |
| 91-92 | მარგვეთი | A | 38 | 27 | 98-99 | მიკოლაივი | | | |
| 92-93 | მარგვეთი | A | 29 | 22 | | (უკრაინა) | A | 5 | 0 |
| 93-94 | კოლხეთი | A | 24 | 16 | | პრიკარპატიე | | | |
| 94-95 | კოლხეთი | A | 11 | 8 | | (უკრაინა) | A | 4 | 0 |
| | ტემპი (უკრაინა) | A | 16 | 2 | | სამგურალი | A | 0 | 0 |
| 1995 | შახტარი (უკრაინა) | A | 3 | 0 | 1999 | მეტალურგი | | | |
| 95-96 | ზარია მალსი | | | | | (ლიპეცკი, რუსეთი) | B | 3 | 0 |
| | (უკრაინა) | A | 17 | 3 | 99-00 | ლოკომოტივი | A | 11 | 8 |
| 96-97 | ტავრია (უკრაინა) | A | 13 | 4 | 00-01 | გურია | B | 5 | 4 |
| 1997 | მეტალურგსი | | | | | გორდა | A | 8 | 4 |



ივანე ჯუღელი (მარჯვნივ) ფეხბურთს თავით თამაშობს

— ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჯონი ჯანელიძეს. ამ კაცის ამაგს ალბათ ვერასდროს გადავიხდი. სწორედ მან მომცა ჯერაც ახალგაზრდა ფეხბურთელს შანსი და პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნით მატჩში „დინამოს“ წინააღმდეგ მათამაშა.

**— იმ შეხვედრაში ისტორიული გოლის თანამონაწილე გახდი — კეტაშვილი აიძულე საკუთარ კარში ჩაეჭრა ბურთი...**

— იმ ეპიზოდს რა დამავიწყებს... ამ მატჩამდე ერთი კვირით ადრე ჯონი ჯანელიძემ ამხანაგური შეხვედრა გვათამაშა „დინამოსთან“ დიღმის ბაზაზე. პირველი ტაიმი 0:0 მორჩა, მერე კი 3 გოლი გაგვიტანეს და დავმარცხდით. ამ მარცხმა დიდი კომპლექსი გამიჩინა მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ. თანაც გუნდში ყველაზე უმცროსი ვიყავი. მართლაც მუხლები მიკანკალებდა, ერთს ვნატრობდი, დიდი ანგარიშით არ შევრცხვენილიყავით. მატჩისას კი ერთი შეხედვით დაუჯერებელი რამ მოხდა, დავით მახარაძემ ფლანგზე არზიანს დაასწრო და ბურთი საჯარიმოში ჩამოაწოდა. ხაპოვი გამოსვლაზე შეცდა და კარიდან სამიოდე მეტრში მარტო დავრჩი, ის-ის იყო ბურთისთვის თავი უნდა დამერტყა, რომ იგი კარში აფართხალებული დავინახე. კეტაშვილს პრინციპში სხვა გზა არც ჰქონდა, ერთადერთი შანსი დასწრებაზე თამაში და ბურთის კარს ზევით გადაგდება იყო, მაგრამ...

**— პირველი ჩემპიონატის მეორე ნახევარი „ქუთაისში“ ჩაამთავრე...**

— ჯონი ჯანელიძე გაუშვეს „კოლხეთიდან“ და მეც წამოვედი. რევაზ ბურკაძესთან შეთანხმებული ვიყავი და ქუთაისში გადავედი, თუმცა მომავალი სეზონიდან, როდესაც ჯანელიძე „მარგვეთის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, მაშინვე მშობლიურ ზესტაფონს მივაშურე.

**— სწორედ მაშინ მოხდა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი. „მარგვეთი“ — „ბათუმის“ თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩისას ზესტაფონელებმა მოსაკლავად გაიმეტეს მსაჯი სერგო კვარაცხელია. მოედანზე მსაჯებს არასდროს სწყალობდი, ყოველთვის კონფლიქტში ხარ მათთან, იმ მატჩში კი კვარაცხელიას შენ რომ არ აფარებოდი, სავალალოდ დამთავრდებოდა ყველაფერი...**

— ალალად გეტყვით, მაშინ რაც მოხდა. ჯერ კიდევ პირველ ნახევარფინალურ მატჩზე არ ვაპირებდი „ბათუმში“ წასვლას. ზესტაფონელებმა სიტყვა გატეხეს და კუთვნილს არ მაძლევდნენ. გუნდის ხელმძღვანელები დამპირდნენ, ოღონდ ითამაშე და ბათუმიდან რომ დავბრუნდებით, შენსას მიიღებო. დავთანხმდი და ურიგოდ არ მითამაშია ბათუმში. ერთ-ერთ ეპიზოდში აშკარად პენალტს ვიმსახურებდი. მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა. ის მატჩი 0:1 წავაგეთ. დავბრუნდით ზესტაფონში და კლუბის მესვეურებმა კვლავაც გატეხეს სიტყვა, ამიტომ „გორდასთან“ ჩემპიონატის მატჩში აღარ ვითამაშე. ამასობაში „ბათუმთან“ საპასუხო მატჩის დროც დადგა და შინ ჩემი თანაგუნდელები, აწგარდაცვლილები — კობა ხარჩილავა და ბეგი შავგულიძე მოვიდნენ, მათთან ერთად იყვნენ გია ნადირაძე და ზაზა ინიაშვილიც. მთხოვეს, მეთამაშა. მეგობრებს ხათრი ვერ გავუტეხე და დავთანხმდი. „ბათუმმა“ ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაგვჩაგრა, ალალად იმსახურებდა გამარჯვებას. კვარაცხელიამ პენალტიც სამართლიანად დანიშნა ჩვენს კარში. საერთოდ სერგოს უდიდეს პატივს ვცემ. ჩინებული ადამიანია და დიდი მსაჯიცაა. ამიტომაც გამოვექომაგე და შუაში ჩავდექი, ტყუილად კლავდნენ... მართლაც სამარცხვინო რამ მოხდა მაშინ ზესტაფონში...

**— პირველი უცხოური კლუბი შენთვის უკრაინული „ტემპი“ იყო, როგორ აღმოჩნდი შეპეტოვკაში?**

— ზესტაფონელებზე გაბრაზებული ისევ „კოლხეთში“ დავბრუნდი. ფოთში სერიოზული გუნდი გაკეთდა. ბევრმა ჩემმა მეგობარმა იქ მოიყარა თავი და ეროვნული შუღლი რომ არ ამტყდარიყო და არეულობა არ ყოფილიყო, ბევრის მიღწევას შევძლებდით. საშინელი დრო დადგა. ერთი დღე ზვიადისტები იყვნენ ქალაქში, მეორე დღე მათი ოპონენტები. მერე ქალაქის 25-დღიანი ბლოკადაც დაიწყო. თბილისელებმა როგორღაც გამოასწრეს არეულობას, მე კი ფოთში შევრჩი, მახსოვს არც შუქი იყო, არც წყალი. მე და დათო მახარაძე გარეთ ცხვირის გამოყოფას ვერ ვბედავდით, მჭადებს ვაცხობდით და როგორღაც გავდიოდით იოლას. სწორედ მაშინ იყო ეროვნულ ჩემპიონატს შეჩვეულმა პირველად რომ გადავწყვიტე საზღვარგარეთ წასვლა. „ტემპში“ გიორგი ჩიხრაძე და იური გაბისკირია თამაშობდნენ და წაველი მათთან. გუნდი ბოლო ადგილზე იყო და ნელ-ნელა ავთამაშდით. ჯერ პირველადგილოსან „შახტარს“ ვძლიეთ შინ, მერე გროდნოშიც მოვიგეთ გასვლითი მატჩი, ამასობაში რეზო ძოძუაშვილი ჩაუდგა გუნდს სათავეში...

**— სადაც უკვე თოთხმეტი ქართველი იყავით და გაქართველებული „ტემპიც“ უკრაინის უმაღლესი ლიგიდან გავარდა...**

— კურიოზული სიტუაცია იყო. ყველაფერი გაკეთდა რჩეულთა შორის დასარჩენად. გადამწყვეტ მატჩში ქულა გვჭირდებოდა ლვოვის „კარპატთან“ და გადარჩენილები ვიყავით. სწორედ მაშინ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ჩვენი გუნდის პრეზიდენტი მოვიდა და გვითხრა, ნუ გეშინიათ, „კარპატი“ დაგვიწვება, საქმე მოგვარებულიაო. ძოძუაშვილიც დაარხეინდა, ჩიხრაძე და რეხვიაშვილი თბილისში გამოუშვა ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში სათამაშოდ. ჩვენც გულდამშვიდებულნი გავედით მოედანზე, ჰოდა, აღგა ეს „დაწოლილი“ „კარპატი“ და ორი უპასუხო გოლი გაგვიტანა.

**— ჩაწყობილ მატჩებში ხშირად გითამაშია?**

— არ არსებობს ფეხბურთელი, მით უმეტეს, ჩემი თაობის, გარიგებულ შეხვედრაში რომ არ ეთამაშოს. უკრაინაში გუნდები ერთმანეთს ურიგდებოდნენ... გასახდელში ჩამოვიდოდა პრეზიდენტი და გვეტყოდა, ახლა ფრედ ვითამაშებთ, მეორე წრეში კი ვისაც როგორ დაჭირდება იმის გათვალისწინებით მოვიქცევითო. გავდიოდით და ვთამაშობდით. ყველაფერი ხუთიანზე კეთდებოდა და არა ისე, საქართველოში რომ ხდება, ვინ რას შეგატყობდა. ის კი არა, ხალხი ტაშს გვიკრავდა ხოლმე.

**— „შახტარში“ რატომ ვერ მოიკიდე ფეხი?**

— დონეცკში ჩიხრაძესთან და გაბისკირიასთან ერთად მოვხვდი, არადა, მანამდე ჩიხრაძეს კიევის „დინამო“ იწვევდა, გაბისკირია „კარპატს“ უნდოდა, მე კი „დნიპროში“ უნდა გადავსულიყავი, მაგრამ ძოძუაშვილის რჩევით სამივემ „შახტარში“ მოვიყარეთ თავი. მესამე მატჩში ფეხი მომტეხეს. არადა, რამდენიმე დღეში „ბრიუგესთან“ გვიწევდა თამაში უეფას თასზე. ერთ სატკივარს მეორეც დაემატა — მამა გარდამეცვალა და საქართველოში დავბრუნდი. ამასობაში ორ თვეზე მეტი გავიდა, „შახტარი“ კი სერიოზული გუნდი იყო და ფორმიდან ამოვარდნილს შანსი არ მქონდა. [illegible] გუნდის პრეზიდენტ[illegible] ლუგანსკში [illegible] იჯარით და [illegible] აღმოვჩნდი „ზარია მალსში“. პირველივე მატჩში [illegible] გოლი გავიტანე და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიმკვიდრე. მომავალ სეზონში კი ზაპოროჟიეს „მეტალურგსა“ და „ტავრიას“ შორის არჩევანი გავაკეთე და სიმფეროპოლში გადაველი. „ტავრიას“ პრეზიდენტი ბათუმელი ებრაელი რომან არონოვი იყო. ერთ დღეს მირეკავს და ქართულად მეუბნება, გუნდის პრეზიდენტი ვარ, ჩემთან წამოდიო, გავოცდი, თავიდან აფერისტი მეგონა... დღეს კარგი მეგობრები ვართ.

„შახტარიდან“ ბელგიაში წაველით მე, აპალინი და იესინი. იესინი ფოთელი ბიჭია, უკრაინის ნაკრებშიც აქვს ნათამაშევი. „ვესტერლოში“ ვისინჯებოდით, მოვეწონეთ და „ტავრიამ“ უსაშველო თანხა მოითხოვა ჩვენში. მოკლედ, გარიგება ჩაიშალა. ახალი წლის შესახვედრად საქართველოში ჩამოვედი. პირველ იანვარს ძოძუაშვილების ოჯახში მივედი მისალოცად და ბატონი რეზო ლიეპაიას „მეტალურგსის“ მწვრთნელის რანგში დამხვდა... ასე აღმოვჩნდი ლატვიაში. იმ სეზონში „დაუგავაშიც“ მოვასწარი თამაში და მერე ისევ „ტავრიაში“ დავბრუნდი. სიმფეროპოლში ცხოვრება ძალიან მომწონდა და „ტავრიაში“ დიდხანსაც დავრჩებოდი, ერთ გარემოებას რომ არ შეეშალა ხელი...

**— რა მოხდა ასეთი?**

— გუნდს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს, გრაჩოვი. ქართველები თვალში არ მოვდიოდით. ჩემი ნერვების გადამკიდე სულ კონფლიქტში ვიყავი მასთან. ერთხელ მატჩის დროს სათადარიგოთა სკამიდან შემაგინა... თამაშის მერე გასახდელში ლაზათიანად ვცემე. რაღა უნდა მექნა, ავდექი და წამოვედი გუნდიდან. ბოლოს „პრიკარპატიეში“ ყოფნისას ძველმა ტრავმამ გამახსენა თავი და საქართველოში დავბრუნდი, „სამგურალს“ შევუერთდი. ვიფიქრე, ამ სიბერეში საქართველოს თასს მაინც ავიღებ-მეთქი, მაგრამ მე და გიორგი კილასონიამ ფინალში „ტორპედოს“ ვერაფერი მოვუხერხეთ და პენალტების სერიაში დავმარცხდით, თუმცა მოგვიანებით სათასო ამბიცია მაინც დავიკმაყოფილე „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში, გარკვეულწილად შური ვიძიე „ტორპედოზე“.

**— შენს კარიერაში რომელ მატჩს გამოარჩევდი?**

— პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნით მატჩს „დინამოსთან“ და „ტავრიას“ შემადგენლობაში კიევის „დინამოს“ ძლევას უკრაინის თასის მეოთხედფინალში. გულდასაწყვეტიც ორი მატჩი იყო ჩემს კარიერაში. უკრაინის თასზე „დინამოს“ მერე „დნიპრო“ გვერგო ნახევარფინალში, შინ 2:0 მოვუგეთ, სტუმრად კი 0:3 დავმარცხდით. მწარედ მახსენდება „ტორპედოსთან“ წაგებული სათასო ფინალიც.

**— შენს მიერ გატანილი გოლებიდან რომელს გამოარჩევ...**

— „მეტალურგსში“ ყოფნისას „ქართულ“ „ვენტსპილსს“ ვხვდებოდით. იქ წერეთელი, ჯელაძე, პერტია და გრიშიკაშვილი თამაშობდნენ. ფავორიტები იყვნენ. ვენტსპილსელებს დავპირდი, მოგიგებთ, თანაც ჩემი გოლით-მეთქი. სასაცილოდაც არ ეყოთ... ახლაც თვალწინ მიდგას კარის ხაზზე გაშეშებული გრიშიკაშვილის სახე — მაკრატელათი გავუტანე გადამწყვეტი გოლი.

**— მეასე გოლიც ფეხით გაიტანე, შენი მთავარი კოზირი კი თავით თამაშია...**

— აი, ხომ ვთქვი არ ყოფილა ის გოლი მეასე, თორემ უეჭველად თავით გავიტანდი...

**— ფეხბურთმა რა მოგცა?**

— ჩემი თავი მაპოვნინა, უამრავი მეგობარი შემძინა, უფეხბურთოდ ვერც კი წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება. ამიტომაც ავიღე ნამუსზე ხელი და კიდევ ვაპირებ თამაშს. ჩემი ბიჭიც ფეხბურთელი იქნება.

**— ბიჭი რამხელაა?**

— არა მყავს ბიჭი, არც მეუღლე, როდისღა მომეყვანა, სულ გზაში ვიყავი.

**ბაათა ქვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს თასი
# ფ ი ნ ა ლ ი

თბილისი. 26 მაისი. 18 საათი. „26 მაისი"

მსაჯები: მ. მალაღურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

## საქართველოს თასის მფლობელები

| | |
|---|---|
| 1990 | „გურია" ლანჩხუთი |
| 1992 | „დინამო" თბილისი |
| 1993 | „დინამო" თბილისი |
| 1994 | „დინამო" თბილისი |
| 1995 | „დინამო" თბილისი |
| 1996 | „დინამო" თბილისი |
| 1997 | „დინამო" თბილისი |
| 1998 | „ბათუმი" |
| 1999 | „ტორპედო" ქუთაისი |
| 2000 | „ლოკომოტივი" თბილისი |

## ს. კ. ლოკომოტივი

დაარსდა: 1990 წელს
პრეზიდენტი: აკაკი ჩხაიძე
მწვრთნელი: გივი ნოდია
სტადიონი: 26 მაისი (ტევადობა 35 000)
ვერცხლის პრიზიორი (1) : 2001
ბრინჯაოს პრიზიორი (1) : 1999
საქართველოს თასის მფლობელი (1) : 2000

*პირველ ოთხ ჩემპიონატში გამოდიოდა „მერანის", მეხუთე-მეექვსეში კი „მერანი-ბაჩოს" სახელით*

## 2000-2001 გზა ფინალამდე

### მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**თორი 1:2 ლოკომოტივი**

0:1 ჭიჭველიშვილი (22), 0:2 გ. კვარაცხელია (56), 1:2 ფირცხალავა (78)

**ლოკომოტივი 9:0 თორი**

1:0 დავითაშვილი (4), 2:0 გ. კვარაცხელია (12), 3:0 დავითაშვილი (25), 4:0 გ. შენგელია (41), 5:0 პარამონოვი (65), 6:0 აბრამიძე (74პ), 7:0 გოგიჩაიშვილი (80), 8:0 ლევან სილაგაძე (84), 9:0 მ. ძოძუაშვილი (87)

### მ ე რ ვ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**გურია 0:1 ლოკომოტივი**

0:1 ბალაშვილი (25)

**ლოკომოტივი 5:0 გურია**

1:0 ხუროძე (9), 2:0 რუსია (14), 3:0 გილაური (42), 4:0, 5:0 ხუროძე (45, 52)

### მ ე ო თ ხ ე დ ფ ი ნ ა ლ ი

**სამგურალი 1:2 ლოკომოტივი**

0:1 ბალაშვილი (16), 1:1 ლონდაძე (45პ), 1:2 რუსია (76)

**ლოკომოტივი 0:1 სამგურალი**

0:1 დ. ქელიძე (90)

### ნ ა ხ ე ვ ა რ ფ ი ნ ა ლ ი

**ლოკომოტივი 2:0 მერანი**

1:0 კაიდარაშვილი (11), 2:0 დათვაძე (85პ)

**მერანი 0:1 ლოკომოტივი**

0:1 გილაური (90)

*სულ: 8 თამაში, 7 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება, ბურთები 22:3*



საქართველოს თასის შარშანდელი მფლობელი თბილისის „ლოკომოტივი"

# მოვითხოვთ: აჯობეთ ტორპედოს!

**ვიცე-ჩემპიონად** ეგებება „ლოკომოტივი" თასის ფინალს და მტკიცედ სწამს, რომ ჩემპიონმა ვერ დაჯაბნა. ცოტა უცნაურიც კია, მაგრამ რკინიგზელები თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას სწორედ დღეს აპირებენ.

„ტორპედოს" რევაზ ძოძუაშვილი მოუძღვის და ლოკომოტიველებს, უფრო კი კლუბის ხელმძღვანელობას, ერთიორად სწყურიათ გამარჯვება.

მეორე ეტაპის დაწყებამდე მომხდარმა განხეთქილებამ ბევრი რამ შეცვალა „ლოკომოტივში". ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები. თავიდან შეუთამაშებლობა არც ემჩნეოდათ, პრობლემებმა მერე იჩინა თავი.

ორჯერ დაუცდა ფეხი „ლოკომოტივს" და ეს საკმარისი აღმოჩნდა „ტორპედოსთვის". წყენას, მწუხარებას არ იმჩნევენ რკინიგზელები, მაგრამ...

ვერ დავიჩემებ, „ლოკომოტივს" უკეთესი შემადგენლობა ჰყავს-მეთქი, მაგრამ გამოცდილებით სჯობნის მეტოქეს. ცხადაძეს, შელიას, გოგიჩაიშვილს, ანჩაბაძეს, ბალაშვილს მრავალი ბრძოლა გადაუტანიათ. დღეს ისინი ფაქტობრივად მასპინძლის როლში გვევლინებიან. ვაკის ჩინებული სტადიონი ჩინებული მინდორით მათივე საკუთრებაა. „ლოკომოტივი" იქ მეორე ეტაპის დაწყებიდან ბურთაობს და მინდორს შეჩვეულია. ესეც თავისებური უპირატესობა გახლავთ.

გივი ნოდიას არ ჰყავს ძირითადი შემადგენლობის სრულფასოვანი შემცვლელები და ეს ერთი დიდი პრობლემაა. ამიტომაც ზოგიერთ მოთამაშეს მწვრთნელმა ამპლუა უცვალა.

ნახევარი სეზონის თერთმეტი მოთამაშით მოლევა ჩვენშიც დიდი პრობლემაა. ამიტომ ტრავმებმა იჩინა თავი. მამუკა რუსია ადრევე დაშავდა და ჩემპიონატში, ფაქტობრივად, ვერც შეეშველა გუნდს.

ამას შეგუებულ „ლოკომოტივს" ახალი თავსატეხი ზედ ფინალის წინ გაუჩნდა. ზაზა ლაცაბიძემ ფეხის კუნთი გაიწყვიტა და დღეს, ცხადია, ვერ ითამაშებს.

პრობლემები გასჩენიათ კახა ცხადაძეს და კახა გოგიჩაიშვილს. მათ თურმე ძველმა ტრავმებმა შეახსენეს თავი და გივი ნოდიამ ჯერაც არ იცის, ითამაშებენ თუ არა ვეტერანები.

ასეთ დროს დისკვალიფიცირებული მოთამაშეების არყოლა დიდიც ვერაფერი შეღავათია, „ტორპედო" ხომ მთლად უპრობლემო, ჯანზე მყოფი მოდის.

შარშანდელი ფინალი ძნელი იყო „ლოკომოტივისთვის". მაშინ გუნდში სხვა ატმოსფერო სუფევდა, მაგრამ დღევანდელი უფრო ძნელი იქნება.

დღეს ვაკეში ახალი სტადიონის ოფიციალური გახსნაცაა. ერი თუ ბერი იქ იქნება და ირგვლივ საზეიმო განწყობაც დაისადგურებს. ბუნებრივია, „ლოკომოტივს" იმ განწყობის შენარჩუნება ბოლომდე სურს და უკეთეს შანსს ვერც იპოვიან, მაგრამ...

სამი დღის წინ „ლოკომოტივმა" ვაკეში უკვე სძლია „ტორპედოს". ბევრი ძალაც შეალია ამ გამარჯვებას, ბოლომდე გაიხარჯა ვერცხლისთვის. არ ვიტყვი, 23-ში „ტორპედომ" ბრძოლას თავი აარიდაო, მაგრამ მეტი ენერგია შემოინახა მთავარი ბრძოლისთვის.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რაც რკინიგზელთა შანსებს ამცირებს. ოთხ დღეში ქუთაისელთა ორჯერ ძლევა ძალიან ძნელი, თითქმის წარმოუდგენელია... მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა თასს მოითხოვს.

**სავარაუდო შემადგენლობა**

*ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, გილაური, სალუქვაძე, ჭიჭველიშვილი, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, დათვაძე, კაიდარაშვილი*

**მამუკა ძვანტალიანი**

## მეკარეები

**გიორგი ლომაია:** 20 წლის. ბოლო ორი სეზონია, სისტემატურად თამაშობს „ლოკომოტივშიც" და ახალგაზრდულ ნაკრებშიც, დაუჭაშნიკებია ეროვნული გუნდიც. ლომაია ცივსისხლიანია, უემოციო. კარგია როგორც ხაზზე, ასევე გამოსვლებისას.

**დავით ასლანაძე:** 24 წლის. ტანმაღალ და ნიჭიერ მეკარეს ბოლო ორ სეზონში თითქმის არ უთამაშია. ამაში ნაწილობრივ ტრავმებმაც შეუშალა ხელი.

## მცველები

**გიორგი ბალაშვილი:** 28 წლის. ხისტი და ფიზიკურად ძლიერი მცველია. დაცვაში ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში. კარგი პერსონალური მეურვეა. წინა სეზონში მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დისკვალიფიცირებული იყო, მაგრამ რევაზ ძოძუაშვილის ძალისხმევით შეიწყალეს.

**კახა ცხადაძე:** 32 წლის. გამოცდილი მცველისთვის არც ერთი საფეხბურთო ეშმაკობა არ გახლავთ უცხო. ძნელია მისი გაცურება. ბოლო დროს ტრავმებისგან გატანჯული დაბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატში და „ლოკომოტივის" მორყეული დაცვაც თითქმის გაუვალი გახადა.

**მურთაზ შელია:** 32 წლის. გამოცდილ ცენტრალურ მცველს ზედმეტი წონის პრობლემა აწუხებს, ამიტომ ბოლო მატჩებში არ გამოჩენილა. უბადლოა თავით თამაშისას. ფეხბურთთან განშორების შემდეგ ისევ დაბრუნებას და საკუთარი სიძლიერის დამტკიცებას ლამობს.

**როინ ონიანი:** 25 წლის. „ლოკომოტივში" „ხობიდან" რევაზ ძოძუაშვილმა მიიყვანა, თუმც მწვრთნელი იშვიათად ენდობოდა. გივი ნოდიამ ძირითადის ფეხბურთელად აქცია. დაცვაში თითქმის უშეცდომოა.

**ლაშა სალუქვაძე:** 19 წლის. „ლოკომოტივის" ძირითადში წლეულს დამკვიდრდა. ახალგაზრდას გამოცდილება აკლია, თუმც ჟინიანი და მებრძოლია.

**აქვსენტი გილაური:** 21 წლის. ფიზიკურად ძლიერი და ხისტი მცველია. მინდორზე ფუტკარივით მუშა დავალებას უსიტყვოდ ასრულებს. წლეულს მხოლოდ დაცვითი ფუნქციებით არ შემოიფარგლება და მეტოქეთა კარისკენაც მიიწევს.

**გიორგი გოგნაძე:** 19 წლის. „ლოკომოტივის" განაცხადში მეორე ეტაპიდან გამოჩნდა. მანამდე რკინიგზელთა ფარმ-კლუბის მოთამაშე იყო.

## ნახევარმცველები

**დავით ჭიჭველიშვილი:** 26 წლის. მაღალი და ათლეტურია. კარგ ფორმაში მყოფს საიმედოდ თამაში შეუძლია. თასი ორჯერ, „ბათუმსა" და „ლოკომოტივში" მოუგია. დღეს მესამედ შეეცდება. ნოდიამ ძირითადად საყრდენობა დაავალა, რასაც თავს კარგადართმევს. 1998 წლის ფინალში ოქროს გოლის ავტორია.

**გიორგი ანჩაბაძე:** 28 წლის. გამოცდილი დირიჟორია. „დინამოდან" წამოსულმა, კარიერის გაგრძელება „ალანიაში" სცადა. ზუსტი პასები და შეტევების ორგანიზება ეხერხება. კარგ ფორმაში მყოფი ძნელი გასაჩერებელია. ნოდიამ ამპლუა შეუცვალა და საყრდენად ათამაშებს. გიორგიც გაცილებით მებრძოლი გახდა.

**დავით დათვაძე:** 23 წლის. პატარა და მოუხელთებელი ნახევარმცველია. თამაშის გამწვავება ეხერხება და მეტოქის მცველებსაც ბევრ თავსატეხს უჩენს. ზუსტი დარტყმა აქვს. ბოლო დროს შეცვლებზე უწევს შესვლა.

**დავით ბაქრაძე:** 21 წლის. „ლოკომოტივიდან" წასული მეორე ეტაპის დაწყებამდე გუნდში მოაბრუნეს. ამპლუით მცველია, მაგრამ ნახევარდაცვაში თამაშიც ძალუძს.

**კახა გოგიჩაიშვილი:** 32 წლის. „ლოკომოტივის" ლიდერია. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე საუკეთესო იყო. მერე ოდნავ გაუფერულდა, თუმც ბოლოსკენ ფორმა ისევ აღიდგინა. გამოცდილებითა და ეროვნულ ჩემპიონატში ხანგრძლივი თამაშით ბევრს არ ჩამოუვარდება. ამპლუით ნახევარმცველი თავდასხმაში თამაშმა სხვაგვარად წარმოაჩინა.

## თავდამსხმელები

**გიორგი შენგელია:** 22 წლის. მეტოქის საჯარიმოში ხიფათის შექმნა ძალუძს და მეტოქის მცველთათვის სახიფათოცაა, თუმც ხშირად სიზუსტე აკლია. მეორე ფინალს თამაშობს და თასის მოგებასაც შეეცდება.

**ალექსანდრე კაიდარაშვილი:** 22 წლის. გორელი თავდამსხმელი „ლოკომოტივმა" უკრაინული „კრივბასიდან" ინათხოვრა. ტრავმის გამო ნაყოფიერი შეკრება არ გამოუვიდა. მერე გარკვეული პრობლემებიც შეექმნა და მეორე ეტაპსაც მოუმზადებელი შეხვდა. მერე და მერე ფორმაც აღიდგინა და „ლოკომოტივის" პირველ ფორვარდადაც იქცა. საჭირო მომენტში კაიდარაშვილს ნახევარდაცვაში თამაშიც შეუძლია.

**დიმიტრი პარამონოვი:** 20 წლის. რევაზ ძოძუაშვილი უფრო სწყალობდა. ერთი ხანობა გუნდიდან გაუშვეს და ისევ დაბრუნდა. მაღალია, თუმც საჰაერო ორთაბრძოლებში ხშირად ვერ მარჯვობს.

**იოსებ მანჯარაული:** 19 წლის. ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე მოსკოვის „სპარტაკში" ირიცხებოდა. შეყვანილი გახლდათ ჩემპიონთა ლიგის განაცხადშიც: არის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი, ბოლოს აზერბაიჯანს გაუტანა გამარჯვების გოლი.

ეროვნული

# ს. კ. ტორპედო

დაარსდა: 1948 წელს
პრეზიდენტი: ზურაბ ხინიკაძე
მწვრთნელები: რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი
სტადიონი: ტორპედო (ტევადობა 20 000)
საქართველოს ჩემპიონი (2): 2000, 2001
ვერცხლის პრიზიორი (1): 1999
ბრინჯაოს პრიზიორი (2): 1991, 1994
საქართველოს თასის მფლობელი (1): 1999
ფინალისტი (1): 2000

*პირველ სამ ჩემპიონატში გამოდიოდა „ქუთაისის" სახელით*

## 2000-2001 გზა ფინალამდე

### მეთექვსმეტედფინალი

**ტორპედო 4:0 ლაზიკა**

1:0 შალამბერიძე (3), 2:0, 3:0 იმედაძე (39, 42), 4:0 გუჩუა (69)

**ლაზიკა 0:3 ტორპედო**

0:1 იონანიძე (21), 0:2 იმედაძე (23), 0:3 გუჩუა (60)

### მერვედფინალი

**ტორპედო 2:0 ბათუმი**

1:0 იონანიძე (54), 2:0 მ. ბობოხიძე (76)

**ბათუმი 2:2 ტორპედო**

0:1 კ. კვეტენაძე (13), 0:2 ასათიანი (26), 1:2 ფულეჯიშვილი (60), 2:2 თედორაძე (80)

### მეოთხედფინალი

**კოლხეთი 1:1 ტორპედო**

0:1 იონანიძე (5), 1:1 გოგიაშვილი (81)

**ტორპედო 1:0 კოლხეთი**

1:0 იმედაძე (81)

### ნახევარფინალი

**ვიტ ჯორჯია 1:2 ტორპედო**

0:1 თოლდუა (13), 1:1 გოგობერიშვილი (38), 1:2 იონანიძე (76)

**ტორპედო 1:0 ვიტ ჯორჯია**

1:0 ხვადაგიანი (43)

*სულ: 8 თამაში, 6 მოგება, 2 ფრე, 0 წაგება, ბურთები 16:4*




რევაზ ძოძუაშვილი

# გაუწიეთ გუბერნატორს ანგარიში, გაუხერხეთ სასურველი ანგარიში



გიორგი ლომაია (№1) და დავით ჯანაშია თასის ფინალში დღესაც შეიყრებიან

**„ტორპედომ"** იცის ტრიუმფის გემო. წლეულს მეორედ მოპოვებული ჩემპიონობაც შარშანდელის გამოძახილი იყო. ახლაც არანაკლები სიხარულით აღნიშნეს რიონისპირელებმა პირველება, მაგრამ დღეს არამგონია, ეიფორიაში ჩავარდნენ.

ამიტომ „ტორპედო" ახლა გაცილებით მობილიზებული გავა ფინალის სათამაშოდ, ვიდრე ერთი წლის წინ.

ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ქუთაისში. მწვრთნელი ერთი იყო, დღეს ორია. შემადგენლობა სხვა იყო, დღეს ძველი გუნდიდან რამდენიმე მოთამაშეღა დარჩენილა. კიდევ უფრო გაუმჯობესდა პირობები. ევროპული სტანდარტების შესაფერის სტადიონს ასეთივე ბაზა დაემატა.

სათამაშო სტილიც იცვალა „ტორპედომ". დაცვა უფრო გაძლიერდა. უკანახაზელთა ხარჯზე მომრავლდნენ ნახევარმცველები, საკმაოდ არიან თავდამსხმელებიც, მაგრამ გუნდის თამაში დღეს ისევ სრულყოფის პროცესშია.

თასის გათამაშებაში პირველ წინააღმდეგობას „ტორპედო" მეოთხედფინალში წააწყდა. ფოთის „კოლხეთმა" სწორედ იმ ორ მატჩში გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა ქუთაისურ კლუბს.

ფინალში გასვლა ნახევარფინალის პირველივე მატჩში გაინაღდეს რიონისპირელებმა. სტუმრად დამარცხებული მეტოქე წელში გატეხილი ეწვია ქუთაისს. ბოლომდე იბრძოლა „ვიტ ჯორჯიამ", მაგრამ ვერას გახდა.

„ტორპედომ" საფეხბურთო სეზონი კარგად დაიწყო, თუმც ბოლოსკენ ჩავარდნამაც უწია. ასე გაგრძელდა დასკვნითი ეტაპის საწყის ტურამდე. მერე ქუთაისელებმა დაიჭირეს თავიანთი თამაში.

მაშინ ბევრი საყვედურობდა ძოძუაშვილს, „ტორპედო" თბილისელებით გაავსო, გუნდს დაცვით ფეხბურთს ათამაშებსო. უცნაურია, დავით ყიფიანის მისამართით ქუთაისელ ქომაგობას აუგი არ დასცდენია.

გაჩემპიონებამ კი ყველა წყენა წაშალა. რიონისპირელებს მოსწონთ კიდეც ის დაცვითი ფეხბურთი, „ტორპედო" რომ თამაშობს. ქების სიტყვებს არ იშურებენ თბილისელი მოთამაშეებისთვის. ასეთია წარმატებული სეზონის დასასრული.

დავით ყიფიანსა და რევაზ ძოძუაშვილს კარგად ახსოვთ შარშანდელი ფინალი. მაშინ მეტოქეები იყვნენ და ძოძუაშვილმა იზეიმა გამარჯვება. დღეს ისინი ერთად გაუძღვებიან „ტორპედოს". უკვე ერთობლივი ძალისხმევით შეეცდებიან რევანშის აღებას.

როგორც ვიცით, „ტორპედოში" არავინაა ტრავმირებული. არც დისკვალიფიცირებულია ვინმე და მატჩის განაცხადში მოხვედრილი 18 ფეხბურთელიდან თითოეული მზად იქნება საბრძოლველად.

რევაზ ძოძუაშვილმა ამას წინათ განაცხადა — ბევრი შვიდი მცველით თამაშს გვსაყვედურობს, მაგრამ თასის ფინალში „ლოკომოტივს" სიურპრიზს ვუმზადებთ, მე და დავით ყიფიანმა გადავწყვიტეთ შვიდი თავდამსხმელით ვითამაშოთო.

არ არის გამორიცხული, „ტორპედომ" პირველივე წუთიდან შეუტიოს, მაგრამ ძოძუაშვილმა ალბათ იხუმრა. შვიდი თავდამსხმელი გუნდში შეიძლება მოგროვდეს, თუმც მოედანზე ერთდროულად ვერ მოხვდებიან.

თბილისისკენ გამომგზავრებული „ტორპედო" იმერეთის გუბერნატორმა თეიმურაზ შაშიაშვილმა ასეთი სიტყვებით გამოაცილა — ჩემპიონობით ხომ გაგვახარეთ, ახლა თასიც ჩამოიტანეთ და სიხარული გაგვიორკეცეთო.

23 მაისს „ტორპედომ" წააგო „ლოკომოტივთან". წაგებული აქვს შარშანდელი ფინალი. ახლა რევანშის ჯერია.

**სავარაუდო შემადგენლობა**

***ზოიძე, აბრამიძე, სილაგაძე, თოლდუა, ქემოკლიძე, გუჩუა, დიდავა, ასათიანი, იონანიძე, ჯანაშია, აშვეთია***

**გამუგა ძვანტალიანი**

## მეკარეები

**ირაკლი ზოიძე**: 32 წლის. დაღვინებული და გამოცდილი მეკარეა. საქართველოში თითქმის ყველა ტიტული მოუგია. ისრაელისა და ლიტვის ჩემპიონატები მოიარა და შარშან ეროვნულ გათამაშებას დაუბრუნდა. წლეულს კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა.

**ნიკოლოზ ტოგონიძე**: 30 წლის. გამოცდილებით ზოიძეს არ ჩამოუვარდება. განსაკუთრებით ძლიერია ხაზზე თამაშისას. „ტორპედოში" შარშან გადავიდა და მას აქეთ სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობასაც განიცდის. ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში თითო ტაიმი ითამაშა.

## მცველები

**ლევან სილაგაძე**: 24 წლის. ქუთაისში სწორედ „ლოკომოტივიდან" გადაბარგდა. საზრიანი ცენტრალური მცველია. კარგად თამაშობს პოზიციურად და დაზღვევაზე, თუმც მას უფრო კარგ პერსონალურ მეურვედ იცნობენ. დღეს მისი პირველი ქართული სათასო ფინალია. ეროვნული გუნდის წევრს „გორდაში" უთამაშია, საიდანაც ლატვიას მიაშურა და იქიდან „ლოკომოტივში" დაბრუნდა.

**ვალერი აბრამიძე**: 21 წლის. მაღალი მცველია, თავით კარგად თამაშობს. აქამდე „დინამო 2", „თბილისი" და „ლოკომოტივი" მოუვლია. პირველი ეტაპის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილს გაჰყვა „ტორპედოში". დაცვის ცენტრში კარგად ირჯება.

**სევასტი თოლდუა**: 25 წლის. ძალისმიერი მცველია. ძირითადად მარჯვენა ფლანგზეა გამწესებული, თუმც პერსონალური მეურვეობა უკეთ ეხერხება. ბოლო დროს უფრო დაიხვეწა და შეტევებშიც თამამად ერთვება. „ტორპედოში" „ლოკომოტივიდან" გადაბარგდა. მანამდე „იბერიასა" და „ვიტ ჯორჯიაში" თამაშობდა.

**რევაზ ქემოკლიძე**: 21 წლის. დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე უთამაშია. თავით და ფეხით წარმატებით ირჯება. რევაზ ძოძუაშვილმა „დინამოში" თამაშისას დაადგა თვალი და გადაიბირა კიდეც. ბოლო დროს ნახევარმცველადაც მოუსინჯავს ძალა.

**მიხეილ მახვილაძე**: 22 წლის. ადრე საყრდენი იყო, მერე დაცვის ცენტრში და ფლანგზეც ათამაშეს. საიმედო მცველის სახელი აქვს, თავით და ფეხითაც კარგად თამაშობს.

**ვახტანგ ხვადაგიანი**: 29 წლის. გამოცდილი ცენტრალური მცველია. საკმაოდ კარგად თამაშობს თავით. ჩემპიონატის პირველი ეტაპის დაწყებამდე თითქოს რუსულ „სოკოლში" უნდა გადასულიყო, მაგრამ... ბოლო დროს ძირითადს გაუუცხოვდა.

## ნახევარმცველები

**ვალტერ გუჩუა**: 25 წლის. ხისტი და მებრძოლი ფეხბურთელია. ადრე მცველად ამწესებდნენ, „ტორპედოში" კი საყრდენად გადაიქცა. უთამაშია „ამირანში", „ცხუმში", „სამგურალში", „შევარდენში", „სამტრედიაში", „ოდიშსა" და „დინამოში". ცოტა ჯანმრთელობამ შეუშალა ხელი, თორემ გაცილებით მეტს მიაღწევდა.

**გივი დიდავა**: 25 წლის. თავის დროზე იმედის მომცემ ლიბეროდ მიიჩნევდნენ. ისრაელში გადაბარგებულმა კარიერა ვერ აიწყო და უკან მობრუნებულმა „დინამოს" „ტორპედო" ამჯობინა, სადაც ამპლუა იცვალა და ხან საყრდენი იყო ხანაც გამთამაშებელი.

**კახა კვეტენაძე**: 30 წლის. „ტორპედოს" გამთამაშებელი დღეს შორსაა ჩვეული ფორმისგან. ნელ-ნელა სათადარიგო მოთამაშედ გადაიქცა, არადა, მისი გარჯის წყალობით რიონისპირელებს არაერთი მატჩი მოუგიათ.

**მალხაზ ასათიანი**: 19 წლის. მოედნის კარგი ხედვა, სწრაფი აზროვნება და ზუსტი პასები. ყველაფერი აქვს, რათა ჩინებული ნახევარმცველი დადგეს. ნაკლი ისევ არასაკმარისი ფიზიკური მომზადება გახლავთ, თუმც მისი გამოსწორება გაუთავებელმა ტრავმებმა არ დააცალა.

**დავით ჯანაშია**: 28 წლის. მისი მთავარი კოზირი სისწრაფეა. თუ ჯანაშია ბრძოლის იშტაზეა, მაშინ ძნელი გასაჩერებელია. ბოლოს მისი თამაში გაუფერულდა, თუმც ტრავმებმაც დაატყო ხელი.

**პაატა ჯინჭარაძე**: 26 წლის. მოძრავი ფეხბურთელია. უთამაში დაცვის მარჯვენა ფრთაზე. შეტევებში თამამად ერთვება. „ტორპედოში" ბურთაობა, წამოსვლა და დაბრუნება მასაც მოუსწრია.

## თავდამსხმელები

**მიხეილ აშვეთია**: 23 წლის. „ტორპედოში" „ალანიადან" მობრუნდა. სახიფათო თავდამსხმელია და გოლის გატანის უტყუარი ალღო გამოარჩევს. უხერხული ცაცია აქვს და თავით კარგად თამაშობს. საშიშია მეტოქის საჯარიმოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ოპტიმალურ ფორმაში ვერ არის.

**გიორგი იმედაძე**: 20 წლის. ათლეტური თავდამსხმელია, თუმც ტრავმებმა გააწამა და ამიტომ მასზე გაცემულ ავანსებს ვეღარ ამართლებს. ისე, დიდი პოტენციის პატრონია.

**მიხეილ ბობოხიძე**: 19 წლის. მაღალი, სწრაფი და სხარტი თავდამსხმელია. მეტოქის მცველებს ბევრ თავსატეხს უჩენს. მეტი სათამაშო პრაქტიკა მის ნიჭიერებას მეტ გასაქანს მისცემდა.

**ზურაბ იონანიძე**: 29 წლის. „ტორპედოს" სული და გულია. წარმატებით თამაშობს თავდასხმაში და შეტევების ორგანიზებაც ჩინებულად ეხერხება. აქვს გოლის ალღო და ზუსტი დარტყმა. ხვადაგიანთან ერთად რუსეთში უნდა გადასულიყო, მაგრამ...

საქართველოს უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი 12 მეორე ეტაპი

საფინალო ეტაპი სტატისტიკა

# VII–XII ადგილები

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 10 |
| მატჩი | 30 |
| გოლი | 83 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,76 |
| გოლი საშუალოდ ერთ ტურში | 8,3 |
| მასპინძელთა მოგება | 18 (62%) |
| ფრეები | 5 (16%) |
| სტუმართა მოგება | 6 (20%) |
| საერთო დასწრება | 28 550 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 951 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | VII: 4 500 |
| მწირი დასწრება ტურზე | VIII: 1 300 |
| უხვგოლიანი ტური | III: 14 |
| გოლმწირი ტური | I: 5 |

## უხვმაყურებლიანი მატჩები

| № | მატჩი | დასწრება | ტურის № |
|---|---|---|---|
| 1 | გორდა — ბათუმი 1:1 | 2 000 | 7 |
| | თსუ — სიონი 1:3 | 2 000 | 4 |
| | სიონი — ბათუმი 1:1 | 2 000 | 3 |
| 4 | გორდა — დილა 3:2 | 1 700 | 9 |
| 5 | დილა — სიონი 2:1 | 1 500 | 10 |
| | დილა — თსუ 4:0 | 1 500 | 7 |
| | ბათუმი — გორდა 0:1 | 1 500 | 2 |
| | დილა — ბათუმი 0:0 | 1 500 | 1 |

## უხვგოლიანი მეოთხედი

| № | | დროის მონაკვეთი | | გოლი | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | V მეოთხედი | 61-75 | წუთი | 19 | 23 |
| 2 | IV მეოთხედი | 46-60 | წუთი | 15 | 18 |
| 3 | VI მეოთხედი | 75-90 | წუთი | 14 | 17 |
| 4 | I მეოთხედი | 00-15 | წუთი | 12 | 15 |
| 5 | II მეოთხედი | 16-30 | წუთი | 10 | 12 |
| 6 | III მეოთხედი | 31-45 | წუთი | 10 | 12 |

## ამპლუათა შედეგიანობა

| | დაცვა | | შუახაზი | | თავდასხმა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გუნდი | გოლი | % | გოლი | % | გოლი | % |
| დილა | 5 | 26 | 7 | 37 | 7 | 37 |
| ბათუმი | 0 | 0 | 3 | 25 | 9 | 75 |
| გორდა | 4 | 25 | 4 | 25 | 8 | 50 |
| იბერია | 0 | 0 | 3 | 42 | 4 | 58 |
| სიონი | 0 | 0 | 3 | 24 | 10 | 76 |
| თსუ | 0 | 0 | 5 | 45 | 6 | 55 |

**შენიშვნა** სერიათა ცხრილებში დ: დასრულებული, მ: მიმდინარე



„ბათუმის“ კარში გატანილმა სამმა უპასუხო გოლმა „თსუ“ ვერ გადაარჩინა

## მოგებათა სერია

| № | გუნდი | მოგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სიონი | 4 | დ | 4 | 7 |
| 2 | ბათუმი | 3 | დ | 4 | 6 |
| | გორდა | 3 | დ | 1 | 3 |
| | დილა | 2 | დ | 7 | 8 |
| 5 | თსუ | 2 | დ | 1 | 2 |
| | იბერია | 0 | დ | 0 | 0 |

## უფრეო სერია

| № | გუნდი | უფრეოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დილა | 9 | მ | 2 | 10 |
| 2 | იბერია | 8 | მ | 3 | 10 |
| 3 | სიონი | 7 | მ | 4 | 10 |
| | გორდა | 7 | დ | 1 | 7 |
| 5 | თსუ | 6 | დ | 1 | 6 |
| 6 | ბათუმი | 3 | მ | 8 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრეთა სერია

| № | გუნდი | ფრე | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გორდა | 2 | დ | 7 | 8 |
| | სიონი | 2 | დ | 2 | 3 |
| 3 | დილა | 1 | დ | 1 | 1 |
| | ბათუმი | 1 | დ | 7 | 7 |
| | იბერია | 1 | დ | 2 | 2 |
| | თსუ | 1 | დ | 8 | 8 |

## წაუგებელი სერია

| № | გუნდი | არწაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 7 | დ | 3 | 9 |
| 2 | სიონი | 6 | დ | 2 | 7 |
| 3 | გორდა | 4 | მ | 7 | 10 |
| 4 | დილა | 2 | დ | 7 | 8 |
| | თსუ | 2 | დ | 1 | 2 |
| 6 | იბერია | 1 | დ | 2 | 2 |



ქვეეტაპის მატჩთაგან ყველაზე დიდი ყურადღება ჩაწყობაში ექვმიტანილი „გორდას“ და „სიონის“ მატჩმა მიიპყრო

## წაგებათა სერია

| № | გუნდი | წაგება | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | იბერია | 8 | მ | 3 | 10 |
| 2 | თსუ | 3 | დ | 3 | 5 |
| 3 | დილა | 2 | დ | 5 | 6 |
| 4 | ბათუმი | 1 | მ | 10 | 10 |
| | გორდა | 1 | დ | 6 | 6 |
| | სიონი | 1 | მ | 10 | 10 |

## უგოლო სერია

| № | გუნდი | უგოლოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დილა | 2 | დ | 5 | 6 |
| | ბათუმი | 2 | დ | 1 | 2 |
| 3 | გორდა | 1 | დ | 6 | 6 |
| | იბერია | 1 | მ | 10 | 10 |
| | სიონი | 1 | დ | 8 | 8 |
| | თსუ | 1 | დ | 9 | 9 |

## მოუგებელი სერია

| № | გუნდი | უმოგებოდ | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | იბერია | 10 | მ | 1 | 10 |
| 2 | ბათუმი | 3 | დ | 1 | 3 |
| | გორდა | 3 | დ | 6 | 8 |
| | სიონი | 3 | დ | 1 | 3 |
| | თსუ | 3 | დ | 7 | 9 |
| 6 | დილა | 2 | დ | 5 | 6 |

## მშრალი სერია

| № | გუნდი | მშრალად | სტატუსი | ტურიდან | ტურამდე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი | 3 | დ | 4 | 6 |
| 2 | გორდა | 3 | დ | 1 | 3 |
| | სიონი | 3 | დ | 5 | 7 |
| 4 | თსუ | 2 | დ | 1 | 2 |
| 5 | დილა | 1 | დ | 7 | 7 |
| 6 | იბერია | 0 | დ | 0 | 0 |

## უმაღლესი ლიგა

| № გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბათუმი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 6 | 32 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:2 | 6 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 |
| 2 სიონი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:12 | 2 | 27 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 13 | 5 | 1 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 4 |
| 3 გორდა | 10 | 5 | 2 | 3 | 16:13 | 3 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:6 | 7 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 |
| 4 დილა | 10 | 5 | 1 | 4 | 19:11 | 8 | 25 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 |
| 5 თსუ | 10 | 4 | 1 | 5 | 11:17 | -6 | 23 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 2:13 | -11 | 3 |
| 6 იბერია | 10 | 0 | 1 | 9 | 7:26 | -19 | 3 | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 1 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:14 | -11 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოლი გაყრას აპირებს

**ლონდონური** „ტოტენჰემ ჰოტსპური" აცხადებს, რომ თავის მცველ, სოლ კემპბელთან მოლაპარაკებებს აგრძელებს და, ალბათ, გაუგრძელებს კიდეც კონტრაქტს. მიუხედავად ამისა, გაზეთები საპირისპიროს ამტკიცებენ. ისინი ირწმუნებიან, რომ 28 წლის ფერადკანიანი მცველი კატეგორიულად უარობს ხელშეკრულების გაგრძელებას და მეგობრების წრეში ისიც უთქვამს, „სპურზს" აუცილებლად დავტოვებო.

აღსანიშნავია, რომ ლონდონელები ფეხბურთელს ახალ ხელფასს, კვირაში 80 ათას გირვანქას ანუ 113300 დოლარს პირდებიან.

„ტოტენჰემის" პრეს ატაშემ ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ხუთშაბათ საღამოს კლუბმა კემპბელს ახალი წინადადებით მიმართა. ეს გახლავთ მაქსიმუმი, რისი შეთავაზებაც შეგვეძლო. ხოლო ხალხი რომ ამბობს, ეს საქმე გადაწყვეტილია და კემპბელი გუნდიდან უეჭველად მიდისო, მართალი არ არის. იმედი, რომ ის ჩვენთან დარჩება, ჯერ არ გადაგვიწურავს".

რამდენადაც ცნობილია, „სპურზის" დირექტორმა დევიდ პლიტმა კემპბელს კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელება სთხოვა. მას დიდი იმედი აქვს, რომ გამოცდილი მცველი გუნდის ახალ მწვრთნელს, გლენ ჰოდლის მომავალ სეზონში დახმარებას გაუწევს.

„მე და გლენს გვსურს სოლი დარჩეს, რადგან ვარსკვლავის გარეშე ახალგაზრდა მწვრთნელს ძალიან გაუჭირდება. კემპბელი ხომ, როგორც ყოველთვის, ჩინებულად თამაშობს" — თქვა პლიტმა.

არადა მცველი ბოსმანის წესის თანამხად თავისუფალია და შეუძლია ნებისმიერ კლუბთან მოილაპარაკოს. როგორც ამბობენ, მის შეძენას ესპანური გიგანტები, „რეალი" და „ბარსელონა" აპირებენ. ინგლისში ამ ფეხბურთელით დაინტერესებულნი არიან „არსენალი", „ლივერპული", „ჩელსი" და „მანჩესტერ იუნაიტედი".

შეგახსენებთ, რომ კემპბელი „ტოტენჰემ ჰოთსპურში" ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეობის დროს მივიდა და მას მერე გუნდის მაისურით 250-ზე მეტი მატჩი ითამაშა. ინგლისის ნაკრებში კი 40-ზე მეტი შეხვედრა აქვს გამართული.



პარმელი მატიას ალმეიდა და ფლორენციელი მანუელ რუი კოშტა

# ჩაცი ცხვირწინ ააცალეს



იან კოლერი

**დორტმუნდის** „ბორუსიამ" ლონდონის „ფულემს" ცხვირწინ ააცილა ჩეხი თავდამსხმელი იან კოლერი, რომელიც აქამდე ბელგიურ „ანდერლეხტში" თამაშობდა. დორტმუნდელთა პრეს ატაშემ განაცხადა:

„იან კოლერთან ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. მომავალი სეზონიდან 2005 წლამდე ჩეხი ჩვენს გუნდში ითამაშებს. რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, ჩვენ და „ანდერლეხტი" შევთანხმდით, რომ მასზე ინფორმაცია საიდუმლოდ შევინახოთ".

ამრიგად, ხმები იმის თაობაზე, რომ 28 წლის კოლერი ინგლისურ პრემიერლიგაში ახალაღზევებულ „ფულემში" გადადიოდა, გაბათილდა.

რამდენადაც თავად კოლერისგან გახდა ცნობილი, მისი არჩევანი განაპირობა იმან, რომ დორტმუნდის „ბორუსია" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**იაპონელ** ნახევარმცველ ჰიდეტოში ნაკატას კიდევ ერთი მსურველი გამოუჩნდა — „პარმა". ამ კლუბის პრეზიდენტმა კალისტო ტანციმ დაადასტურა, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს „რომას" ლეგიონერთან და სეზონის ბოლოს ალბათ „ენიო ტარდინიზე" გადაიბირებს. „შევიტყვეთ, რომ რომაული კლუბი ნაკატას გაყიდვას აპირებს, თუმცა მისი შეძენით „არსენალი", „ნიუკასლ იუნაიტედი" და კიდევ რამდენიმე იტალიური კლუბია დაინტერესებული. ვეცდებით, ყველას ვაჯობოთ და იაპონელი ჩვენ დავიყოლიოთ" — განაცხადა ტანციმ.

**გერმანული** სააგენტოების ცნობით, „ლაციოს" მიუნხენის „ბაიერნის მცველ სამუელ კუფურისთვის დაუდგამს თვალი და თანახმაა, გერმანიის ჩემპიონებს მის სანაცვლოდ 15 მილიონი დოლარი გადაუხადოს და თანაც გერმანიაში პორტუგალიელ ცენტრალურ მცველ ფერნანდუ კოუტუს გაუშვებს. თავად განელი ფეხბურთელი, რომელსაც მიუნხენურ კლუბთან 2004 წლამდე აკავშირებს კონტრაქტი, აცხადებს: „ბაიერნში" ბედნიერი ვარ და სადმე გადასვლას არ ვაპირებ. თუ მარტო ჩემზე იქნება დამოკიდებული, კონტრაქტის ამოწურვამდე გერმანიაში დავრჩები".

**ესპანური** „სარაგოსა" „ჩელსიდან" ურუგვაელი ნახევარმცველის გუსტავო პოიეტის დაბრუნებას აპირებს. 33 წლის ფეხბურთელი ლონდონურ კლუბში მეოთხე სეზონს ატარებს. მანამდე კი იგი სწორედ „სარაგოსას" ღირსებას იცავდა. აქვე აღსანიშნავია, რომ პოიეტის გადაბირების სურვილს „უოტფორდში" ახალდანიშნული მწვრთნელი ჯანლუკა ვიალიც გამოთქვამს. გარდა ამისა, ურუგვაელს მარტო ლონდონში სამი კლუბი ეპატიჟება — „ტოტენჰემი", „ვესტ ჰემი" და „არსენალი". შეგახსენებთ, რომ პოიეტი 1995 წელს „სარაგოსას" შემადგენლობაში თასების თასს დაეუფლა.

**ინგლისელმა** ნახევარმცველმა ოუენ ჰარგრივსმა მიუნხენის „ბაიერნთან" 2004 წლამდე განაახლა კონტრაქტი. ბოლო პერიოდში მას რამდენიმე ევროპულმა გრანდმა მიაქცია ყურადღება. ინგლისელს მიმდინარე კონტრაქტი რამდენიმე თვეში უსრულდებოდა და არ იყო გამორიცხული, ბუნდესლიგა დაეტოვებინა, თუმც „ბაიერნის" ხელმძღვანელობის მონდომებით ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი კლუბში დარჩა. მიუნხენელთა გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა განაცხადა: „ოუენი ძალიან ნიჭიერი მოთამაშეა. ჩვენ მისგან გაცილებით წარმატებულ შედეგებს ველით".

**თურქული** სააგენტოების ცნობით, „ბეშიქთაშის" მწვრთნელი კრისტოფ დაუმი ცოტა ხნის წინ იტალიაში იმყოფებოდა და რამდენიმე მოთამაშესთან აწარმოა მოლაპარაკება. კერძოდ, გერმანელს სურს, „ფიორენტინას" იუგოსლაველი თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი სტამბოლში გადაიყვანოს. ფეხბურთელი ამჟამად ფლორენციული კლუბის ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდება და „არტემიო ფრანკის" დატოვება თავადაც სურს. შეგახსენებთ, რომ „ფიორენტინაში" მილოშევიჩი მადრიდის „რეალიდან" გადავიდა, მანამდე კი იგი „ვალენსიას" ღირსებას იცავდა.

# რა კარგი იყო მაშინ...

## იტალია

### თასის ფინალი. I მატჩი

**პარმა 0:1 ფიორენტინა**

0:1 ვანოლი (87)

**პარმა:** გუარდალბენი, ტურამი, სენსინი, ფ. კანავარო, სარტორი (სერჟიუ კონსეისაუ 73), ლამუში, ალმეიდა, ჟუნიორი, მიკუ, მილოშევიჩი (მბომა 81), დი ვაიო (ამოროზო 62)

**მწვრთნელი:** რენცო ულივიერი

**ფიორენტინა:** ტოლდო, რეპკა, ადანი, პიერინი, მორეტი, მარკო როსი (ბრესანი 71), ლეანდრო, დი ლივიო, ვანოლი, რუი კოშტა, კიეზა

**მწვრთნელი:** რობერტო მანჩინი

17 686 მაყურებელი

**დიდი** იმედი კი ჰქონდათ, მაგრამ... ჩავიდა „ფიორენტინა" პარმაში და 1:0 მოიგო. რენცო ულივიერისა და მისი გუნდის ბედად იტალიის თასის ფინალი ორმატჩიანია, ასე, რომ ყველაფერი მაინც ფლორენციაში გაირკვევა.

გოლი ვანიოლიმ შეაგდო, „პარმას" ყოფილმა განაპირა მცველმა, რომელმაც 86-ე წუთზე 53-ედ გათამაშებული ჯილდო, როგორც ამბობენ, „სანახევროდ მოაპოვებინა" რობერტო მანჩინის გუნდს.

მანამდე კი „პარმა" ფლობდა უპირატესობას, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ შეხვედრის დასაწყისში, ვანიოლის მსგავსად ყოფილმა პარმელმა ენრიკო კიეზამ მასპინძელთა გოლკიპერს, მატეო გუარდალბენს კინაღამ გაუტანა. შემდეგ კი, უკვე შესვენებამდე, საპირისპირო კარის მცველმა, ფრანჩესკო ტოლდომ სავო მილოშევიჩს, საბრი ლამუშის და იონ მიკუს აუღო ძნელად მოსაგერიებელი დარტყმები.

მეორე ტაიმში ტოლდომ 76-ე წუთზე გამოიჩინა თავი, როდესაც ასხლეტილი სერჟიო კონსეისაოს ჩაწოდებულს უხელთა. ერთი ხნის შემდეგ „ფიორენტინას" მეკარემ ერთხელაც მოიგერია კონსეისაოს დარტყმული.

თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე „პარმას" მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ, სავო მილოშევიჩის ნაცვლად მოედანზე პატრიკ მბომა შეიყვანა. ფიქრობდა, იქნებ ერთი გოლის შეგდება მაინც მოვახერხოო, მაგრამ ორივეს სამწუხაროდ ბურთი მათი გუნდის კარში შევარდა: კიეზა-ვანიოლის დუეტმა „ტარდინის" ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივარს სინანულით გაახსენა ის დრო, როდესაც ეს ფეხბურთელები მათ გუნდში თამაშობდნენ.

ამრიგად — 0:1. საპასუხო შეხვედრა 13 ივნისს ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე" გაიმართება.

„ჩვენ დღეს კარგად ვითამაშეთ და ხელსაყრელი მომენტებიც მრავლად შევქმენით. ამის გაკეთება კი „ფიორენტინას" წინააღმდეგ თამაშის დროს იოლი საქმე არ არის, ასე რომ, ჩემი აზრით, ანგარიში სრულიადაც არ ასახავს იმ სურათს, მოედანზე 90 წუთის განმავლობაში რომ ვხედავდით. დიახ, ჩვენ მორალურად და ფიზიკურად ძლიერები ვიყავით და შევძელით ის, რომ მეორე ტაიმში შეტევა მხოლოდ ერთი მიმართულებით, სტუმართა კარისკენ ვითარდებოდა. აქვე მინდა აღვნიშნოთ, რომ „ფიორენტინამ" ჭკვიანურად ითამაშა. მათმა ჩასაფრებულმა ტაქტიკამ გაამართლა" — განაცხადა მატჩის შემდეგ ულივიერიმ.

„მართლაც უსამართლო შედეგი გამოვიდა, რამაც გული დაგვწყვიტა, მაგრამ წაგებას ერთი წუთით არ ვაღიარებ, ჩვენ შეგვიძლია ჩავიდეთ ფლორენციაში და თასი იქ მოვიპოვოთ" — იხტიბარი არ გაიტეხა „პარმას" არგენტინელმა მცველმა ნესტორ სენსინიმ.

მათ მხარი აუბა თანამემამულემ და თანაგუნდელმა მატიას ალმეიდამ: „დამარცხება არავის უყვარს, მით უფრო, თუ 90 წუთის განმავლობაში უპირატესობას ფლობდი. იტალიის თასი ის ჯილდოა, რომლის მოპოვებაც ნამდვილად გვინდა და ამიტომაც მეორე შეხვედრაში ნამდვილ ომს მოვაწყობთ, ვგონებ, საბოლოოდ, მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ".

**ბაგუნა ძიდია**

## ლიტვა

მე-11 ტური: ინკარასი — ჟალგირისი 1:2; კაუნასი — ვეტრა 3:0; გელეჟინისი — ატლანტასი 1:2; დაინავა — ეკრანასი 1:3; ნევეჟისი — საკალასი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 11 | 10 | 1 | 0 | 29:4 | 31 |
| ჟალგირისი | 11 | 8 | 1 | 2 | 19:10 | 25 |
| ატლანტასი | 11 | 8 | 1 | 2 | 24:11 | 25 |
| ეკრანასი | 12 | 5 | 3 | 4 | 24:15 | 18 |
| ინკარასი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| ნევეჟისი | 11 | 3 | 4 | 4 | 7:11 | 13 |
| საკალასი | 12 | 3 | 2 | 7 | 12:20 | 11 |
| გელეჟინისი | 11 | 3 | 1 | 7 | 10:13 | 10 |
| ვეტრა | 11 | 3 | 1 | 7 | 10:24 | 10 |
| დაინავა | 11 | 0 | 1 | 10 | 7:36 | 1 |

## ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები

**ინგლისი 3:0 მექსიკა**

1:0 კრისტი (49), 2:0 დეფო (74), 3:0 ბოტროიდი (85)

## ჰოლანდია

### „ამსტელის" თასის ფინალი

**პსვ ეინდჰოვენი 0:0 (პენ. 3:4) ტვენტე**

**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰოფლანდი, ბუმა (მაინცე 99), რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი, კეჟმანი (კოლკა 70), ბრუგინკი (დე იონგი 70), ვან ნისტელროი

**მწვრთნელი:** ერიკ გერეტსი

**ტვენტე:** ბოსხერი, ჰულშოფი, გრუიჩი, პოტუიზენი (კარნებეეკი 95), პოლაკი, ვან დერ ლაანი, ტენ ჰაგი, ვან დერ ლეეგტე (მიუბაჩი 99), დე ვიტე (კაირო 79), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ს. ბუთი

45 000 მაყურებელი

## მაკედონია

### თასის ფინალი

**სლოგა იუგომაგნატი 1:2 პელისტერი**

0:1 ვ. მიჩევსკი (14), 1:1 ნიპიჯი (24), 1:2 სტოიკოვსკი (36)

## ესტონეთი

### თასის ფინალი

**ტრანსი 1:0 დ.დ. (0:0) ფლორა**

1:0 კუროცკინი (111)

## დანია

### თასის ფინალი

**აკადემისკი 1:4 სილკებორგი**

1:0 აკიდა (14), 1:1 ბ. პედერსენი (50), 1:2 ტ. პოულსენი (63), 1:3, 1:4 ბ. პედერსენი (74, 89)

## ბულგარეთი

### თასის ფინალი

**ლოვეჩი 1:0 დ.დ. (0:0) ველბაჟდი**

1:0 იურუკოვი (91)

## ლუქსემბურგი

### თასის ფინალი

**ეტელბრუკი 5:3 ვილცი**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# ეგებმოგება

ამბობენ, ფინალები საცქერლად არ ვარგაო.

ფეხბურთი ზოგადად ხან ვარგა, ხან არ ვარგა. ფინალებიც, რაღა თქმა უნდა — ვარგა, ან არ ვარგა. წინა კვირაში ვარგოდა, ამ კვირაში არ ვარგოდა. თუმცა, ოლივერ კანმა სამი პენალტი აიღო თამაშის შემდეგ.

და საერთოდ, რას ნიშნავს „ვარგა“ და „არ ვარგა“?

ეს „ვარგა-არ ვარგა“ ყველას თავისი აქვს და რა გასაკვირია, მეც ჩემი მქონდეს. ჩემთვის, თამაში ვარგა, თუ გუნდები მოსაგებად გადიან მინდორზე და არ ვარგა, როცა ისინი არწასაგებად გადიან. ეს ძალიან ზოგადი განმარტებაა, მაგრამ შეუვალი უნდა იყოს, როცა საქმე სათასო შეჯიბრებებს ეხება. გასაგებია, როცა პატარა გუნდი დიდ გუნდს ხვდება სათასო შეხვედრაში და არწაგებისთვის იბრძვის, მაგრამ როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალში საბოლოოდ მოგებული გუნდი ოთხმოცდაათ წუთში მხოლოდ ორჯერ ურტყამს კარში, ხოლო წაგებული ერთადერთხელ და ისიც არა კარში, არამედ კარის მიმართულებით, მომკალით და თამაში არ ვარგა.

არ ვარგა, რაც არ უნდა მოხდეს, თუნდაც კანმა სამი პენალტი აიღოს. იმიტომ, რომ პენალტები თამაშის შედეგია. და სანახაობრივად ყოველთვის ვარგა, იმიტომ პენალტებია და ვალდებული ხარ, ბურთი კარში დაარტყა.

რახან ამბობენ ფინალები საცქერლად არ ვარგაო, იგულისხმება, რომ რაღაც სხვა ამბავში ვარგა.

ეს სხვა ამბავი ოთხშაბათს აღარ იყო. საერთოდ, იმ თამაშში თუკი რამე იყო მეტნაკლებად საინტერესო გამარჯვებულის ვინაობის გარდა, „ბაიერნის“ თამაში პირველ ტაიმში. მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში მიუნხენელებმა ანგარიში გაათანაბრეს და ალარწაგების სურვილით ანთებულნი ნაცად, არწაგება — ეგებმოგების გზას დაადგნენ.

არიან მწვრთნელები, რომლებსაც შეუძლიათ კარში ჩააყენონ გუნდები და მაინც შექმნან სილამაზე მეტოქის კართან. მაგრამ არიან მწვრთნელები, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ, რას ფიქრობენ მათზე გულშემატკივრები. ექტორ კუპერი ზუსტად ასეთი მწვრთნელია, ოტმარ ჰიტცფელდი კი მდგომარეობის გამოა ასეთი მწვრთნელი. ბოლო სამ წელიწადში ისინი ორ-ორჯერ გავიდნენ ფინალში და ვერ მოიგეს. „ბაიერნმა“ კი აიღო თასი, მაგრამ თამაში ვერ მოიგო. დიდებული იქნებოდა, ლიგის ფინალი ასეთი ვერმოგებით მაინც მოეგო, გერმანიის ჩემპიონის ჩემპიონობა რომ მოიგო. მაგრამ ფინალში ასეთი მოგება არ ხერხდება, იქ აუცილებლად ერთით მეტი უნდა გაიტანო. ამ ორმა კაცმა ვერც ერთხელ ვერ მოიგო ფინალი და ეს ორი კაცი დიდებული მწვრთნელია, მაგრამ, მთელ ამათ ფილოსოფიაზე ბევრად მაღლა გიჟი და გადარეული მეკარე დგას.

გმირობა ამ ეგებმოგების თამაშში ერთადერთ კაცს ეკუთვნოდა და სწორედ ეს კაცი შეიქნა გმირი — ოლივერ კანი. აი, ოთხშაბათის ფინალი თავიდან ბოლომდე.



# ძალიან სულელი კაცი



## თბილისში ამას ნაღდად დააზღვევდნენ

**გუშინწინდელ** და გუშინდელ „სარბიელში“ უკვე მოვყევით იმ კაცის ამბავი, რომელმაც განთქმულ საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილს“ ოცდაათ პენსში (ჩვენებურად ერთი ლარიც არ გამოდის) ნახევარი მილიონი გირვანქა მოუგო. ამ კაცმა, რომლის სახელიც მოკ გიმსია, გამოიცნო: ინგლისის პრემიერლიგის, პირველი დივიზიონის, მეორე დივიზიონის, მესამე დივიზიონის, მეხუთე (!) დივიზიონის, შოტლანდიის პირველი დივიზიონის, მეორე დივიზიონის, მესამე დივიზიონის, რაგბის ჩემპიონატის, კრიკეტის თასის და ჩემპიონატის, ჩემპიონთა ლიგის და კიდევ სამი შეჯიბრის გამარჯვებულთა ვინაობა.

თბილისელი მეკუშე შემომედავება — როგორ ბედავ, ამ კაცს სათაურში სულელს უწოდებო. არადა, გეფიცებით, მართლა სულელია.

აი, რატომ: რომ ვამბობთ, ოცდაათ პენსში ნახევარი-მილიონი მოიგოო, მთლად ასეც არაა საქმე. მეკუშეს 1296 ვარიანტი ჰქონდა შევსებული — თითო ოცდაათ პენსიანი, რაშიც სულ (გადასახადის ჩათვლით, რაც ინგლისურ ტოტალიზატორებშია მიღებული) 458 გირვანქა გადაიხადა.

ახლა წარმოგიდგენიათ, კაცს 458 გირვანქა აქვს გადახდილი, თხუთმეტიდან თოთხმეტი შედეგი გამოიცნო და მეთხუთმეტეს ელოდება. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, დააზღვევდით თუ არა მეთხუთმეტე შედეგს? ამას კი აზრად არ მოსვლია!

„ტელევიზორთან ვიჯექი და ვფიქრობდი, ღმერთო, ნახევარ მილიონს ვიგებ, მაგრამ „ბაიერნმა“ თასი რომ ვერ აიღოს, მთელი ფული მეკარგება“ — გაიხსენა, მოგვიანებით იღბლიანმა მოთამაშემ.

ამ დროს გაისკა მენდიეტამ პენალტი გაიტანა მესამე წუთზე...

„ძალიან ცუდად გავხდი. ვგრძნობდი, რომ ამას ვერ გადავიტანდი. თამაშის ყურება ველარ შევძელი და ანგარიში მერელა მითხრეს“.

აი, ასეთია სულელი კაცის ამბავი, რომელმაც სხვათა შორის, ორი წლის წინ ას გირვანქაში 157400 გირვანქა მოიგო.

**გიორგი დარჯანია**


ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

იყიდება როტვეილერის ლეკვები
☎ 39 42 65
(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)


# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

მაშ ასე, დასრულდა უეფას ჩემპიონთა ლიგის 2000-01 წლების გათამაშება, რომელმაც წინა გათამაშებათა მსგავსად ევროპის უდიდესი საკლუბო ჯილდოს მფლობელი გამოავლინა. გუნდი, რომელმაც ვეებერთელა ვერცხლის თასი ერთი წლით თავის ქალაქში წაიღო, ხოლო ვეებერთელა ფულის მასა ჯიბეში, გახლავთ მიუნხენის „ბაიერნი“.

დიახ, რა წაიღო „ბაიერნმა“ ნათელია, მაგრამ გაცილებით ბუნდოვანია რა მისცა მან საფეხბურთო სამყაროს. სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ითხოვდა „სარბიელის“ კოსმოპოლიტური ბიუროს ოფისის წინ შეკრებილი ინგლისური ფეხბურთის მოტრფიალე ქართველთა მრავალათასიანი დემონსტრაცია, ხელში უშველებელი პლაკატით: „ჩემპიონთა თასი მორალურად „მანჩესტერ იუნაიტედისაა“.

ბუნებრივია, კოსმოპოლიტური ბიუროს ექსპერტთა ჯგუფი ეგზალტირებული მოსახლეობის სურვილს შიშნარევი გაგებით მოეკიდა და ჩაატარა ღრმა ანალიზი, რომელმაც გვაჩვენა, რომ „ბაიერნმა“ მსოფლიოს ფეხბურთს მისცა:

სახე!

დაბნეულთა საყურადღებოდ: აქ ლაპარაკი არ არის თბილისურ პოპ-ჯგუფ სახეზე.

მაშ რაზეა ლაპარაკი? — იკითხავს ანალიტიკური გონების მქონე ადამიანი. კოსმოპოლიტური ბიუროს ექსპერტები უპასუხებენ: აქ ლაპარაკი გამომეტყველებას ეხება — ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა იმან, ვის ფეხბურთელებსაც ყველაზე ჭკუაგადაცდენილი სახეები ჰქონდათ.

მიუნხენის „ბაიერნის“ ქომაგ ქართველთა საყურადღებოდ: თუ ამ დასკვნის წაკითხვის შემდეგ კოსმოპოლიტური ბიუროს ოფისის დამტვრევა მოგინდათ, ჩვენი მისამართია: თბილისი, რუსთაველის გამზირი, მასიური შენობა, წინიდან ფართო კიბეებით.

თუმცა ნუ იჩქარებთ, ნუ იფიქრებთ, რომ ველურ გამომეტყველებათა შეჯიბრებაში მიუნხენელებმა იოლად გაიმარჯვეს. არამც და არამც! მას ღირსეული მეტოქეთა გაუწიეს რიგმა გუნდებმა, განსაკუთრებით კი „ვალენსიამ“ ფინალში. ხოლო ვალენსიელთა შორის გამოირჩეოდნენ გოლკიპერი სანტიაგო კანისარესი და კილი, თუმცა მათ განწყობილებას აშკარად არღვევდა ჟოსელინ ანგლომას ფრიად კეთილი გამომეტყველება.

და მაინც, სანტიაგო კანისარესი და კილი დამარცხდნენ. დამარცხდნენ, რადგან მათ გერმანელთა მხრიდან ოლივერ კანი და შტეფან ეფენბერგი დაუპირისპირდნენ, რაც ჩვენი აზრით, ფრიად ლოგიკურია.

თავად განსაჯეთ, კანისარესს გიჟური იერის მისაღებად თმის შეღებვა და პეპისავით გრძელი წინდების ჩაცმა დასჭირდა, კანი კი ბუნებრივობითაა ძლიერი. ისევე, როგორც ეფენბერგი. ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ შტეფან ეფენბერგი ფეხბურთის თამაშის დროს, აღელვებისგან ხდება თავისებური შესახედავი? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ შინ, შვილისთვის ბაჭიაზე ლექსის კითხვის დროს სხვა გამომეტყველება აქვს?

წარმოიდგინეთ, ეფენბერგი სამზარეულოში ბავშვს პირისპირ უდგას და უმღერის:

ეს საწყალი კურდღელი,
ძლიერ ავად გამხდარა...

გაიმარჯვებდა, აბა, რას იზამდა?! აბა, ინძაგიანი „იუვენტუსი“ ხომ არ მოიგებდა?!

აი, გაისად ფაბიო კაპელოს, ფრანჩესკო ტოტისა და ძებინას, ერთი სიტყვით „რომას“ დიდი შანსი ექნება.

მაშ ასე, დადგინდა რაც არის ახალი სიტყვა თანამედროვე ფეხბურთში. ეს არის სახე! ამიტომაც გთავაზობთ, მომავალ ზაფხულს ინტერესით მივადევნოთ თვალი ტრანსფერებს. იქნებ სადმე, რომელიმე ქვეყანაში მომავლის გუნდიც ამოვიცნოთ.

**ბაჩუნა ძიძია**

**გულშემატკივართა საყურადღებოდ: ის, ვინც განმეორებით ნახა „ბაიერნ“ — „ვალენსიას“ ფინალი, დაჯილდოვდება სამუელ კუფურის პატარა ქანდაკებით. მოგვწერეთ ზემომოყვანილ მისამართზე.**





სახეები

## იტალია

პაატა კედია



პირველი წრის „მილანი" — „რომა" 3:2 დასრულდა.
მილანელთა სამი გოლიდან ორი ანდრეი შევჩენკოსი (№7) იყო

# ეგრეა რომა?!

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| ფიორენტინა | — | ატალანტა |
| რეჯინა | — | ბარი |
| ვერონა | — | ბოლონია |
| ინტერი | — | ლაციო (ბარიში) |
| უდინეზე | — | ნაპოლი |
| ლეჩე | — | პარმა |
| იუვენტუსი | — | პერუჯა |
| ბრეშა | — | ვიჩენცა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 31 | 21 | 7 | 3 | 62:29 | 70 |
| ლაციო | 31 | 20 | 5 | 6 | 60:33 | 65 |
| იუვენტუსი | 31 | 18 | 10 | 3 | 55:26 | 64 |
| პარმა | 31 | 15 | 8 | 8 | 47:25 | 53 |
| მილანი | 31 | 12 | 11 | 8 | 53:42 | 47 |
| ინტერი | 31 | 12 | 8 | 11 | 42:44 | 44 |
| ატალანტა | 31 | 10 | 13 | 8 | 36:30 | 43 |
| ფიორენტინა | 31 | 10 | 12 | 9 | 51:46 | 42 |
| ბოლონია | 31 | 11 | 9 | 11 | 42:44 | 42 |
| პერუჯა | 31 | 10 | 11 | 10 | 47:49 | 41 |
| ბრეშა | 31 | 8 | 13 | 10 | 38:39 | 37 |
| უდინეზე | 31 | 10 | 4 | 17 | 46:56 | 34 |
| ვიჩენცა | 31 | 8 | 9 | 14 | 33:44 | 33 |
| ლეჩე | 31 | 7 | 12 | 12 | 35:49 | 33 |
| ნაპოლი | 31 | 7 | 10 | 14 | 31:48 | 31 |
| რეჯინა | 31 | 8 | 6 | 17 | 28:47 | 30 |
| ვერონა | 31 | 7 | 7 | 17 | 31:53 | 28 |
| ბარი | 31 | 5 | 5 | 21 | 29:62 | 20 |

**იტალიის** პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ერთხელაც შეიძლება დაისვას კითხვა: ჩემპიონის ტიტულს მართლა „რომა" მოიპოვებს? ამ კითხვას აქამდე მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა — დიახ! ასეთ პასუხს თავად „რომა" იძლეოდა. ის ყველა კრიტიკულ მომენტში სულის უტეხობას და მაღალ კლასს ამჟღავნებდა. რის დასტურადაც თუნდაც ის ორი ტური გამოდგება, როდესაც კალენდარმა ჯერ რომაულ დერბიში „ლაციოს" დააჯახა, მერე კი ტურინში, გამგელებულ „იუვენტუსთან" გადატყორცნა. ორივე შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა და სკუდეტოს მოცილენი უშუალო ბრძოლაში დარწმუნდნენ, რომ საქმე კერკეტ კაკალთან აქვთ.

ახლა „რომას" „მილანი" ეწვევა. რა მოხდება, თუ ფაბიო კაპელოს გუნდი გატყდება და „სტადიო ოლიმპიკოზე" გამარჯვებას „შავ-წითლები" მოიპოვებენ? მხოლოდ ამით არც არაფერი, მაგრამ თუ იმავდროულად „ლაციომ" ბარიში „ინტერს" აჯობა, მაშინ ლიდერსა და მეორე ადგილზე მყოფს შორის სხვაობა ორ ქულამდე შემცირდება, წინ კი ორი ტური იქნება დარჩენილი.

ახლა დავუშვათ, „ლაციომ" ვერ მოიგო, მაგრამ ტურინში „იუვენტუსმა" „პერუჯას" სძლია. მაინც დაიძაბება მდგომარეობა, რადგან ამ შემთხვევაში ტურინელები წამოეწევიან რომაელებს ერთი მოგების მანძილზე.

ვარიანტები ბევრია. ვთქვათ, „ლაციომ" ფრედ ითამაშა და „იუვენტუსმა" მოიგო... ვთქვათ, „რომამ" და „მილანმა" ფრედ ითამაშეს, ხოლო „ლაციომ" და „იუვენტუსმა" გაიმარჯვეს... ფაქტი ერთია: იმისთვის, რომ სერია A-ს ბოლო ორი ტური საგანგებო ინტერესის საგნად იქცეს, „მილანმა" „რომასთან" არ უნდა წააგოს.

და „მილანის" მოტივაცია რაღაა? „მილანი" ჯერ კიდევ ოცნებობს მეოთხე ადგილზე გასვლას და ჩემპიონთა ლიგაში ადგილის დაბევებაზე. ამისთვის მან ქულები არ უნდა დაკარგოს, ხოლო „პარმამ" პირიქით, ქულა ქულაზე უნდა გაფლანგოს. „პარმა" ამ ტურში ლეჩეში თამაშობს.

მაშ ასე, „სტადიო ოლიმპიკომ" მნიშვნელოვან კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი. ამისთვის კი ფაბიო კაპელო და ჩეზარე მალდინი ასეთი შემადგენლობებით ემზადებიან:

*„რომა": ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ძაგო, კაფუ, ტომაზი, ასუნსაო, კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, მონტელა.*

*„მილანი": ს. როსი, ჰელვეგი, როკე ჟუნიორი, მალდინი, კოკო, გულიელმინპიეტრო, ჯუნტი, პალაძე, სერჟინიო, კომანდინი, შევჩენკო*

„ჩვენთვის ეს მატჩი გამოწვევაა" — ამბობს „შავ-წითელთა" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო — „მე ჯერ არ დამიკარგავს იმედი, რომ მეოთხე ადგილს მოვიპოვებთ. ვიცით, რომ რომაელები მაქსიმალურად მოინდომებენ. მათ ხომ ამ ტურში დიდი იმედი აქვთ, რომ ჩვენ დაგვამარცხებენ, ხოლო „ინტერი" „ლაციოს" აჯობებს. ვგრძნობთ, რომ ჩვენი გამარჯვებისა ძალიან ცოტას სწამს, მაგრამ გარწმუნებთ, წინ დიდი ბრძოლაა".

დიახ, „რომას" იმედი აქვს, რომ თავად „მილანს" დაამარცხებს, ხოლო „ინტერი" „ლაციოს". ამ შემთხვევაში მათ შორის სხვაობა რვა ქულა გახდება ანუ „ლაციო" თავიდან ეყოლება მოცილებული და მხოლოდ „იუვენტუსზე" იფიქრებს... აი, „იუვენტუსმაც" თუ „პერუჯას" ვერ მოუგო, მაშინ ჩემპიონი გამხდარა და ეგ არის.

ახლა, ცოტა სტატისტიკას ჩავხედოთ. „რომა" და „მილანი" „სტადიო ოლიმპიკოზე" 66-ედ ხვდებიან ერთმანეთს. აქედან „რომამ" 18-ჯერ გაიმარჯვა, 24 შეხვედრაში ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მოიგო, ხოლო „მილანს" 24-ჯერ ხვდა წარმატება.

მიმდინარე სეზონში „მილანმა" სტუმრად სამჯერ გაიმარჯვა, 6-ჯერ ფრედ ითამაშა, ხოლო 6-ჯერ დამარცხდა, ხოლო „რომამ" შინ 11 თამაში მოიგო და 4 ფრედ დაასრულა.

მეტოქეთა მწვრთნელები, ფაბიო კაპელო და ჩეზარე მალდინი ერთმანეთს პირველად ხვდებიან.

დისკვალიფიცირებულნი არც ერთ გუნდს არ ჰყავს.

## ესპანეთი

გიორგი დარჩანია

# ქეიფი შინ ჯობია!

| XXXVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| რეალი | — | ალავესი |
| ლას პალმასი | — | სელტა |
| ხვალ | | |
| ბილბაო | — | მალაგა |
| რასინგი | — | ვალენსია |
| დეპორტივო | — | ვალიადოლიდი |
| ბარსელონა | — | ოვიედო |
| მალიორკა | — | რაიო ვალეკანო |
| ნუმანსია | — | ესპანიოლი |
| ვილიარეალი | — | ოსასუნა |
| სარაგოსა | — | სოსიედადი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 35 | 22 | 7 | 6 | 73:38 | 73 |
| დეპორტივო | 35 | 20 | 7 | 8 | 67:42 | 67 |
| ვალენსია | 35 | 18 | 8 | 9 | 52:29 | 62 |
| მალიორკა | 35 | 17 | 11 | 7 | 49:39 | 62 |
| ბარსელონა | 35 | 16 | 11 | 8 | 75:52 | 59 |
| სელტა | 35 | 14 | 10 | 11 | 48:48 | 52 |
| ვილიარეალი | 35 | 14 | 9 | 12 | 52:51 | 51 |
| მალაგა | 35 | 14 | 8 | 13 | 55:55 | 50 |
| ალავესი | 35 | 14 | 7 | 14 | 55:48 | 49 |
| ესპანიოლი | 35 | 13 | 8 | 14 | 42:36 | 47 |
| ბილბაო | 35 | 11 | 10 | 14 | 42:51 | 43 |
| ლას პალმასი | 35 | 12 | 7 | 16 | 39:58 | 43 |
| სარაგოსა | 35 | 9 | 13 | 13 | 52:54 | 40 |
| რაიო ვალეკანო | 35 | 9 | 13 | 13 | 54:62 | 40 |
| სოსიედადი | 35 | 10 | 9 | 16 | 48:65 | 39 |
| ვალიადოლიდი | 35 | 8 | 14 | 13 | 37:45 | 38 |
| ოვიედო | 35 | 10 | 7 | 18 | 47:62 | 37 |
| ოსასუნა | 35 | 8 | 12 | 15 | 41:52 | 36 |
| რასინგი | 35 | 9 | 8 | 18 | 43:59 | 35 |
| ნუმანსია | 35 | 8 | 9 | 18 | 35:60 | 33 |

**დღეს** „სანტიაგო ბერნაბეუ" გაივსება და ალბათ გადაირევა. რომ გაივსება უეჭველია, აი, გადარევის ამბავი კი მატჩის შედეგზეა დამოკიდებული — დაამარცხებს „რეალი" „ალავესს" და ყველა დანარჩენ თამაშს, ამ ტურის ცხრას და დარჩენილი ტურების ოცს, აზრი დაეკარგება, 1997 წლის შემდეგ პირველად, ხოლო ისტორიაში ოცდამერვედ სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონი გახდება.

არის სხვა ვარიანტებიც, „დეპორტივომ" კვირას შინ უნდა წააგოს „ვალიადოლიდთან" — „რეალი" ამ შემთხვევაშიც ჩემპიონია, მაგრამ აბა, სად 75 ათასი ქომაგის თვალწინ მოპოვებული გამარჯვება და სად ტელევიზორში გაგებული ცნობა.

ამას ადასტურებს ივან ელგერაც: „ჩემპიონობას ძალიან დიდხანს ველოდით და ზეიმის გადადება ერთი დღითაც არ გვსურს. „ალავესი" აუცილებლად უნდა დავამარცხოთ".

„რეალს" დღეს არ ეყოლება აიტორ კარანკა და მას ივან კამპო შეცვლის. ასევე საეჭვოა, მინდორზე გუტის ყოფნა. სამაგიეროდ, გუნდშია სტივ მაკმანამანი, რომელიც ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა მექსიკასთან სათამაშოდ, გუნდში არ მიიწვია.

ყველაფერი ბევრად უფრო მარტივად იქნებოდა, გამარჯვება მხოლოდ „რეალს" რომ სჭირდებოდეს. ფაქტობრივად, მადრიდელთათვის ჩემპიონობის მაინცდამაინც დღეს გაფორმებას ზემოთ ნახსენები მიზეზი აქვს, თორემ ბოლო ორ ტურში ბევრად სუსტი მეტოქეები ელის.

„ალავესის" საქმე კი უფრო რთულადაა — ევროტურნირს შეჩვეული გუნდისთვის მომავალი სეზონის მის მიღმა გატარება ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ უეფას თასის გამო ვიტორიელებმა შინაურ პირველობაზე ისე წაიხდინეს საქმე, რომ საეჭვოა. შესწვდება თუ არა ეს სიმპათიური გუნდი თუნდაც მეშვიდე ადგილს, რათა ევროპული გზა ინტერტოტოდან მაინც დაიწყოს. დღეს საკითხი ასე დგას — თუ „ალავესმა" წააგო, ევროპაზე ოცნებას უნდა დაემშვიდობოს. ამიტომაც „რეალი" — „ალავესი" ალბათ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული მატჩი გამოდგება.

იმის თქმა, რა მოხდება ლა კორუნიაში, ერთობ ძნელია და ეს მადრიდულ ამბებზეა დამოკიდებული. „რეალის" გამარჯვება გალისიელებს (ga-

მაშინ ხალისს დაუკარგავს, დამარცხება კი... მაშინ იცოცხლეთ, მაგარი თამაში წავა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ სანტანდერში, რომელსაც ხვალ „ვალენსია" სტუმრობს. ალბათ, გული სწყდებათ, ლიგა გერმანელებმა რომ მოიგეს, რადგან საპირისპირო შემთხვევაში ვალენსიელები „რასინგს", ალბათ, ნახევარი ძალით ეთამაშებოდნენ. ახლა კი „ვალენსიას" ლიგის საგზურისთვის ბრძოლა უხდება, ბოლო ტურში „კამპ ნოუ" ელის და მაჩანჩალა „რასინგთან" ქულების დაკარვის უფლება არა აქვს. თუმცა სანტანდერელები მაინც ცდილობენ თავის დამშვიდებას, მილანიდან მობრუნებული ვალენსიელები ისე დაღლილი და ნირწამხდარი არიან, ეგებ რამე მოვუხერხოთო.

„ოვიედოს" მცირე იმედიც არ უნდა ჰქონდეს. მიზეზთაგან რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ერთი, რომ „ოვიედო" გასვლაზე ყველასთან აგებს და „კამპ ნოუზე" რას გახდება, მეორე — „ბარსელონას" ჰაერივით სჭირდება სამი ქულა და ეს მიზეზები უიმედობისთვის საკმარისი თუ არაა, მეტს ველარაფერს დავუმატებთ. ჰო, სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნდა პატრიკ კლუივერტი, რომელიც წინა ტურში სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

„მალიორკა" უმასპინძლებს „რაიო ვალეკანოს". ამათ წინა მატჩებს თუ გავიხსენებთ, აუცილებლად შევნიშნავთ, რომ კუნძულელებს სულ უფრო და უფრო უჭირთ გამარჯვება, თუმცა მაინც იგებენ. აი, „რაიოს" ქომაგებს, ვფიქრობთ, თბილისში ბევრნი არ უნდა იყვნენ, ვერაფრით გავახარებთ, რადგან მადრიდულმა გუნდმა წინა ხუთ მატჩში ოდენ ორი ქულა მოიხვეჭა, გვარიანად დაქვეითდა და „მალიორკასთან" ჰელდერიც არ ეყოლება, რომელიც წინა უქმეებზე გააძევეს.

„რეალ სოსიედადმა" გვიან, მაგრამ მაინც იპოვა თავისი სახე, რასაც წინა ორ მატჩში მისი თამაში ადასტურებს. ერთი გამარჯვებაც და ვფიქრობთ, სან სებასტიანელები საბოლოო ასცდებიან გასავარდნთა ზონას. მათ საქმეს ისიც აიოლებს, რომ „სარაგოსას" მოტივაცია დაკარგული აქვს.

იგივეს ვერ ვიტყვით „სელტაზე", „მალაგასა" და „ვილიარეალზე", რომლებიც მეექვსე ადგილისთვის, ანუ უეფას თასზე მოსახვედრად იბრვიან.

კანარის კუნძულებზე ჩასულ „სელტას" არ ჰყავს რუსი ვალერი კარპინი, რომელმაც წინა ტურში ჩადენილი უწესო საქციელისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და სეზონის დასრულებამდე მეტი არცაა დარჩენილი.

„ვილიარეალში" დაბრუნდა ტრავმამოშუშებული ხავიერ კალეხა, მალაგელებს კი ბილბაოში ასევე ტრავმამოშუშებული დარიო სილვა გაჰყვა.




რაული და „რეალი"
ჩემპიონობისთვის ემზადებიან

NBA. კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# საპყრის ცემას რა უნდა?

**აღმოსავლეთი**

24 მაისი

| | |
|---|---|
| ფილადელფია | 1 |
| მილუოკი | 1 |

**ფილადელფია 78:92 მილუოკი**

ფილადელფია: მაკკი (21), მუტომბო (18 ქულა, 20 მოხსნა), აივერსონი (16)
მილუოკი: ალენი (38), რობინსონი (16), კასელი (14 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

**ჯერ იყო** ინდიანელი რეჯი მილერი, მას „ტორონტო" მოჰყვა თავისი ვინს კარტერით, ახლა კი რეი ალენი და მისი „მილუოკი" უშრობენ სისხლს აღმოსავლეთში საუკეთესო „ფილადელფიას". ლიგის პირველ მოთამაშეს, ალენ აივერსონს ყოველთვის კარგად ვერ გამოსდის ამ ყოჩაღი ბიჭების წინაამდეგ თამაში, ვერც „ფილადელფია" იგებს ყველა შეხვედრას.

24 მაისს „მილუოკი ბაქსმა" იოლად დასცა „ფილადელფია" და სერიაში ანგარიში სტუმრადვე გაათანაბრა. აი, ასეთი საჩუქარი მიიღო „სიქსერზის" თავკაცმა ლარი ბრაუნმა, რომელიც წინა დღით სეზონის მწვრთნელად დაასახელეს. მისმა ნაქებმა შეგირდებმა, რომელთაგან სამი სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოა ნბა-ში, ვერაფერი მოუხერხეს „მილუოკის".

მარცხი ყველაზე მეტად ლიგის უძლიერეს მოთამაშეს, ალენ აივერსონს აწევს ცოდვად. მისი საამატჩო 16 ქულა, მაშინ, როდესაც საშუალოდ თითქმის ორ ამდენს აგროვებს, სასაცილოა. ოღონდ არა ფილადელფიელთათვის, რომელთაც მათი ლიდერის მიერ 21 სროლის აცილება (26-დან!) წაგებად დაუჯდათ. აივერსონმა გააფუჭა პირველი 11 სროლა, შემდეგ ჩააგდო და ყველას გაახსენა წინა თამაში, სადაც მან, სანამ მიზანს გაისწორებდა, ზედიზედ ცხრაჯერ ისროლა არაზუსტად. თუმც ამჯერად ეს ვერ მოახერხა, პირველი გლების შემდეგ კვლავ ააცილა ზედიზედ ხუთი. იმ საღამოს აივერსონმა გამოიყენა ყველა იარაღი, რაც არსენალში მოეძევება — სწრაფი გარღვევები, ნახევარგარღვევები მოულოდნელი სროლით, სამქულიანები (რვა სროლიდან ყველა ააცილა) და რომ არაფერი გამოუვიდა, პასების გაკეთებას მიჰყო ხელი (9 პასი). მაგრამ არავისთვისაა საიდუმლო, რომ აივერსონი შეტევების დაგვირგვინებაშია მომაკვდინებელი და არა ორგანიზებაში, ამიტომ „ფილადელფიაც" წასაგებად გაიწირა. ამაში გასაკვირი არაფერია. არ არსებობს მოთამაშე, რომელსაც ყველა მატჩი თანაბრად კარგად ჩაეტარებინოს. უფრო საოცარი ის გახლავთ, რომ აივერსონს არავინ ასამართლებს, თვით მწვრთნელი ლარი ბრაუნიც კი, რომელსაც შარშან მსგავსი თამაშისთვის შეგირდი, ვინ იცის, იქნებ გუნდის მტრადაც კი გამოეცხადებინა. არც თქვენ გაგიკვირდებათ, როდესაც ამის მიზეზს შეიტყობთ.

„კარიერის მანძილზე რამდენიმე მძიმე ტრავმა მიმიღია, მაგრამ ეს ყველაზე მძიმეა, რადგან მოქმედებს ჩემს სისწრაფესა და სროლაზე" — ამბობს აივერსონი. დიახ, იგი ჯანზე ვერაა და ამასთან სხეულის არაერთი ნაწილი სტკივა. სასროლი ხელის იდაყვის ტრავმას მან როგორღაც რაღაც მოუხერხა, მთელი ხელი შეიხვია და კარგა ხანია, ასე დაბორკილი თამაშობს, ახლა კი დაშავებულ თეძოსა და მტკივან მკერდსაც შეუწუხებია: „კარგი იქნება, შინ დარჩეს და შემდეგი თამაში გამოტოვოს, ასე იგი სამ დღეს დაისვენებდა" — ამბობს ბრაუნი. აი, ასე სერიოზულადაა საქმე. „ჩემიანების ღალატი იქნება, თუ ასე გავაგრძელე თამაში. არადა, ვგრძნობ, მატჩიდან მატჩამდე უფრო მიუარესდება ჯანმრთელობა" — წუხს აივერსონი.

„ფილადელფიას" ცხელი დღეების გადატანა მოუწევს. ისევე, როგორც 24 მაისს, „მილუოკი" შეეცდება, კვლავ ისარგებლოს აივერსონის ტრავმით, რეი ალენმა კი ეგებ უფრო ფართოდ გაშალოს ფრთები. ამ თამაშში იგი საუკეთესო იყო მოედანზე მყოფთაგან და აკი მიითვალა საპლეიოფო კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 38 ქულა. სხვათა შორის, მან სრულიად კარიერის რეკორდიც წლევანდელ „ფილადელფიასთან" შეხვედრაში დაამყარა — 42 ქულა. ამ მატჩში მან შვიდი სამქულიანი ჩაუგდო დაკოჭლებულ მასპინძლებს, აქედან სამი პირველ მეოთხედში, რომელიც „ბაქსმა" 32:16 მოიგო და შემდეგ ათ ქულაზე ახლოს მეტოქე არ გაიკარა. ამასთან, სწორედ ალენი მეურვეობდა აივერსონს და ამ უკანასკნელის ტრავმების გარდა მილუოკელის დამსახურებაცაა, ფილადელფიელმა სროლების ოთხი მეხუთედი რომ ააცილა. „ალენის (აივერსონის) წინააღმდეგ ყოველთვის კარგად ვთამაშობ. თვითონ ალენი გაიძულებს ამას" — ამბობს მილუოკელი. სერიის მესამე მატჩში, რომელიც მილუოკიში 26 მაისს უნდა გაიმართოს, რეი ალენი უთუოდ შეეცდება საკუთარი რეკორდის გაუმჯობესებას.

**ირაკლი ფირაშვილი**

## თურქეთი

**პლეი ოფი**

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| ტელეკომი | 3 |
| ფენერბაჰჩე | 2 |

ტელეკომი 90:79 ფენერბაჰჩე

ნახევარფინალი (სამ მოგებამდე)

ულქერი — ტელეკომი (1:0)

ეფესი — დარუშაფაკა (1:1)

*ნახევარფინალები 26 მაისს დაიწყება*

## იტალია

**პლეი ოფი**

მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| აეროპორტი | 1 |
| ბენეტონი | 3 |

ბენეტონი 107:101 აეროპორტი

| | |
|---|---|
| სკავოლინი | 2 |
| სნაიდერო | 2 |

სნაიდერო 77:76 სკავოლინი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## საბერძნეთი

XXVI ტური

**ირაკლიონი — არისი 101:80, ნიარ ისტი — პანიონიოსი 61:71, პერისტერი — პანათინაიკოსი 66:61, ოლიმპიაკოსი — პაოკ 98:87, მილონი — დაფნი 75:99, აეკ — მარუსი 98:73, ირაკლისი — მაკედონიკოსი 82:76**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 26 | 22 | 4 | 2173:1855 | 48 |
| პერისტერი | 26 | 22 | 4 | 2130:1835 | 48 |
| ოლიმპიაკოსი | 26 | 21 | 5 | 2181:1948 | 47 |
| აეკ | 26 | 20 | 6 | 2207:1947 | 46 |
| პანიონიოსი | 26 | 16 | 10 | 2211:2026 | 42 |
| ირაკლისი | 26 | 16 | 10 | 2152:2144 | 42 |
| პაოკ | 26 | 13 | 13 | 1979:2017 | 39 |
| მარუსი | 26 | 11 | 15 | 2229:2212 | 37 |
| დაფნი | 26 | 10 | 16 | 2091:2149 | 36 |
| ირაკლიონი | 26 | 9 | 17 | 2135:2256 | 35 |
| ნიარ ისტი | 26 | 8 | 18 | 2021:2184 | 34 |
| არისი | 26 | 7 | 19 | 1969:2250 | 33 |
| მილონი | 26 | 4 | 22 | 2058:2426 | 30 |
| მაკედონიკოსი | 26 | 3 | 23 | 1997:2284 | 29 |

**პლეი ოფი**

პირველი წრე (ორ მოგებამდე)

ოლიმპიაკოსი — ირაკლისი

აეკ — პანიონიოსი

*პირველი წრის მატჩები დაიწყება 26 მაისს*

ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

პანათინაიკოსი — აეკ ან პანიონიოსი

პერისტერი — ოლიმპიაკოსი ან ირაკლისი

*ნახევარფინალები დაიწყება 6 ივნისს*

NHL. სტენლის თასი. ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# ფინალი:
## თასის მფლობელი ჩემპიონატის გამარჯვებულის წინააღმდეგ

***დღეს ნჰლ-ში ფინალი იწყება. დადგა დრო, რისთვისაც 30 გუნდი 9 თვის განმავლობაში იბრძოდა. ყველა გუნდს თავისი ქომაგი ჰყავს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ პლეი ოფის უმთავრეს სერიაში მართლაც ღირსეულნი მოხვდნენ. მათ ეს ყველაზე მეტად დაიმსახურეს. მაშ, ასე, თასის ამჟამინდელი მფლობელი რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულის, ანუ აღმოსავლეთის ჩემპიონი დასავლეთის ჩემპიონის წინააღმდეგ.***

| კოლორადო | ნიუ ჯერსი |
|---|---|
| თამაშები გაიმართება 26, 29, 31 მაისს, 2 ივნისს, და, თუ საჭირო გახდა 4, 7, 9 ივნისს | |
| **მიღწევები** | |
| თასის ერთგზის მფლობელი (1996) | თასის ორგზის მფლობელი (1995, 2000) |
| **მწვრთნელები** | |
| ბობ ჰარტლი მე-3 სეზონი კოლორადოში | ლარი რობინსონი მე-2 სეზონი ნიუ ჯერსიში |
| **საუკეთესო ხუთები** | |
| ალექს ტანგეი (2 გოლი+12 პასი) — ჯო საკიკი (9+8) — მილან ჰეიდუკი (7+13) | პატრიკ ელიაში (7 გოლი+11 პასი) — ჯეისონ არნოტი (7+6) — პეტერ სიკორა (8+10) |
| **ტრავმები** | |
| პეტერ ფორსბერგი (ელენთის ოპერაცია გაიკეთა) | არ ჰყავს |

### გზა ფინალისკენ

ნიუჯერსელთა თავკაცმა ლარი რობინსონმა ერთხელ თქვა, ერთ გუნდსაც არ შეუძლია, სათასო დისტანცია ჩავარდნისა და კრიზისულ სიტუაციაში მოხვედრის გარეშე ჩაატაროსო. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, ნიუ ჯერსი უკვე იყო ასეთ ჩიხში, როცა ტორონტოსთან სერიაში 2:3 აგებდა. ასე რომ, ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

მიუხედავად ამისა, ტორონტოსთანაც და დანარჩენ ორ სერიაშიც ნიუ ჯერსი მეტოქეს სჯობდა და დამსახურებულად იგებდა, ხოლო სირთულეებს გულუბრყვილობით იქმოდა, შესაძლებლ...ბის ზედმეტი რწმენის გამო.

კოლორადოს ორი მატჩით ნაკლები დასჭირდა ფინალში გასვლისთვის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაკლებად გაუჭირდა. თავად ვანკუვერთანაც (4:0) კი არ წასვლია კოლორადოს საქმე იოლად. წარმატებას მეტწილად ლიდერების თავგანწირვით აღწევდა. ამიტომაც სენტ ლუისთან სერიაში „ეველანშს" ფავორიტად აღარ თვლიდნენ. მით უმეტეს, რომ პეტერ ფორსბერგი მძიმედ დაშავდა. თუმც შვედის არყოფნამ მის პარტნიორებზე დადებითად იმოქმედა. მათ შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლენს და ეს დანაკლისი აინაზღაურეს. ფორსბერგმა ორი კვირის წინ გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ჰოკეისტმა წუხელ ივარჯიშა კიდეც. მართალია, თავად პეტერიც და ექიმებიც პრაქტიკულად გამორიცხავენ მის მონაწილეობას ფინალში, მაგრამ... ეს იქნებ ტაქტიკური ილეთიც იყო. არაფერია გამორიცხული.

### შემადგენლობა

ფორსბერგთან ერთად და განსაკუთრებით მის გარეშე, ნიუ ჯერსის შემადგენლობა მაინც უფრო დაბალანსებული ჩანს. შეტევის ოთხივე ხაზს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა. მართალია, პიტსბურგთან სერიაში გოლების უმრავლესობა არნოტის ტრიომ მიითვალა, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ დანარჩენი სამეულები ბევრად ჩამორჩებიან. უბრალოდ, სხვებს, განსაკუთრებით სკოტ გომესსა და ალექსანდრ მოგილნის, ბედი არ სწყალობდათ. კოლორადოს რიგებში პირველ ორ სერიაში მხოლოდ პირველი ორი ხაზი გამოირჩეოდა, ფორსბერგის ტრავმის შემდეგ კი მთელი ტვირთი ჯო საკიკის სამეულს დააწვა. თუმც სენტ ლუისთან ბოლო ორ მატჩში რგოლებში გადაადგილებების შედეგად მანამდე ნაკლებად აქტიურმა სტეფან იელიმ, შონ პოდეინმა და დეივ რიდმა ისახელეს თავი. ფინალში კი ისინი, ალბათ, მეტ წვლილს შეიტანენ საერთო საქმეში.

დაცვა და მეკარეები გუნდებს დაახლოებით თანაბარძალიანნი ჰყავთ. თუმც კოლორადოში ყველაზე მეტად დატვირთულნი მაინც რობ ბლეიკი, რეი ბურკი და ადამ ფუტი არიან, რომლებიც მოედანზე სათამაშო დროის ნახევარს ატარებენ. გოლკიპერებს, როგორც პატრიკ რუას, ასევე მარტინ ბროდოს, ჰქონდათ ჩავარდნები, მაგრამ ფინალს ორივე ჩინებულ ფორმაში ხვდება.

რიცხვმრავლობაში ნიუ ჯერსის ორი თითქმის თანაბარი ბრიგადა ჰყავს, ხოლო მცველი ბრაიან რაფალსკი ბოლო მატჩებში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს. კოლორადოში კი რიცხოვბრივი უპირატესობისას ყველაზე ნაყოფიერი ისევ საკიკის რგოლია.

### საკვანძო მომენტები

ისევე, როგორც თანამედროვე ფეხბურთში, ჰოკეიშიც ამჟამად ბევრი რამ მოედნის შუაგულში წყდება. ასე რომ, ამ ზონის გადალახვა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ეს განსაკუთრებით კოლორადოს ეხება, რომელსაც საკმაოდ უჭირს, როცა მეტოქე მის ზონაში შაიბას დიდხანს ათამაშებს, მით უმეტეს, რომ ნიუ ჯერსის ლიდერები ფიზიკურად უფრო ძლიერნი არიან.

თავის მხრივ, ნიუ ჯერსისაც მოეძებნება სუსტი მხარე. თუ გუნდი დაწინაურების შემთხვევაში კვლავ მოდუნდება და თამაშის სანახაობრივი მხარე გაიტაცებს, ამას შეიძლება საბედისწერო შედეგი მოჰყვეს, რადგან კოლორადო „ეშმაკთა" წინა მეტოქეებზე ძლიერია და ამას არავის აპატიებს.

ემოციური ფაქტორიც ნუ დაგვავიწყდება. კოლორადომ წლეულს მესამე ცდაზე დასძლია კონფერენციის ფინალის ბარიერი და ახლა ფრთაშესხმულია. გარდა ამისა, „ეველანშს" ისეთი კაციც ჰყავს, უთასოდ წავიდეს დიდი ჰოკეიდან, არაფრით იქნება. ეს დიადი რეი ბურკია, რომელსაც თავის 22-წლიან ბრწყინვალე კარიერაში სტენლის თასი არასოდეს მოუგია. და საერთოდ, გამარჯვება სწყურია მთლიანად კოლორადოს — „ეველანშის" ახალ თაობას (1996 წლის შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ექვსი კაცი დარჩა) ხომ ჯერ არაფრისთვის მიუღწევია.

**სამველ ლარიბიანი**



ბოლო ვარჯიში ფინალის წინ: კოლორადოელი ჯო საკიკი (მარცხნივ) და ნიუჯერსელი ჯეისონ არნოტი

# ROLAND GARROS 2001

ორი დღეც და პარიზში სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირი — საფრანგეთის ღია პირველობა, იგივე როლან გაროსი დაიწყება. პრესტიჟულობით უიმბლდონთან მობაექრე ფრანგებს ლამანშისგაღმელთა დაჩრდილვა უახლოეს ხანებში, ალბათ, არ გამოუვათ, მაგრამ ჩემპიონატის მონაწილე ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა ლეგიონი უახლოესი ორი კვირის მანძილზე ძალ-ღონეს არ დაიშურებს მთავარი ჯილდოსა და რამდენიმე მილიონი ფრანკის ხელში ჩასაგდებად.

# ჩემპიონატი უჩემპიონოდ

## ვაჟების ბადე



1/32

კუერტენი (1) — კორია
შერჩეული — კალერი
ალამი — სანგვინეტი
ბ. ბლექი — ლევი
ლოდრა — ბრუგერა
შერჩეული — მაიუ
მალისი — მასიუ
შერჩეული — გემბილი (15)
კლემანი (12) — პუერტა
მანტია — ულირახი
რობრედო — სლუიტერი
ვოლჩკოვი — ლინარი
ჰრბატი — გაუდიო
როსე — ო. როშიუ
ტ. მარტინი — შერჩეული
ლი — კაფელნიკოვი (7)
ფერერო (4) — კუბეკი
ლუბიჩიჩი — შერჩეული
შერჩეული — იუჟნი
სოლნიე — შერჩეული
პასკუალე — ნოვაკი
პიოლინი — პაველი
გუსტაფსონი — აკასუსო
ილი — ენკვისტი (14)
ჰენმანი (11) — შერჩეული
შალკენი — გოლდსტაინი
ვანეკი — ა. მარტინი
კანასი — კ. როშიუ
როდიკი — დრეიპერი
პოპი — ჩანგი
ბიორკმანი — შერჩეული
მატიე — ჰიუიტი (6)
სამპრასი (5) — შერჩეული
შუტლერი — ბლანკო
პრინოშილი — ბურგსმიულერი
აინაუი — მედვედევი
დიუპუი — ესკუდე
ჰაასი — გოლმარი
ტომანი — შერჩეული
ტაბარა — გროჟანი (10)
სკილარი (16) — სიმერინკი
შერჩეული — ვინსიგერა
დამი — სტოლიაროვი
ვუდრაფი — შერჩეული
დოსედელი — ლაპენტი
კრატოხვილი — მელიგენი
კოსტა — ბუტე
იოჰანსონი — აგასი (3)
რაფტერი (8) — არტურსი
ბალსელსი — კიფერი
ფერერა — რიოსი
პოცი — კუტლო
შერჩეული — ფედერერი
სარგსიანი — შერჩეული
მოია — შერჩეული
სანჩესი — ნორმანი (9)
კორეჩა (13) — ზაბალეტა
კნიპშილდი — ვისენტე
ელსნერი — არაზი
მირნი — ლარსონი
პორტასი — რუზეცკი
შერჩეული — სანტორო
კლავეტი — კალატრავა
ჰიპფლი — საფინი (2)



საფრანგეთის ღია პირველობა წლეულს საიუბილეოდ, მეასედ ტარდება, თუმცა ამ მრგვალ და ლამაზ თარიღს ტურნირის ისტორიაში ჩახედულები არაერთ „მაგრამ“-ს მოუძებნიან. ჯერ ერთი, პირველად ჩემპიონატი 100 წლის წინ კი არა, 1891-ში ჩატარდა, მასში სულ რამდენიმე მოთამაშე იღებდა მონაწილეობას და მათ შორის ერთი უცხოელიც არ ერია.

გადამთიელთათვის ტურნირი კიდევ 30 წლის მანძილზე არ იყო „ღია“, ახლანდელი ადგილ-სახელი კი კიდევ უფრო გვიან მიიღო. 1928 წელს დევისის თასის ფინალში ლეგენდარული ფრანგი მუშკეტერების (ბრუნიონი, ბოროტრა, კოშე და ლაკოსტი) ამერიკელებთან შებრძოლების ხილვის მსურველი იმდენი აღმოჩნდა, საფრანგეთის ვერც ერთი სტადიონი ვერ დაიტევდა.

ჩოგბურთის ფედერაციას მხსნელად ელიტარული კლუბი „სტად ფრანსე“ მოევლინა, რომელმაც ახალი სპორტული კომპლექსის ასაგებად 3 ჰექტარი მიწა გამოყო და მხოლოდ ერთი პირობა წამოაყენა — სტადიონს კლუბის წევრის, პირველ მსოფლიო ომში დაღუპული მფრინავის, როლან გაროსის სახელი დარქმეოდა. ასე დაიმკვიდრა არაერთი რეკორდის მფლობელმა პილოტმა ადგილი ჩოგბურთის ისტორიაში.

დღეისთვის მრავალჯერ გაფართოებულ კომპლექსს უკვე სამჯერ მეტი ტერიტორია უჭირავს და მესიე გაროსის გარდა სიუზან ლენგლენის კორტით, მარსელ ბერნარის ხეივნითა და მუშკეტერების მოედნით სხვა ისტორიული პერსონაჟების სახელებსაც უკვდავყოფს.

რეკონსტრუქციული სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს. შარშან ცენტრალური კორტის 50 პროცენტი მიწასთან გაასწორეს და ხელახლა ააგეს, ამასთან, რამდენიმე თვის წინ გარდაცვლილი საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, ფილიპ შატრიეს სახელიც უწოდეს. წლეულს ახალი სატელევიზიო ცენტრი ამუშავდება, გაისად კი უკვე „ჩოგბურთის მუზეუმიც“ გაიხსნება.

| ქალები | |
|---|---|
| ბოლო 10 წლის გამარჯვებულები | |
| 1991 | მონიკა სელეში — არანჩა სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:4 |
| 1992 | სელეში — შტეფი გრაფი 6:2, 3:6, 10:8 |
| 1993 | გრაფი — მერი ჯო ფერნანდესი 4:6, 6:2, 6:4 |
| 1994 | სანჩეს-ვიკარიო — მარი პირსი 6:4, 6:4 |
| 1995 | გრაფი — სანჩეს-ვიკარიო 7:5, 4:6, 6:0 |
| 1996 | გრაფი — სანჩეს-ვიკარიო 6:3, 6:7(4:7), 10:8 |
| 1997 | ივა მაიოლი — მარტინა ჰინგისი 6:4, 6:2 |
| 1998 | სანჩეს-ვიკარიო — სელეში 7:6(7:5), 0:6, 6:3 |
| 1999 | გრაფი — ჰინგისი 4:6, 7:5, 6:2 |
| 2000 | პირსი — კონჩიტა მარტინესი 6:2, 7:5 |

სანამ დიაცებში წლევანდელი გათამაშების ფავორიტებზე გადავალთ, შარშანდელ ჩემპიონ მარი პირსს უნდა მივუსამძიმროთ. ტანმშვენიერმა ფრანგმა ორიოდ დღის წინ თავისი ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა: „ბევრი ვიფიქრე, მდგომარეობა ავწონდავწონე, ექიმებსაც მოვეთათბირე და ძალიან მძიმე გადაწყვეტილება მივიღე — წლეულს საფრანგეთის ღია პირველობაზე არ ვიასპარეზებ. ზურგი გამუდმებით მტკივა, მე კი მსურს, ერთხელ და საბოლოოდ გამოვჯანმრთელდე და კიდევ უფრო მძიმე ტრავმის შიში არ მქონდეს“.

პირსს შარშანდელ როლან გაროსზეც აწუხებდა გაუსაძლისი მხრის ტკივილი, თუმცა ყინულის ტომსიკებისა და გამაყუჩებლების დახმარებით მარათონს ბოლომდე გაუძლო. სამაგიეროდ, ამის შემდეგ ფრანგმა სეზონის ბოლომდე სულ ხუთიოდ მატჩი გამართა, ახალ სეზონშიც ლამის სხეულის ყველა ორგანო დაიშავა და ისეთ ცუდ ფორმაში გახლდათ, პარიზში გამარჯვების მცირე შანსიც კი არ ექნებოდა. შესაძლოა, მარი უმადურ ფრანგ ქომაგებსაც შეუშინდა, რომლებიც კარიერის მანძილზე მხარდაჭერაზე მეტად სტვენით „ამხნევებდნენ“.

ისე, მასპინძლებს გული შეიძლება დიდად არც დასწყდეთ. ტურნირის უპირველეს ფავორიტად ხომ მაინც მათი თანამემამულე, ამელი მორესმო რჩება. 21 წლის კუნთმაგარმა ლესბოსელმა წლეულს WTA ტურზე ყველაზე მეტი, 4 ტიტული მოიპოვა. ბოლო კვირებში თითქმის ყველა უშუალო კონკურენტს პირად ორთაბრძოლებშიც აჯობა და თავისიანების მხურვალე ქომაგობის იმედიც უნდა ჰქონდეს.



„ერთი სული მაქვს, როლან გაროსი როდის დაიწყება. უკვე რამდენიმე თვეა, საგანგებოდ ვემზადები ამ ტურნირისთვის და დიდი იმედი მაქვს, რომ მარი პირსის მსგავსად მეც შევძლებ გამარჯვებას“ — აღნიშნა რომში მორესმომ. ფრანგს საქმე იმანაც უნდა გაუიოლოს, რომ მის მოცილეებს, ლინდსი დევენპორტს, სერენა უილიამსს და ელენა დემენტიევას, მცირე თუ მსხვილი ტრავმები აწუხებთ და პარიზს თითქმის ყოველგვარი სათამაშო პრაქტიკის გარეშე ეწვივნენ, სამგზის ჩემპიონმა მონიკა სელეშმა კი ბოლო წამს საერთოდ უარი თქვა თამაშზე.

მორესმოს გარდა როლან გაროსის ტიტულზე კიდევ ორი ჯან-ღონით სავსე დიაცი — ჯენიფერ კაპრიატი და ვინუს უილიამსი აცხადებს რეალურ პრეტენზიას. თიხნარი საყვარელი საფარი ამათგან არც ერთისთვისაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავს.

სწორედ ამ მხრივ მოიკოჭლებს ყველაზე მეტად მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი. 20 წლის შვეიცარიელს წითელ მიწაზე მეტოქეთა ძლევა ძალიან უჭირს, დედასთან და მწვრთნელთან, მელანი მოლიტორთან დაშორების შემდეგ დიდი მიღწევებითაც ვერ დაიკვეხნის, ამიტომ ესოდენ სასურველ მთავარ ჯილდოს, ალბათ, წლეულსაც ვერ შესწვდება.

| ვაჟები | |
|---|---|
| ბოლო 10 წლის გამარჯვებულები | |
| 1991 | ჯიმ კურიე — ანდრე აგასი 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4 |
| 1992 | კურიე — პეტერ კორდა 7:5, 6:2, 6:1 |
| 1993 | სერხი ბრუგერა — კურიე 6:4, 2:6, 6:2, 3:6, 6:3 |
| 1994 | ბრუგერა — ალბერტო ბერასატეგი 6:3, 7:5, 2:6, 6:1 |
| 1995 | ტომას მუსტერი — მაიკლ ჩანგი 7:5, 6:2, 6:4 |
| 1996 | ევგენი კაფელნიკოვი — მიხაელ შტიხი 7:6(7:4), 7:5, 7:6(7:4) |
| 1997 | გუსტავო კუერტენი — ბრუგერა 6:3, 6:4, 6:2 |
| 1998 | კარლოს მოია — ალექს კორეჩა 6:3, 7:5, 6:2 |
| 1999 | აგასი — ანდრეი მედვედევი 1:6, 2:6, 6:4, 6:3, 6:4 |
| 2000 | კუერტენი — მაგნუს ნორმანი 6:2, 6:3, 4:6, 7:6(8:6) |

საერთოდ, ვაჟების ჩოგბურთში პროგნოზების კეთება ქალებისაზე გაცილებით ძნელია, წლეულს კი ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის საერთოდ დიდ დომხალს უნდა ველოდეთ. თიხნარის სეზონი წლეულს საუკეთესოდ ორმა მოთამაშემ — გუსტავო კუერტენმა და ხუან კარლოს ფერერომ ჩაატარა, თუმცა ერთსაც და მეორესაც ჯანმრთელობის მხრივ მთლად კარგად ვერ აქვს საქმე.

თუ „გუგა“ ქრონიკულად მტკივანი საზარდულით თამაშს ლამის დაეჩვია კიდეც, იმავე ტრავმით შეწუხებულ ესპანელს ორშაბათს სიარულიც კი უჭირდა. ფერეროს კინაღამ უარის თქმა მოუხდა როლან გაროსზე ასპარეზობაზე, თუმცა მისი მწვრთნელის, ანტონიო მარტინესის განცხადებით, „მოსკიტო“ ტურნირის დაწყებამდე მომჯობინებას შეძლებს.

ზემოხსენებული დუეტის გარდა დარჩენილ 126 ჩოგბურთელიდან ვინმეს გამოყოფა ძალიან ძნელია. თიხნარზე ფავორიტებად, წესით და რიგით, მარატ საფინი, ანდრე აგასი და მაგნუს ნორმანიც უნდა ითვლებოდნენ, მაგრამ მათ კლასით დაბალ მეტოქეებთან წაგების გარდა ბოლო კვირებში თავი არაფრით გამოუჩენიათ. ალბათ, უპრიანი იქნება, ცოტათი მივიწყებული ესპანური არმადის მეფლაგმანეები — ალექს კორეჩა, კარლოს მოია და ალბერტ კოსტაც გავიხსენოთ.

სამწუხაროდ, ძირითად ბადეში კვლავ ვერ მოხვდა ჩვენი თანამემამულე ირაკლი ლაბაძე. 19 წლის თბილისელი საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ წრეში იტალიელი მარკო მენესკინჩერის დამარცხების შემდეგ მასპინძელი ჟან-ფრანსუა ბაშლოს ველარ გაუმკლავდა — 6:3, 2:6, 3:6.

**ავთანდილ სვანიძე**

## ქალების ბადე



1/32

ჰინგისი (1) — გარსია
კასტანო — ბარტოლი
შერჩეული — მაკქუილანი
კრეიბასი — კლეინოვა
შერჩეული — მისკინა
ბოვინა — ნეიდლი
პუჩეკი — დომინიკოვიჩი
ბუტი — მალეევა (13)
კუტცერი (10) — ლამადე
რუანო-პასკუალი — ჰოპკინსი
კასიკი — მონტოლიო
ვავრინეცი — სკიავონე
ბრედშო — შნიდერი
ბუგერტი — კ. ბლექი
სტივენსონი — ჰანტუჩოვა
სიდო — მარტინესი (8)
კაპრიატი (4) — ლუა
შერჩეული — გარბინი
ვაინგარტნერი — შერჩეული
ნოლა — შერჩეული
ვენტო — ანდრეტო
ჰუსაროვა — ჩერვანოვა
ტუ — ფუზე
პისნიკი — შონესი (16)
სანჩეს-ვიკარიო (11) — შერჩეული
ფრეზერი — შერჩეული
პეტროვა — ჰაბსუდოვა
ტულიაგანოვა — სერნა
შერჩეული — რიტნერი
შერჩეული — ტანასუგარნი
შერჩეული — კასონი
პიტკოვსკი — ს. უილიამსი (6)
დემენტიევა (7) — ბეგბედერი
ნაგიოვა — სმეშნოვა
დეში — მოლიკი
ოსტერლო — კრუგერი
ჰრდლიჩკოვა — სფარი
დრაგომირი — მარერო
ბაზევა — დიას-ოლივა
შერჩეული — კლაისტერსი (12)
დოკიჩი (15) — გერში
ირვინი — ჰოპმანსი
შერჩეული — სუგიამა
ლიხოვცევა — ლოს რიოსი
პრატი — იაგინიაკი
ტორენს-ვალერო — გარიგესი
მაიოლი — გრანდე
კანდარი — დევენპორტი (3)
მორესმო (5) — კრასნარუცკაია
კუტი კისი — შერჩეული
კრემერი — გალიარდი
ხლადკოვა — ორემანსი
გლასი — რეიმონდი
ბედანოვა — ფორე
სანჩეს ლორენსო — პანოვა
ფარინა — ტოზია (9)
ენენი (14) — ასაგოე
ხოსე მარტინესი — სუარესი
ჯეიასლანი — ჰუბერი
რაზანო — პინი
ლაგოსტერა — ტალაია
ტესტიუ — პლიშკე
კარლსონი — ბრანდი
შეტი — ვ. უილიამსი (2)

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## პროპო

**ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი**
**28 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 001 | ბოლტონი-პრესტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 002 | რედინგი-უოლსოლი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 003 | ბლეკპული-ლეიტონი | 2,4 | 3,2 | 2,6 |

**იტალია. სერია A. 32-ე ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 004 | ბრეშა-ვიჩენცა | 2,1 | 2,1 | 4,4 |
| 18.00 | 005 | ფიორენტინა-ატალანტა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 006 | ინტერი-ლაციო (ნეიტრ.) | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 18.00 | 007 | იუვენტუსი-პერუჯა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 18.00 | 008 | ლეჩე-პარმა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 18.00 | 009 | რეჯინა-ბარი | 1,15 | 4,0 | 8,0 |
| 18.00 | 010 | რომა-მილანი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 18.00 | 011 | უდინეზე-ნაპოლი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.00 | 012 | ვერონა-ბოლონია | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**იტალია. სერია B. 36-ე ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | ანკონა-რავენა | 1,45 | 3,3 | 6,0 |
| 18.00 | 014 | კოზენცა-პისტოიეზე | 1,7 | 2,8 | 3,8 |
| 18.00 | 015 | ჯენოა-კროტონე | 1,6 | 2,5 | 4,7 |
| 18.00 | 016 | მონცა-ემპოლი | 2,5 | 2,7 | 2,1 |
| 18.00 | 017 | პესკარა-ტორინო | 5,3 | 3,5 | 1,25 |
| 18.00 | 018 | პიაჩენცა-სამპდორია | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 019 | სალერნიტანა-ჩიტადელა | 1,55 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 020 | სიენა-კალიარი | 2,2 | 2,6 | 3,3 |
| 18.00 | 021 | ტერნანა-ტრევიზო | 1,5 | 3,2 | 3,8 |
| 18.00 | 022 | ვენეცია-კიევო | 1,6 | 2,5 | 4,2 |

**იტალია. სერია C/1. პლეი-ოფი. I მატჩები**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 023 | სპეცია-კომო | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 19.30 | 024 | არეცო-ლივორნო | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 19.30 | 025 | ასკოლი-მესინა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 19.30 | 026 | აველინო-კატანია | 2,2 | 2,5 | 3,6 |

**იტალია. სერია C/2. პლეი-აუტი. I მატჩები**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 027 | ბრეშელო-კარარეზე | 2,2 | 2,4 | 4,0 |
| 19.30 | 028 | ატლეტიკო-ლოდიჯანი | 2,0 | 2,5 | 4,0 |
| 19.30 | 029 | ვიტერბეზე-ნოჩერინა | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 19.30 | 030 | რეჯანა-ალძანო | 2,2 | 2,5 | 3,6 |

**ესპანეთი. 1-ლი დივიზიონი. 36-ე ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 031 | რეალი-ალავესი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| 01.00 | 032 | ლას პალმასი-სელტა | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 033 | ბილბაო-მალაგა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 034 | რასინგი-ვალენსია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 21.00 | 035 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 21.00 | 036 | ნუმანსია-ესპანიოლი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 22.00 | 037 | მალიორკა-რაიო ვალეკანო | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 22.00 | 038 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 039 | ბარსელონა-ოვიედო | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 040 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. 39-ე ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 041 | უნივერსიდადი-სევილია | 3,6 | 2,8 | 1,9 |
| 21.30 | 042 | ელჩე-ეიბარი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 21.30 | 043 | ფეროლი-სპორტინგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 21.30 | 044 | ხაენი-უელვა | 2,5 | 2,8 | 2,7 |

**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 045 | ატლეტიკო-ლეგანესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 21.00 | 046 | ბადახოსი-ალბასეტე | 2,8 | 2,7 | 2,5 |
| 21.00 | 047 | კორდობა-ლეიდა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 21.30 | 048 | კომპოსტელა-ლევანტე | 1,85 | 2,8 | 4,0 |
| 22.00 | 049 | ესტრემადურა-მურსია | 1,8 | 2,8 | 4,2 |
| 22.00 | 050 | ტენერიფე-სალამანკა | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.00 | 051 | ბეტისი-ხეტაფე | 1,45 | 3,2 | 6,5 |

**პორტუგალია. I ლიგა. 34-ე ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 052 | გიმარაეში-ფარენსე | 1,25 | 3,8 | 4,4 |
| 20.00 | 053 | სპორტინგი-მარიტიმუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 20.00 | 054 | ალვერკა-კამპომაიორენსე | 2,0 | 3,5 | 2,6 |
| 20.00 | 055 | ჟილ ვისენტე-ფერეირა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 056 | სალგეირუში-ბელენენსეში | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.00 | 057 | ავეში-ბენფიკა | 3,4 | 3,2 | 1,8 |
| 20.00 | 058 | პორტუ-ბოავიშტა | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 059 | ბეირა მარი-ამადორა | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 20.00 | 060 | ბრაგა-ლეირია | 1,55 | 3,3 | 3,8 |

**პორტუგალია. II ლიგა. 34-ე ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 061 | იმორტალი-ლეცა | 1,5 | 3,4 | 3,2 |
| 20.00 | 062 | ვარზიმი-ოვარენსე | 1,1 | 5,6 | 10,0 |
| 20.00 | 063 | ფრეამუნდე-ფელგეირაში | 3,2 | 3,4 | 1,5 |
| 20.00 | 064 | აკადემიკა-ნასიონალი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 20.00 | 065 | ლამაში-სანტა კლარა | 3,0 | 1,9 | 2,1 |
| 20.00 | 066 | მარკუ-რიუ ავე | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| 20.00 | 067 | პენაფიელი-შავეში | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 20.00 | 068 | ესპინიუ-მაია | 3,4 | 3,4 | 1,65 |
| 20.00 | 069 | სეტუბალი-ნავალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. 34-ე ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 070 | ჰერენვენი-ტვენტე | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 17.30 | 071 | უტრეხტი-გრონინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 17.30 | 072 | ნაიმეგენი-პსვ | 3,1 | 3,4 | 1,9 |
| 17.30 | 073 | ვალვაიკი-როდა | 2,4 | 3,5 | 2,1 |
| 17.30 | 074 | სიტარდი-ტილბურგი | 1,8 | 3,4 | 3,3 |
| 17.30 | 075 | სპარტა-ვიტესი | 5,3 | 4,0 | 1,35 |
| 17.30 | 076 | როზენდალი-ფეიენოორდი | 5,0 | 4,0 | 1,5 |
| 17.30 | 077 | გრააფსხაპი-ბრედა | 1,75 | 2,8 | 4,4 |
| 17.30 | 078 | აიაქსი-ალკმაარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. 34-ე ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 079 | დენ ჰააგი-ჰელმონდი | 2,2 | 3,3 | 2,2 |
| 22.00 | 080 | მაასტრიხტი-ჰერაკლესი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 22.00 | 081 | ტელსტარი-ეინდჰოვენი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.00 | 082 | ვენლო-ზვოლე | 2,9 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 083 | ვეენდამი-ოსი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 22.00 | 084 | იგლსი-ემენი | 1,45 | 3,6 | 5,6 |
| 22.00 | 085 | ვოლენდამი-კამბური | 1,95 | 3,1 | 3,3 |
| 22.00 | 086 | დენ ბოსხი-დორდრეხტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 087 | ექსელსიორი-ჰაარლემი | 1,45 | 3,8 | 3,8 |

**ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი. მე-5 ტური**
**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 088 | მოლენბეკი-ტურნჰაუტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 089 | გეელი-მონსი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ს[illegible]ერძნეთი. 30-ე ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 090 | ქსანთი-აეკ | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 22.30 | 091 | ირაკლისი-იონიკოსი | 1,55 | 3,4 | 5,0 |

**27 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 092 | ათინაიკოსი-ეთნიკოსი | 2,5 | 3,0 | 1,8 |
| 19.30 | 093 | პანიონიოსი-ოფი | 2,0 | 3,2 | 2,7 |
| 19.30 | 094 | იანინა-პანილიაკოსი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| 19.30 | 095 | კალამატა-პანათინაიკოსი | 4,7 | 3,6 | 1,4 |
| 19.30 | 096 | პაოკ-პანაჰაიკი | 1,4 | 3,8 | 3,8 |
| 21.30 | 097 | არისი-ოლიმპიაკოსი | 2,3 | 3,0 | 2,0 |

**თურქეთი. 34-ე ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 110 | იეთფა-იოზგათი | 2,4 | 3,2 | 1,7 |
| 19.00 | 111 | ქოჯაელი-ადანა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 19.00 | 112 | გენჩლერბირლიგი-ანთალია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 21.00 | 113 | სამსუნი-ფენერბაჰჩე | 4,2 | 2,2 | 1,7 |
| 21.00 | 114 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1,25 | 3,8 | 7,0 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-14 ტური**
**26 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 115 | სიონი-ლუგანო | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.15 | 116 | ბაზელი-სერვეტი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.15 | 117 | ციურიხი-ლოზანა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.15 | 118 | სენტ გალენი-გრასჰოპერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-14 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 20.30 | 119 | იანგ ბოის-ვილი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | 27 მაისი | | | |
| 19.15 | 120 | ბელინცონა-არაუ | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 121 | ივერდონი-ქსამაქსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.15 | 122 | ლუცერნი-ვინტერთური | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-14 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 20.30 | 123 | ვანგენი-კრინსი | 1,9 | 3,3 | 3,2 |
| 20.30 | 124 | ბადენი-ლოკარნო | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 125 | სოლოთურნი-დელემონი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| 20.30 | 126 | კარუჟი-თუნი | 2,2 | 2,0 | 3,2 |

**დანია. 31-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 მაისი | | | |
| 18.00 | 127 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 128 | აკადემისკი-ვიბორგი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 129 | ჰადერსლევი-ჰერფიოლგე | 3,3 | 3,5 | 1,85 |
| 18.00 | 130 | ოდენსე-ორჰუსი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 131 | კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.05 | 132 | სილკებორგი-ბრიონდბიუ | 2,4 | 3,2 | 2,4 |

**რუსეთი. მე-11 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 16.00 | 134 | ფაკელი-ზილ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 16.00 | 135 | დინამო-როსტსელმაში | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 16.00 | 136 | ტორპედო-სპარტაკი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| 16.00 | 137 | ალანია-ჩერნომორეცი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 16.00 | 138 | ანჟი-სოკოლი | 1,85 | 2,9 | 3,8 |
| 18.00 | 139 | კრილია-როტორი | 1,55 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 140 | სატურნი-ცსკა | 2,7 | 3,0 | 2,1 |

**შვედეთი. მე-8 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 მაისი | | | |
| 20.00 | 141 | სუნდსვალი-იურგორდენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.00 | 142 | ჰალმსტადი-ნორჩიოპინგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 143 | მალმიო-ჰამარბი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| | | 28 მაისი | | | |
| 22.00 | 144 | აიკ-ჰეკენი | 1,45 | 3,8 | 6,5 |
| 22.00 | 145 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1,45 | 3,8 | 6,5 |
| 22.00 | 146 | ელფსბორგი-იორებრო | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 23.00 | 147 | იორგრიტე-გიოტებორგი | 2,7 | 3,2 | 2,2 |

**ფინეთი. მე-9 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 მაისი | | | |
| 20.30 | 148 | ატლანტისი-როვანიემი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 149 | ლაჰტი-იოკერიტი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 150 | მიუპა-კუოპიო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | 28 მაისი | | | |
| 20.30 | 151 | ჰიკ-ინტერი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 20.30 | 152 | ტამპერე-ჰაკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**გერმანია. თასის ფინალი (ბერლინში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 22.30 | 153 | შალკე-უნიონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**საფრანგეთი. თასის ფინალი (პარიზში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 23.45 | 154 | სტრასბური-ამიენი | 1,6 | 3,3 | 5,0 |

**ბელგია. თასის ფინალი (ბრიუსელში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 მაისი | | | |
| 19.15 | 155 | ვესტერლო-ლომელი | 1,8 | 3,3 | 3,6 |

**ჩეხეთი. თასის ფინალი (პრაღაში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 28 მაისი | | | |
| 22.00 | 156 | სპარტა-უიუკოვი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**პოლონეთი. ლიგის თასის ფინალი. I მატჩი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 21.00 | 157 | ზაგლებე-ვისლა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**შოტლანდია. თასის ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 19.00 | 158 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ავსტრია. თასის ფინალი (ვენაში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 27 მაისი | | | |
| 19.30 | 159 | ტიროლი-კარნტენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**კალათბურთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 26 მაისი | | | |
| 02.30 | 802 | მილუოკი-ფილადელფია | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | | 27 მაისი | | | |
| 02.30 | 803 | ლოს ანჯელესი-სან ანტონიო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | 28 მაისი | | | |
| 02.30 | 804 | მილუოკი-ფილადელფია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

**კროკოს ადმინისტრაციის განცხადება**

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16, ფალიაშვილის ქუჩა №27) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16), მარნეულში (რუსთაველის ქუჩა №39) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# თორთლაძის გამოცანა, განერის ტრაგედია და ტშერის სიხარული

## როგორ მოხვდა ქართველი ტიბეტიდან ნეპალში?

**ჰიმალაის** უმაღლეს მწვერვალებზე ექსპედიციები ერთი-მეორის მიყოლებით ამთავრებენ წარმატებულ თუ წარუმატებელ ასვლებს. ბუნებრივია, ჩვენი ყურადღება მიპყრობილია თბილისელი გია თორთლაძისკენ.

როგორც თავის დროზე ვიუწყებოდით, გია თორთლაძე გაემგზავრა ევერესტზე, ეკოლოგიურ ექსპედიციაში, რომელსაც იაპონელი კენ ნოგუჩი მეთაურობდა. „აზია ტრეკინგის" მიერ ორგანიზებული ამ ექსპედიციის მიზანი იყო ჩრდილოეთიდან ევერესტის ფერდობების სხვათა ექსპედიციების ნარჩენებისგან გასუფთავება. მაშინ თორთლაძემ გვითხრა, რომ იგი ამ ექსპედიციის რამდენიმე წევრთან ერთად ევერესტზე ასვლას ეცდებოდა. მას მერე მოგაწოდეთ კიდევ ერთი ინფორმაცია, რომლის თანახმად ეს ექსპედიცია ტიბეტში გადავიდა და სალაშქრო გზას გაუდგა.

მას მერე ამ ექსპედიციის შესახებ არაფერი ისმის. ის კი გავიგეთ, რომ ნეპალის ტურიზმის სამინისტრომ გაავრცელა ცნობა, რომ ერთ-ერთ რვაათასიან ლჰოცზეს ასევე „აზია ტრეკინგის" საერთაშორისო ექსპედიცია უტევს. მასში არიან: პოლონელები ანა ჩერვინსკა, მარიუს ზალუსკი და ...გია თორთლაძე.

თუ როგორ მოხვდა თორთლაძე ტიბეტში ალმართული ჰიმალაის ჩრდილოეთის კალთებიდან ნეპალში ატყორცნილ სამხრეთის ფერდობებზე, ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ იმავე წყაროზე დაყრდნობით გაცნობებთ, რომ 21 მაისს ჩერვინსკა და ზალუსკი შერპ მთამსვლელ პასანგ ტჩერი შერპასთან ერთად ავიდნენ ლჰოცზეზე.

რაც შეეხება გია თორთლაძეს, მისი ამბავი გამოცანად რჩება. ლჰოცზეს მეზობლად აღმართულ დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სამხრეთის ფერდობებიდან კი სამწუხარო ამბავი მოვიდა. საერთაშორისო ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი, ავსტრიელი პიტერ გერფრიდ განერი 23 მაისს ევერესტზე ასვლისას 8500 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და მთელი ხუთასი მეტრი იფრინა. ცხადია, იგი დაიღუპა, გუშინ მიღებული ცნობის თანახმად კი ერთი დღით ადრე ევერესტზე ჩრდილოეთიდან ავიდა ნეპალელი შერპი ტემბა ტშერი, რომელიც 6 მაისს თექვსმეტისა გახდა. ამგვარად იგი მოგვევლინა ევერესტის ყველაზე ახალგაზრდა დამპყრობლად. მანამდე ასეთები იყვნენ 17 წლის მისი თანამემამულე შამბპუ ტამანგი და ფრანგი ბერტრან როშე.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ბოლო რვაათასიანიც დაეცა

***ოთხშაბათს, 23 მაისს, დილის 8 საათზე ოთხმა რუსმა მთამსვლელმა: კრასნოიარსკელმა პიოტრ კუზნეცოვმა, ეკატერინბურგელებმა სერგეი ტიმოფეევმა, ალექსეი ბოლოტოვმა და ევგენი ვინოგრადსკიმ აქამდე დაულაშქრავი ერთადერთი რვაათასიანის, ლჰოცზეს შუათანა პიკს მიაღწია.***

გუშინ მწვერვალზე ავიდნენ იმავე ექსპედიციის წევრები ნიკოლაი ჟილინი, გლებ სოკოლოვი და იური კოშელენკო.

ამავე ექსპედიციიდან მწვერვალისკენ დაიძრნენ იური ერმაჩეკი, ვლადიმირ იანოჩკინი და ვიქტორ ვოლოდინი.

ექსპედიცია გრძელდება.

მკითხველის ნაწილმა შესაძლოა იფიქროს, კი მაგრამ, რა ხანია დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი დალაშქრეს, მათგან ყველაზე გვიან ჯერ კიდევ 1964 წელს ავიდნენ შიშა პანგმაზე და რუსებმა მეთხუთმეტე ასეთი მწვერვალი სადღა აღმოაჩინესო.

საქმე ის გახლავთ, რომ იმ თოთხმეტი რვაათასიანიდან ხუთი მრავალთავიანია, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება. მაგალითად, კანჩენჯანღას ოთხი ასეთი თავი აქვს, ლჰოცზეს და ანაპურნას — სამ-სამი, მაკალუსა და ბროუდ პიკს — ორ-ორი. ამათგან, მიუხედავად რამდენიმე ცდისა, აქამდე ერთადერთი თავილა იყო დაულაშქრავი. ეს გახლდათ ლჰოცზეს შუათანა პიკი.

ლჰოცზეს მასივის სამივე თავი 1300-მეტრიან ქედზეა წამომართული. მათგან უმაღლეს ანუ მთავარ მწვერვალზე (8501მ. ზოგი მონაცემით 8511 და 8516მ.) პირველად 1956 წლის გაზაფხულზე ავიდნენ შვეიცარიელები ფრიც ლუხზინგერი და ერნსტ რაისმანი.

ამ გოლიათის მომდევნო მწვერვალი, რომელიც ადამიანებს დანებდა, ალმოსავლეთის პიკი იყო. მას უფრო ხშირად ლჰოცზე შარსაც უწოდებენ და მისი სიმაღლე 8400 მეტრია (ზოგი მონაცემით 8398). მასზე პირველამსვლელები არიან ავსტრიელთა ექსპედიციის წევრები ზეპ მაიერლი და როლფ ვალტერი, რომლებმაც მიზანს 1970 წლის 12 ნოემბერს მიაღწიეს. ძირითადად სწორედ ამ დროიდან იწყება ლჰოცზეზე ხშირი იერიშები, რის შედეგაც იგი წლევანდლამდე 151 კაცს დაულაშქრავს, მათ შორის ორს განმეორებით. ლჰოცზეზე ამსვლელთა შორის 3 ქალია.

ეს მწვერვალი გამოირჩევა ტრაგიკულ შემთხვევათა მინიმალური რაოდენობით. ამ მწვერვალს რვაათასიანთაგან ყველაზე ნაკლები — 9 კაცი ემსხვერპლა.

ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზე ამსვლელთა შორის ოთხი ქართველი მთამსვლელია. ესენი არიან: აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე, გელა ოთარაშვილი და ბენო ქაშაკაშვილი, რომლებიც რუსეთის ხუთკაციან ჯგუფთან ერთად გაერთიანებული ექსპედიციის წევრები იყვნენ. იმასაც შევახსენებთ, რომ ამ ექსპედიციას, რომელმაც შარშან მაისში მიაღწია წარმატებას, ბენო ქაშაკაშვილი მეთაურობდა.

მთავარ მწვერვალზე ამ ექსპედიციის წევრთა ასვლას წარმატება ალბათ პირობითად უნდა ვუწოდოთ. საქმე ისაა, რომ მაშინ მთამსვლელთა მიზანი მთავარი მწვერვალიდან გზის გაგრძელება და აუღებელი შუათანა პიკის დალაშქვრა იყო, რაც განუხორციელებელი დარჩა.

შუათანა პიკზე აქამდე აუსვლელობა იმით აიხსნება, რომ ამ მწვერვალს ძალზე ფრიალო კლდეები და დაჩეხილი რელიეფი აქვს. ეს ასეთი სიმაღლის პიკს თავის შედარებით ტანმორჩილი თანამოძმეებისგან განსხვავებით უკარებას ხდის, მით უმეტეს, რომ მასზე ასასვლელად საჭიროა ჯერ მთავარი მწვერვალის ან ლჰოცზე შარის დალაშქვრა, იქიდან კი ტრავერსით 1000-მეტრიანი დაჩეხილი ბასრი ქედის გავლა, რომელიც უშველებელი თოვლითაა დაფარული. ქედიდან გადაკიდებულია ისეთი ვეება კარნიზები, როგორიც მანამდე ჩვენს მთამსვლელებს არ უნახავთ, კარნიზის ჩანგრევა კი ნებისმიერ წამსაა მოსალოდნელი, მით უმეტეს თუ ზედ კაცი შედგება.

ცალ-ცალკე მთავარ მწვერვალზე ან ლჰოცზე შარზე ასვლა თავისთავად მართლაც საშარო და ცალკეული ექსპედიციების საქმეა. მაგალითად, ლჰოცზე შარზე აქამდე მოწყობილი 27 ექსპედიციიდან მიზანს მხოლოდ 7 გუნდის 20-მა მთამსვლელმა მიაღწია. ამის გათვალისწინებით ლჰოცზეს მთავარი პიკიდან ან ლჰოცზე შარიდან შუათანა მწვერვალზე ასასვლელად დამატებით 8300 მეტრ სიმაღლეზე და უფრო ზემოთაც ტრავერსის განხორციელება, რასაც კიდევ რამდენიმე დღე და უზარმაზარი ენერგია სჭირდება, მეტად საძნელოა. თუმცა, ამიერიდან ეს უკვე განვლილი ეტაპია.

აქამდე, რა თქმა უნდა, შუათანა პიკზე ასვლის ცდები იყო. პირველად (1987 წ.) ამგვარი მიზანი დიდბრიტანელებმა დაისახეს, მერე შვეიცარიელებმა (1988) და სამჯერ რუსებმა (1998-99 და 2000) და ერთხელ ქართულ-რუსული ექსპედიციის (2000) წევრებმა. მათგან პირველებმა ლჰოცზე შარზე მხოლოდ 7000 მეტრამდე ააღწიეს, შვეიცარიელები კი ავიდნენ ლჰოცზე შარზე, მაგრამ გზის გაგრძელება აღარ უცდიათ. ასევე დაემართათ რუსებს, რომლებმაც მიზნის მიღწევა ჯერ მთავარი მწვერვალის გავლით სცადეს, მერე ლჰოცზე შარიდან, მაგრამ საშინელმა უამინდობამ მათაც მიზანზე ხელი აალებინა. ამასთან, მათი ერთ-ერთი ექსპედიციის დაშვებისას დაიღუპა ცნობილი მთამსვლელი ვლადიმერ ბაშკიროვი. მისი ცხედარი მთავარ მწვერვალთან ახლოს, 8200 მეტრის სიმაღლეზე განისვენებს.

მეხუთე, ქართულ-რუსული ექსპედიციაც მხოლოდ მთავარ მწვერვალზე ასვლით გასრულდა, ხოლო მეექვსემ, რუსულმა, რომელიც იმავე წლის შემოდგომაზე განხორციელდა, ესეც ვერ მოახერხა.

და აი, მეშვიდემ, მთლიანად რუსულმა ექსპედიციამ, მიზანს მიაღწია. როგორც ნეპალის ტურიზმის სამინისტრო იუწყება, ოთხშაბათს მწვერვალი ოთხმა კაცმა 44 წლის სერგეი ტიმოფეევის მეთაურობით დ აშქრა. ოთხივე მთამსვლელი იმავე დღეს ლჰოცზეს ევერესტთან დამაკავშირებელ უნაგირაზე მდებარე საიერიშო ბანაკში 16 საათზე დაბრუნდა.

რუსთა ექსპედიციას ზურგს უმაგრებენ ნეპალელი მთამსვლელები: ნვანგ თენსინგი, ანგ კარმა და ნიმა თსერინგი.

ამ გუნდის ორი წევრი, ევგენი ვინოგრადსკი და გლებ სოკოლოვი ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრებიც იყვნენ. ისინი ლჰოცზეს შუათანა მწვერვალზე მანამდელი ორი ცდის მონაწილენი არიან.

54 წლის ევგენი ვინოგრადსკი არის სსრ კავშირისა და რუსეთის მრავალგზის ჩემპიონი. 1989 წელს საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად განახორციელა კანჩენჯანღას მასივის ოთხი რვაათასიანი პიკის მანამდე გაუგონარი ტრავერსი. ორჯერ (1991, 1996 წ.წ) ავიდა დედამიწის სიმაღლით მეორე მწვერვალ ჩო ოიუზე (იგივე K-2), სამჯერ (1992, 1995, 1998) დალაშქრა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი, გადმოიხედა (1996) ტანმორჩილ რვაათასიან შიშა პანგმადანაც. იყო ლჰოცზე შარზეც და ლჰოცზეს მთავარ პიკზეც (ქართველებთან ერთად).

გლებ სოკოლოვი სსრ კავშირისა და რუსეთის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორია. ასულა მაკალუზე (1996), ლჰოცზე შარზე და ორჯერ ლჰოცზეს მთავარ მწვერვალზეც (მეორედ — ქართველებთან).

**ავთანდილ გურასყვილი**




ევერესტი (მარცხნივ) და ლჰოცზეს მასივი (შუაში)



ასტანის სუპერტურნირი

# კრამნიკმა შანსი გაუშვა



**გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი — მოსისხლე მტრები დაფაზე და კარგი ნაცნობები მის გარეთ**

**ვლადიმირ კრამნიკმა** თეთრებით გარი კასპაროვის ძლევა ვერ მოახერხა. ასტანის სუპერტურნირის მეოთხე ტურში ამათი პარტია ცენტრალური იყო. გათამაშდა გრიუნფელდის დაცვა, ჯერ კიდევ კარპოვ-კასპაროვის ისტორიული მატჩების დროს პოპულარიზებული დებიუტი. ოცი სვლა თეორიის სრული კარნახით გაკეთდა, გაიცვალა ლაზიერები, მაგრამ დაფაზე ბლომად ფიგურები დარჩა და მხარეებს მდიდარი შესაძლებლობები ჰქონდათ. კრამნიკმა 24-ე სვლით შავებს პირველი პრობლემა შეუქმნა, რომელიც კასპაროვმა უკვე მომდევნო მოძრაობით გადაჭრა და კრამნიკმა სხვა გზების ძიება იწყო. თუმცა 30-ე სვლისთვის უკვე დადგინდა, რომ კასპაროვის ფიგურები უშეცდომოდ იყო განლაგებული, ამიტომ ყაიმი გაფორმდა. ყოფილი და მოქმედი ჩემპიონები ცხრილის თავში კვლავ წყვილად დარჩნენ.

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — გაიფიქრა დარმენ სადვაკასოვმა და ალექსეი შიროვს თეთრებით მხოლოდ ყაიმისთვის ეთამაშა. ყაზახს 3 ტურში 0 ქულა არ ექნებოდა, ადრე რომ მიმხვდარიყო ახალგაზრდული მაქსიმალიზმის მავნებლობას. მინიმუმ ორ პარტიაში სადვაკასოვმა თითქმის საყაიმო პოზიციები წააგო. ამჯერად ყაზახი ირჯებოდა კომპიუტერივით, ფრანგულ დაცვაში მოქნილად გაცვალა ფიგურები და 17 სვლის შემდეგ პირველი ნახევარი ქულა იზეიმა. მაყურებელმაც გაიხარა, ხოლო გვერდით დაფაზე ბორის გელფანდსა და ალექსადრ მოროზევიჩს ის-ის იყო, მთავარი ჩხუბი დაეწყოთ.

მოროზევიჩიც მაქსიმალისტია. ყაიმი მისთვის არ არსებობს და ქათმის დევნა ხშირად კვერცხის დაკარგვად უჯდება. პოზიციურ ბრძოლაში ნაცად გელფანდთან მან უკვე დებიუტში სცადა თამაშის გამოცოცხლება და ექსტრავაგანტური სვლის გამო მალე ცუდ დღეში ჩავარდა. ლაზიერების გაცვლის შემდგომ გელფანდის 5-მა პაიკმა კოხტა დიაგონალური ჯაჭვი შექმნა, ამათგან მოწინავე უკვე მე-6 ჰორიზონტალზე იყო და ებრაელმა ახლა ფიგურები აამუშავა შავი პაიკების შესამუსრავად. მოროზევიჩმა ჯაჭვის გაწყვეტა ცენტრალური პაიკებით სცადა და ეს ისე უხეიროდ მოახერხა, რომ ნარღვევში უმალ თეთრი ეტლი შეიჭრა მე-7 ჰორიზონტალამდე. შემდეგ გელფანდი პოზიციური უპირატესობის მატერიალურში გარდაქმნას შეუდგა და სამი პაიკი მიყოლებით აიღო. ყველაფერი გარკვეული იყო — გელფანდი იგებდა. მოროზევიჩს დანებება შეეძლო, მაგრამ ერთი გაფართხალებაც მოინდომა, როცა გახსნილი ქიშისთვის ეტლი გაწირა. მცდელობის ალკვეთას პირველთანრიგოსნის ტვინი ეყოფოდა და გელფანდმა ქულა მიითვალა. შემდეგ ტურში მოროზევიჩი კასპაროვთან ითამაშებს. რიგიან სანახაობას ველით.

**დავით გულუა**

ვითარება 4 ტურის შემდეგ

**1-2. კასპაროვი, კრამნიკი 3; 3. გელფანდი 2,5; 4. შიროვი 2; 5. მოროზევიჩი 1; 6. სადვაკასოვი 0,5.**

# ამ ერთი ციცქნას პრიზისთვის დიდი ამბები ატყდება

**F1** — მეშვიდე ეტაპი — მონაკოს დიდი პრიზი

## მონტე კარლო

*მონტე კარლო, 27 მაისი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . 3.370 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . 78 წრე — 262.860 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 კულჰარდი (მაკლარენი); 2 ბარიკელო (ფერარი); 3 ფიზიკელა (ბენეტონი); 4 ირვინი (იაგუარი); 5 სალო (ზაუბერი) 6 ჰაკინენი (მაკლარენი)

**წრის რეკორდი:** 2000 — ჰაკინენი (მაკლარენი) 1:21.571

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1950 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ალფა რომეო |
| 1955 | მორის ტრინტინიანი | საფრანგეთი | ფერარი |
| 1956 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | მაზერატი |
| 1957 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მაზერატი |
| 1958 | მორის ტრინტინიანი | საფრანგეთი | კუპერი |
| 1959 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | კუპერი |
| 1960 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1961 | სტირლინგ მოსი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1962 | ბრიუს მაკლარენი | ახალი ზელანდია | კუპერი |
| 1963 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | BRM |
| 1964 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | BRM |
| 1965 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | BRM |
| 1966 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | BRM |
| 1967 | დენის ჰალმი | ახალი ზელანდია | ბრებემი |
| 1968 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1969 | გრემ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1970 | იოხენ რინდტი | ავსტრია | ლოტუსი |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1972 | ჟან პიერ ბელტუაზი | საფრანგეთი | BRM |
| 1973 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1974 | რონი პეტერსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1975 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1976 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1977 | ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | ვოლფი |
| 1978 | პატრიკ დეპაიე | საფრანგეთი | ტირელი |
| 1979 | ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | ფერარი |
| 1980 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | უილიამსი |
| 1981 | ჟილ ვილნევი | კანადა | ფერარი |
| 1982 | რიკარდო პატრეზე | იტალია | ბრებემი |
| 1983 | კეკე როსბერგი | ფინეთი | უილიამსი |
| 1984 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1985 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1986 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1987 | აირტონ სენა | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1988 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1989 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1990 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1991 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1992 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1993 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1996 | ოლივიე პანი | საფრანგეთი | ლიჟიე |
| 1997 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1998 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |
| 1999 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 2000 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |



მიხაელ შუმახერი უმთავრესი ფავორიტია

**მონაკოს** დიდ პრიზს „სამეფო რბოლებში" გამორჩეული ადგილი უჭირავს. ესაა ყველაზე რთული, მძიმე და იმავდროულად ყველაზე პრესტიჟული საფორმულო ასპარეზობა.

სარბოლო დისტანცია ჩვეულებრივზე 40 კილომეტრით მოკლეა, მაქსიმალური სიჩქარე კი თითქმის 100 კილომეტრით მცირე. მიუხედავად იმისა, რომ იქაური რბოლა წვალება უფროა, ვიდრე ნორმალური, ადამიანური შეჯიბრება, მაინც ყველას განსაკუთრებით მოსწონს. თანაც არც ერთი სხვა ეტაპის მომგებს არ ხვდება იმხელა აღიარება და პატივი, რამდენიც მონაკოს დიდი პრიზის მომპოვებელს. იქ გამარჯვება უკვდავების ტოლფასია, თუმცა თითქმის ორსაათიანი ჯოჯოხეთის შემდეგ არათუ პოდიუმზე შედგომა, არამედ ფინიშამდე მიღწევა და თუნდაც კინკილა ქულის შოვნაც გმირობად ითვლება. რკინის რელსებით გარშემორტყმულ, ორლობის სიგანის გზაზე პილოტები უდიდეს დატვირთვას განიცდიან — წამდაუწუმ უხდებათ დამუხრუჭება და სიჩქარის გადართვა. ამიტომ წარმატების საწინდარი ძრავის სიმძლავრე კი არა, საიმედოობა უფროა. ამასთან, რადგან ეს ქუჩის ტრასაა, შესაბამისად საფარიც სხვა ტრეკებთან შედარებით უარესია.

მონტე კარლოს ვიწრო, აღმართ-დაღმართიან ქუჩებში ავტოების გაჯიბრება თითქმის რვა ათეული წლის წინ მოიგონა ამ ჯუჯა სახელმწიფოს ავტოკლუბის მაშინდელმა თავკაცმა ანტონი ნოგემ. მას საამისო ნებართვისთვის პრინც გრიმალდის დასაყოლიებლად დიდი ხვეწნა-მუდარა არ დასჭირვებია და 1929 წელს შედგა კიდეც პირველი რბოლა საქვეყნოდ განთქმული კაზინოს გარშემო. საფორმულო სამყაროს ამ უმთავრეს ჯილდოს დღესაც ასე მოიხსენიებენ, თუმც ცხადია, სამკილომეტრიანი ტრასა მარტო სამორინეს მიდამოებში არ გადის. მონტე კარლოს პირველი ჩემპიონი, ინგლისელი უილიამ გროვერი 1943 წელს პარიზში გესტაპომ დახვრიტა. რაც შეეხება ნოგეს დამსახურების აღნიშვნას, ტრასის ბოლო, სტარტისწინა მოსახვევი ოც წელზე მეტია, რაც მის სახელს ატარებს.

კვალიფიკაციის მოგებას, ანუ რბოლაში პირველ სასტარტო პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია გზის სივიწროვისა და გრძელი სწორი მონაკვეთების არარსებობის გამო. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორ წელიწადს პოულის მფლობელებმა გამარჯვება ვერ მოახერხეს.

პილოტთა უმეტესობა მონტე კარლოში ცხოვრობს. ასე რომ, ტრასას ხუთი თითივით იცნობენ, მაგრამ ხუთშაბათობით, პირველ ვარჯიშებზე მაინც ბევრი ავარია ხდება. ამჯერადაც ასე იყო — ხუან პაბლო მონტოიამ თავისი „უილიამსი" ერთ-ერთ მოსახვევში კედელს მიაფშვნა. ამის გამო სესია რამდენიმე წუთით შეწყდა. თავიდან საუკეთესო დრო მიხაელ შუმახერს ჰქონდა, შესვენების შემდეგ კი ყველას მიკა ჰაკინენმა აჯობა. მიხაელი მას ნახევარი წამით ჩამორჩა. მათ შემდეგ განლაგდნენ რალფ შუმახერი, რუბენს ბარიკელო, იარნო ტრული, დევიდ კულჰარდი...

მონაკოში ჯირითის ყველაზე დიდი გამოცდილება ფორმულის უხნეს პილოტს, 36 წლის ჟან ალეზის აქვს — იგი 11-ჯერ გავიდა სტარტზე. პირველივე რბოლაში 1990 წელს მეორე ადგილი დაიკავა, ორჯერ მესამე იყო ფინიშთან, სულ კი 16 ქულა დაუგროვდა. საუკეთესო მაჩვენებელი — 43 ქულა ოთხგზის ტრიუმფატორ მიხაელ შუმახერს ეკუთვნის. შემდეგ მოდიან ედი ირვინი (17), მიკა ჰაკინენი (16), დევიდ კულჰარდი (16), ოლივიე პანი (13), ჯანკარლო ფიზიკელა (13), რუბენს ბარიკელო (12).

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველაზე სტაბილური შედეგები ირვინსა და ფიზიკელას აქვთ — ბოლო ოთხი რბოლა ორივემ ჩასათვლელ ექვსეულში დაასრულა.

**გია ახალაძე**



მსოფლიოს ახალგაზრდული თასის შესარჩევი ტურნირი

# მარცხი რუმინეთთან და უიმედო იმედი

**მარცხით** დაიწყო მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა. გუშინ ქართველი ოცდაერთწლამდელები შეჯიბრის მასპინძელ რუმინელ თანატოლებს, ზღვისპირა ქალაქ კონსტანცაში დაუპირისპირდნენ და დაძაბული ბრძოლა 18:23 დათმეს.

ამ წაგებით ჩვენი ახალგაზრდები პრაქტიკულად მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპის მიღმა აღმოჩნდნენ. მსოფლიოს სარაგბო ფორუმზე მოხვედრის თეორიული შანსი კიდევ არსებობს, მაგრამ იგი მინიმალურია.

დიმიტრი ფულარიას შეგირდები მომდევნო შეხვედრას სავარაუდოდ დღეს, უკრაინელებთან გამართავენ, გამარჯვების შემთხვევაში ქართველების ბედი რუმინეთ — უკრაინის მატჩზე იქნება დამოკიდებული. თუ უკრაინელები საკმაოდ ძლიერ რუმინელ თანატოლებს აჯობებენ, მაშინ ჯერი გატანილ-გაშვებულ ბურთების სხვაობაზე მიდგება. მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპის საგზურსაც ის გუნდი მოიპოვებს, ვისაც ბურთების უკეთესი სხვაობა ექნება. თუმც ძალიან საეჭვოა, რუმინელებმა მეტად ხელსაყრელი შანსი ხელიდან გაუშვან და საკუთარ კედლებში მოკრძალებულ უკრაინას დაეჩაგვრინონ.

ახლა კი იმაზეც ვთქვათ, რატომ არის სავარაუდო საქართველო — უკრაინის მატჩის თარიღი და რატომ არ მონაწილეობს შესარჩევ ტურნირში იუგოსლავიის ნაკრები, რომელიც წესით და რიგით მეოთხე გუნდი უნდა ყოფილიყო. ბალკანელებმა უცნობი მიზეზების გამო უარი განაცხადეს ტურნირში მონაწილეობაზე და ეს ასპარეზობის დაწყების წინა დღეს გააკეთეს. ასე რომ, იუგოსლაველთა ქმედებამ შეჯიბრების ჩატარების სისტემა თავდაყირა დააყენა. ტურნირის ორგანიზატორებმაც გადაწყვიტეს, სამი გუნდი წრიული სისტემით ეთამაშებინათ და მათ შორის საუკეთესოს რგებოდა ერთადერთი საგზური.

**ბაჩო სვანიძე**

შვიდკაცა. მსოფლიოს სერია

# არ გვინდა ფიალა

## ბორჯღალოსნები შურისძიებისთვის ემზადებიან

**საქართველოს** შვიდკაცა ნაკრები ბრიტანეთის უპირველეს ქალაქ ლონდონს სტუმრობს, რათა ხვალ და ზეგ „მსოფლიოს სერიაში" შემავალ საშვიდკაცო ტურნირზე იასპარეზოს. ტურნირის პირველ დღეს ჯგუფის მატჩები გაიმართება, მეორე დღეს კი პლეი ოფის სისტემით შეჯიბრების პრიზიორები გამოვლინდებიან.

ჩვენი მორაგბეები A ჯგუფში იასპარეზებენ, რომელშიც კიდევ ახალი ზელანდიის, კანადისა და რუსეთის მოშვიდკაცეებმა მოიყარეს თავი. თასისთვის ბრძოლას ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს, ორი უიღბლო კი სხვა ჯგუფის მაჩანჩალებთან ერთად მეცხრე-მეთექვსმეტე ადგილს და ფიალას გაითამაშებს.

ქართველთა მიზანი რვა მოწინავეს შორის ადგილის მოპოვებაა. ამით კლოდ სორელის შეგირდები სარეიტინგო ქულებს მოიპოვებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ოდენ ფიალისთვის მოუწევთ ოფლის ღვრა, აქტივში კი კინკილა ქულასაც ვერ ჩაიწერენ. ჯგუფის უპირობო ფავორიტი, რა თქმა უნდა, ახალი ზელანდიის ნაკრებია. „კივების" თავკაცობას სალონდონოდ საკმაოდ ძლიერ შემადგენლობისთვის მოუყრია თავი. პლეი ოფის მეორე საგზურისთვის ჩვენი მეტოქე კანადის ნაკრები, თხუთმეტკაცა რაგბიში ღირებული წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ შვიდკაცაში კრკეტი კაკალის სახელი გავარდნია და ჩრდილოამერიკელთა ჩაკვნეტისას ვინძლო ბევრ ბობოლას მოტყდეს კბილი. რუსეთის ნაკრები კი ბოლო წლებია, გამოჩნდა სარაგბო რუკაზე.

ქართველთა მოტივაციას ისიც აძლიერებს, რომ რუსეთთანაც და კანადასთანაც ძველი ანგარიში აქვთ გასასწორებელი. წლეულს გამართულ მსოფლიოს თასზე ბორჯღალოსნები ჯგუფურ ტურნირში, მსაჯის აშკარა მიკერძოებული მოქმედების წყალობით კანადელებთან 7:20 დამარცხდნენ და მეოთხედფინალში გასვლის შანსიც დაკარგეს, თუმც ბორჯღალოსნებმა სინისთვის ბრძოლა განაგრძეს. ფინალშიც გააღწიეს, მაგრამ იქ რუსეთის ნაკრებთან მოეცარათ ხელი და მეცხრე ადგილიც მას გადაულოცეს. ასე რომ, სორელსა და კომპანიას ჩინებული შანსი ეძლევათ, რევანში აიღონ და მსოფლიოს თასზე განცდილი მარცხი დავიწყებას მისცენ.

საამისოდ მუსიე კლოდმა თერთმეტ მორაგბეს უხმო. შესაძლოა ამ თერთმეტ რჩეულს ერთიც დაემატოს. საქმე ის გახლავთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში ახლა საპლეიოფო ციებ-ცხელებაა. ძირძველ მოშვიდკაცე პალიკო ჯიმშელაძის „კასტრი" საფრანგეთის პირველ გუნდობას უმიზნებს, ახალბედა გრეგუარ იაშვილის „ლა ტესტი" კი „ელიტ 2"-ის მარაქაში ცდილობს შეძრომას. თუ რომელიმე გუნდი მიზანს ვერ მიაღწევს და გათამაშებას დაემშვიდობება, მაშინ სორელი სწორედ უიღბლო კლუბიდან იხმობს მორაგბეს. „კასტრის" და „ლა ტესტის" ერთდროული წარუმატებლობის შემთხვევაში, სორელი უკვე თავად გადაწყვეტს, ვის გამოიძახებს ბრიტანეთში.

მანამდე კი ქართველთა რაზმში თერთმეტი მორაგბეა. მათი სია ასე გამოიყურება: ***გია ლაბაძე, ბესიკ ხამაშურიძე, დავით ბოლგაშვილი, ვასილ კაცაძე, ილია ზედგინიძე, გუჯა იოვაძე, ვასილ აბაშიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ბადრი ხეხელაშვილი, აქსენტი გიორგაძე***

კვლავ გუნდშია მისი ლიდერი და კაპიტანი გია ლაბაძე, ვინც თანაკლუბელ ბესიკ ხამაშურიძესთან ერთად ამსტერდამის ტურნირს მოსცდა, ვინაიდან „ტულონს" გასულ უქმეებზე მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა. ორი ქართველის გუნდი ელიტაში გადასასვლელ მატჩში დამარცხდა ტარიელ რატიანიძის „მონტობანთან" და მინიმუმ ერთი წელი ისევ „ელიტ 2"-ში მოუწევს ყოფნა.

**ბაჩო სვანიძე**



## ჯირო დ'იტალია

**მეიძვსე ეტაპი**
ნეტუნო — რიეტი. 150 კმ

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო) 4 სთ 13 წთ 23 წმ
2. დანილო ჰონდო (გერმანია, ტელეკომი)
3. მასიმო შტრაცერი (იტალია, მობილვეტა)
4. მ. გეროზა (იტალია, ვინი კალდიროლა)
5. იერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია, ლოტო)

ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) 27 სთ 03 წთ 58 წმ
2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +12 წმ
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) +13
4. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) +17
5. ჟოზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკრებში სათამაშოდ მზად არ ვარ, ვერც კარიერას დავდებ სასწორზე

## ვლადიმერ სტეფანია გაურკვევლობამ გატანჯა



ბადრი კეთილაძის ფოტო

*საქართველოს კალათბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების მწვრთნელებისა და წევრების, გულშემატკივრის იმედს, ამ ეტაპზე მაინც დახმარებოდა ეროვნულ გუნდს ვლადიმერ სტეფანია, ცივი წყალი გადაესხა. პირველმა და დღემდე ერთადერთმა პროფესიონალმა ქართველმა კალათბურთელმა, რომელმაც სეზონი „ნიუ ჯერსი ნეტსის“ შემადგენლობაში ჩაამთავრა, 15 მაისს სან ფრანცისკოს ერთ-ერთ კლინიკაში მტკივანი მარცხენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ამით, ბუნებრივია, მისი სამშობლოში ჩამოსვლაც გამოირიცხა. და უკვე მერამდენედ კვლავ უსტეფანიოდ მოუწევს თამაში ევროკალათბურთის უმდაბლეს საფეხურზე მყოფ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს.*

*ვოვას მიერ გადადგმულ ნაბიჯს ჩვენში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ზოგმა სამშობლოსადმი გულგრილობაშიც დაადანაშაულა სტეფანია, აქაოდა, ვლადიმერს რა ხანია, მუხლი სტკივა და ოპერაცია რაღა სანაკრებო თამაშებს დაამთხვიაო. ვარაუდებს და განსჯას მრავალი ჭორ-მართალი დაერთო, ბევრი ვლადიმერის გულწრფელობაშიც დაეჭვდა (ოპერაცია ტყუილად ხომ არ მოიმიზეზაო) და დადგა ის დრო, როცა ყველაფერზე თავად სტეფანიას უნდა გაეცა პასუხი. გუშინ ვოვას სან ფრანცისკოში დავუკავშირდით და თავდაპირველად ჯანმრთელობის ამბები გამოვკითხეთ...*

— ახლა გაცილებით კარგად ვარ, მუხლის ტკივილი საერთოდ აღარ მაწუხებს, თერაპიის კურსებიც წარმატებით მიმდინარეობს. რამდენიმე დღეში, ვფიქრობ, სიეტლში დავბრუნდები და მკურნალობას იქ გავაგრძელებ.

**— ამჟამად კვლავ საავადმყოფოში ხართ?**

— არა, კლინიკიდან იმავე დღეს გამომწერეს. ოპერაციამ სულ რაღაც თხუთმეტ წუთს გასტანა და საღამოს გავიარე კიდეც. ახლა სასტუმროში ვარ, მუხლი ოდნავლა მაქვს შესიებული და ბოლომდე რომ ჩამიცხრება, ოჯახს დავუბრუნდები.

**— ვარჯიშის დაწყება როდის შეგეძლებათ?**

— ერთი თვის განმავლობაში ექიმებმა ყოველგვარი დატვირთვა ამიკრძალეს. შემდეგ ვნახოთ, თუ სრულად განვიკურნე, ნელ-ნელა დავიწყებ ვარჯიშს, ივლისში კი, ვფიქრობ, სრული დატვირთვით შევუდგები მზადებას.

**— მტკივან მუხლს ტრადიციულად ხორვატიაში მკურნალობდით. ცნობილია, რომ ამჯერადაც ასე აპირებდით, შემდეგ რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება?**

— ხორვატიაში წამლობა ტკივილს დროებით კი მიყუჩებდა, მაგრამ მუხლი ქრონიკულად დამიავადდა და ოპერაციის გაკეთებაც ამიტომ გადავწყვიტე. აქაურებმა მირჩიეს, სანფრანცისკოელი ექიმებისთვის მიმემართა.

საერთოდ, რაც ამერიკაში ვარ, წინდაწინ დაგეგმილს ვერასდროს ვაკეთებ: დაკვირვებული ვარ, ყოველთვის რაღაც მიშლის ხელს, მაფერხებს. რომ იცოდეთ, წლეულს რა სიძნელეები გამოვიარე, შეგეცოდებოდით. ლამის ერთი თვე უგუნდოდ ვიყავი, რაც ნბა-ს მოთამაშისთვის ტრაგედიის ტოლფასია. ტრავმებმა ბევრად უკან დამწია, „სიეტლმაც“ ამიტომ გამცვალა. ვერც „ტორონტოში“ მოვეწყვე და, ფაქტობრივად, ქუჩაში აღმოვჩნდი. ამის მერე, ფსიქოლოგიურად განადგურებულმა და ლამის ცალფეხამ იმდენი ვქენი, რომ „ნიუ ჯერსიმ“ ამიყვანა. ვერ ალგიწერთ, რის ფასად დამიჯდა ყოველივე.

**— „ნეთსის“ შემადგენლობაში თავიდან ხშირად გიწევდათ მოედანზე ყოფნა. შემდგომში თქვენი უთამაშებლობაც ტრავმის ბრალი იყო?**

— ტრავმისაც და სხვა ფაქტორისაც. როცა შედარებით ხშირად მათამაშებდა მწვრთნელი ბაირონ სკოტი, იმ პერიოდში გუნდს ჩავარდნა ჰქონდა, ბევრი მატჩი წავაგეთ. აქ კი წესივითაა, წაგებულ შემადგენლობას მნიშვნელოვნად ცვლიან ხოლმე. ისე, „ნიუ ჯერსიში“ თამაშით მაინცდამაინც უკმაყოფილო არ ვარ. იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, როგორშიც ვიმყოფებოდი, მიმაჩნია, რომ ასე თუ ისე, შევძელი თავის გამოჩენა.

**— კლუბის ხელმძღვანელობას ახალ კონტრაქტზე ხომ არ ჩამოუგდია სიტყვა?**

— არა, ამ თემაზე ჯერ არავის ულაპარაკია ჩემთან. ბაირონ სკოტი ჩემით დაინტერესებული კია, მაგრამ კონკრეტულ საუბარს არ ჩქარობს. მწვრთნელი საბოლოო გადაწყვეტილებას, ალბათ, ივლისის ბოლოს მიიღებს, იმ დროისთვის დრაფტიც დამთავრებული იქნება და ახალწვეულები რომ მოვლენ, ამა თუ იმ რგოლის გაძლიერებაზე ფიქრს მერელა დაიწყებს. მანამდე მოცდა მომიწევს.

**— ნბა-ს სხვა გუნდებიდან თუ გაქვთ წინადადებები?**

— ყურმოკვრით მსმენია რამდენიმე ვარიანტზე, სერიოზული კი ჯერ არაფერია. კარგად მესმის იმ კლუბების, ისინი ჩემს გამოჯანმრთელებას ელიან, არ უნდათ რისკზე წასვლა. ეს ბუნებრივიცაა, გაუთავებელი ტრავმების გამო ხომ გარკვეულწილად რეპუტაციაც შემელახა.

**— აქ თქვენს ევროპაში შესაძლო დაბრუნებაზეც ბევრს ლაპარაკობენ. გავიგეთ, სტეფანიას ძლიერი ევროპული კლუბები, კერძოდ, „ფორტიტუდო“ ეპატიჟებაო...**

— ევროპიდან ბევრმა მიმიწვია, „ფორტიტუდოდანაც“ შემეხმიანნენ, მაგრამ კონკრეტულ მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა. სხვათა შორის, გამორიცხული არაა, სწორედ ევროპაში გავაგრძელო თამაში, შანსებს ორმოცდაათი ორმოცდაათზე შევაფასებდი. ისე, გულწრფელი რომ ვიყო, მირჩევნია, ამერიკაში დავრჩე, აქაურობას კარგა ხანია, შევეჩვიე, ცხოვრებაც ამერიკაში უფრო მიადვილდება. ერთი სიტყვით, ახლა თავისუფალი აგენტი ვარ და ყველაფერი მაინც ჩემი გადასაწყვეტია.

**— მათ შორის ისიც, ითამაშოთ თუ არა ეროვნულ ნაკრებში...**

— სხვათა შორის, ჩემგან დამოუკიდებლადაც ბევრი რამ ხდება, ათასგვარი ნიუანსია, რასაც მხოლოდ მე ვერ გადავწყვეტ.

**— რას გულისხმობთ?**

— ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს, თანაც ვშიშობ, ქართველმა გულშემატკივარმა სხვანაირად არ გამიგოს.

**— თქვენ მაინც თქვით...**

— კარგით, მოკლედ გეტყვით. არც ფიზიკურად და არც ფსიქოლოგიურად საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ მზად არ ვარ.

**— ვოვა, თქვენ სამი წელია, გაწუხებთ მუხლი. ნუთუ არ შეიძლებოდა, სანაკრებო თამაშების შემდეგ გაგეკეთებინათ ოპერაცია? ამით ხომ ქართველ ქომაგს ყოველგვარ ეჭვს გაუფანტავდით.**

— ძალიან ვთხოვ ყველას, არაპატრიოტობას ნურავინ დამაბრალებს. წლებია, სამშობლოში არ ვყოფილვარ და მეც ძალიან მომენატრა საქართველო, მაგრამ... ჩემს შემდგომ კარიერას სასწორზე ვერ დავდებ. დავუშვათ, ჩამოვსულიყავი თბილისში და ნაკრებში მეთამაშა. ყოველივე დიდ ენერგიას და, რაც მთავარია, დროს წამართმევდა. როდის მე უკან დავბრუნდებოდი, როდის ოპერაციას გავიკეთებდი, სარეაბილიტაციოდ კი ხომ იცით, სულ ცოტა, თვენახევრიდან ორ თვემდეა საჭირო. გამოდის, რომ აგვისტოს შუა რიცხვებამდე ვარჯიშის დაწყებას ვერ შევძლებდი. მე კი გიმეორებთ: აგვისტოში უკვე სრულ მზადყოფნაში უნდა ვიყო, რათა დაინტერესებულ კლუბებს ჩემი რეალური შესაძლებლობები დავანახო და, შესაბამისად, სარფიანი კონტრაქტი გავაფორმო. ამ ეტაპზე ჩემი ერთადერთი კოზირი ხომ მხოლოდ ის არის, რომ მოსამზადებლად გარკვეული დრო მრჩება.

**— თქვენ წელან ფსიქოლოგიაც ახსენეთ...**

— დიახ, ფსიქოლოგიურადაც არ ვარ სათანადოდ განწყობილი. სამი წელია, აქ ვარ და მიმაჩნია, რომ საკუთარი ადგილი ჯერაც ვერ დავიმკვიდრე. მინდა, ჩემს ასეთ ყოფას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღო, უკვე ოცდახუთი წლის ვარ და სათამაშოდ შვიდი-რვა წელიღა დამრჩა. დღეს მე რომ გრძელვადიანი კონტრაქტი მქონდეს, განვლილ სეზონში კარგი თამაში რომ მიმაგრებდეს ზურგს, ან მომცემოდა გარანტია იმისა, რომ რომელიმე კლუბი აუცილებლად ამიყვანდა, სიამოვნებით ჩამოვიდოდი ნაკრებში სათამაშოდ. ამ სიტუაციაში კი, როცა სრულ გაურკვევლობაში ვარ. აბა, პრობლემა რომ არ მქონოდა, ნაკრებში თამაშზე უარს ვიტყოდი? მოკლედ, ჯერ არ მომცემია იმის საშუალება, რომ ერთი გასროლით ორი კურდღელი მოვკლა.

**— ფაქტი ერთია, ქართულ კალათბურთს ახლა არნახულად მძიმე პერიოდი უდგას. ეროვნული ნაკრების მორიგი მარცხი, შესაძლოა, ჩვენი კალათბურთის დასამარების ტოლფასიც იყოს. დღეს სტეფანია, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ნაკრებს...**

— გული მტკივა, რომ ჩემს ქვეყანას ამჯერადაც ვერაფრით ვეხმარები, მაგრამ ის უფრო საწყენია, რომ მთლიანად ქართული კალათბურთის ბედი გარკვეულ მოთამაშეებზე ჰკიდია. კონკრეტულ პიროვნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ყველაფერი, თვითონ კალათბურთის დონე უნდა იყოს იმ სიმაღლეზე, რომ სტეფანიასა და ამა თუ იმ მოთამაშის ნაკრებში ჩამოუსვლელობით საერთო სურათი მნიშვნელოვნად არ იცვლებოდეს. აქ კი, გამოდის, რომ ერთი-ორი კაცი წყვეტს ყველაფერს.

ვიცი, რომ ჩვენს კალათბურთს კარგი თაობა ეზრდება, ცქიტიშვილი, ფაჩულია... რამდენიმე ახალგაზრდის თამაში პირადად ვნახე და მიმაჩნია, რომ დიდი მომავლის მქონე კალათბურთელები არიან. მერწმუნეთ, გულით და სულით ნაკრებთან ვარ, მაგრამ ფიზიკურად — ვერა. რა ვქნა, ამ ეტაპზე სხვანაირად არ მოხერხდებოდა.:.

**გიორგი ბიძაშვილი**



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო აბვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge